საქართველოს აკად. გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა
სამეცნიერო საზოგადოება

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

მთავარი რედაქტორი
პროფესორი გურამ ტატიშვილი

საქართველოს ქირურგიის მაცნე

№ 4

თბილისი, 2016

საქართველოს ქირურგიის მაცნე

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
ყოველკვარტალური გამოცემა
გამოიცემა 2016 წლიდან

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი გურამ ტატიშვილი

სარედაქციო საბჭო

დ. აბულაძე, ა.ალექსიძე, ზ.ბახუტაშვილი, ა.ბერიძე, რ.გაგუა, გ.გიორგობიანი, გ.დათუაშვილი, მ.დვალი, ზ.ვადაჭკორია, ფრ.თოდუა, გ.თომაძე, გ.ინგოროყვა, მ.კილაძე, მ.კილაძე, დ.კორძაია, ი.კოხრეიძე, ი.კუზანოვი, გ.ლობჟანიძე, ნ.ლომიძე, ლ.მანაგძე, კ.მარდალეიშვილი, მ.მიზანდარი, ბ.მოსიძე, გ.ნემსაძე, ზ.ორჯონიკიძე, კ.ქუნთელია, კ.ყიფიანი, ბ.ჩაკვეტაძე, თ. ჩართოლანი, ვ.ჩაჩიბაია, გ.ჩიქობავა, თ.ჩხიკვაძე, ზ.ხელაძე, რ.ხეცურიანი, შ.ჯაფარიძე, ფ.ჯეინარლი, დ.ჯიქია.

პასუხისმგებელი რედაქტორი

დავით ჯიქია

სარედაქციო კოლეგია

ვ.არჩვაძე, გ.კინწურაშვილი, რ.ახალაია, ნ.ხმალაძე, მ.ერემეიშვილი, დ.ხაზარაძე, ვ.თედორაძე, ლ.სილოგავა (პასუხისმგებელი მდივანი), გ. ხორბალაძე (სამედიცინო რედაქტორი), მ. ჯანიაშვილი (ლიტერატურული რედაქტორი).

ჟურნალში შუქდება თანამედროვე ქირურგიის და მომიჯნავე დარგების სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევების შედეგები, მათი კლინიკური და თეორიული ასპექტები, ახალი ტექნოლოგიები, სამედიცინო განათლების პრობლემები, შემთხვევები კლინიკური პრაქტიკიდან, ქირურგიის ისტორიის გამორჩეული მოვლენები, საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების ქრონიკა და სხვა აქტუალური საკითხები.

დამფუძნებლები

საქართველოს აკად. გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

სპონსორები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შ.პ.ს. „ივერმედი“

რედაქციის აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებას. ყველა უფლება ავტორებისაგან მასალების მიღების შემდეგ ეკუთვნის ჟურნალ „საქართველოს ქირურგიის მაცნე„-ს რედაქციას. რედაქცია პასუხს არ აგებს სარეკლამო მასალების შინაარსზე. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სრული ან ნაწილობრივი აღწარმოება ან გამრავლება, მეთოდის მიუხედავად, დასაშვებია მხოლოდ გამომცემელის წერილობითი ნებართვით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 60

ტირაჟი: 700

UDC(უაკ)617(051)(479.22)ს-323

ISSN 2449-2221



პროფესორი გურამ ტატიშვილი

რედაქტორის სვეტი

ქართული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალის მთავარი რედაქტორი და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გურამ ტატიშვილი.

საქართველოს ქირურგთა საზოგადოებას გამოაკლდა გამორჩეული ექიმი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქირურგთა მრავალი თაობის აღმზრდელი-პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ბატონი გურამ ტატიშვილი იყო ჟურნალ „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ დამფუძნებელი და სულის ჩამდგმელი. სწორედ მისი ტიტანური შრომითა და ძალისხმევით შეიძინა ჟურნალმა სიცოცხლის უნარი და პერიოდულობა. სწორედ ბატონი გურამის დამსახურებით არის „საქართველოს ქირურგიის მაცნე“ ქართული ქირურგიული საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო და ქირურგთა სამეცნიერო პრაქტიკული მიღწევების ტრიბუნა.

ბატონი გურამ ტატიშვილის და ჩემი ურთიერთობა ჟურნალის შექმნის პროცესში გაღრმავდა. შევიძინე ღირსეული მეგობარი და დამრიგებელი, რომელიც, სამწუხაროდ, ჟურნალისთვის და ჩვენი მეგობრობისთვის ძალზე უდროოდ წავიდა მარადიულობაში.

„საქართველოს აკად. გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების“ სხდომების აღდგენა და „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ გამოცემა არის მისი ხანგრძლივი, საინტერესო და წარმატებული მოღვაწეობის გვირგვინი და ხელთუქმნელი ძეგლი.

„მშვიდობა ჰქონდეს მის სულს, დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ!“

დავით ჯიქია,
„საქართველოს ქირურგიის მაცნეს“
პასუხისმგებელი რედაქტორი

სარჩევი

რედაქტორის სვეტი 3
ჟამი ფიქრის, მოგონების და განსჯის. ეძღვნება შვილიშვილებს, მათ შვილებს და შემდეგ თაობებს 5
წინათქმა 5
პროფესორი გურამ ტატიშვილი - ცხოვრება და მოღვაწეობა, პროფესორი მერაბ ა. კილაძე 7
პროფესორი ზურაბ ვადაჯკორია 15
გურამ ტატიშვილის ხსოვნას, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა 15
გურამ ტატიშვილის გახსენება, აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი 16
ავთანდილ ჯორბენაძე 17
თინა ურუშაძე 18
ბატონი გურამ ტატიშვილი, პროფესორი ამირან გამყრელიძე 19
ПАМЯТИ ГУРАМА ГЕОРГИЕВИЧА ТАТИШВИЛИ, Эдуард Израилевич Гальперин 20
პროფესორი გურამ ახალაძე 20
ქართული ონკოლოგიის მოამაგე და ქომაგი,
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - რეზო გაგუა 21
IN MEMORY OF PROFESSOR GURAM TATISHVILI, Reuven Eliger MD. PhD. (Robert Eligulashvili) 23
აკადემიკოს გურამ ტატიშვილის მოსაგონარი, პროფესორი ზურაბ ხელაძე 23
გურამ ტატიშვილი - დიდი მასწავლებელი და დამრიგებელი,
თამაზ თამაზაშვილი, მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი 24
ღირსეული მამულიშვილი, პროფესორი ზაზა თოფურია 25
სწორუპოვარი და მისაბაძი, პროფესორი ბორის ჩაკვეტაძე 27
პროფესორი პალიკო კინტრაია 27
აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე 28
გახსენება, პროფესორი თამაზ ჩხიკვაძე 29
„გიორგევიჩმა“ კვალი დატოვა, პროფესორი გია ლობჟანიძე 29
აკადემიკოსი გურამ ტატიშვილი - საქართველოში ქირურგიული სამსახურის რეფორმატორი,
პროფესორი აკაკი ბერიძე 32
პროფესორი ივა კუზანოვი 33
ესტაფეტა არ უნდა შეწყდეს! პროფესორი გია თომაძე 34
ბიოგრაფია, რომელიც ორ სიტყვაში ეტევა, თსსუ პროფესორი გია დათუაშვილი 35
მერაბ ერემეიშვილი 35
მალხაზ მიზანდარი 37
ართქმული სიტყვა, გურამ ქერაშვილი, ... 38
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიკოსი, პროფესორი გურამ ტატიშვილი,
პროფესორი ნოდარ ლომიძე 38
ბატონ გურამ ტატიშვილის ხსოვნისადმი, პროფესორი ბაადურ მოსიძე 39
დოცენტი გურამ ცინცაძე 40
პროფესორი რამაზ სურმანიძე, პროფესორი აკაკი ბერიძე 41
აუნაზღაურებელი დანაკარგი, პროფესორი ლევან სვანაძე 41
პროფესორ გურამ ტატიშვილის გახსენება, პროფესორი დიმა კორძაია 42
შიმშილაშვილების ოჯახი ისრაელიდან 43
აკაკი ფირცხალაიშვილი 44
ლაშა სილოგავა 44
კარგი კაცის ნათელ ხსოვნას, ზურაბ ჟვანია 45
ნუციკო ტატიშვილი 47
ირაკლი ტატიშვილი 48
ოთარ ტატიშვილი 49
აჩიკო საყვარელიძე 50
შოთა პეტრიაშვილი 51
რევაზ ჯორბენაძე 51
რევაზ ფხალაძე 52
ბადრი შარიქაძე 53
უფროსი მეგობრის ხსოვნას, დავით აბზიანიძე 53
გავლილი გზა 55

ჟამი ფიქრის, მოგონების და განსჯის

ეძღვნება შვილიშვილებს, მათ შვილებს და შემდეგ თაობებს

„ცხოვრება, როგორც იგავ-არაკი ფასდება
არა მისი სიგრძით, არამედ შინაარსით“

სენეკა

„სიბერის საუკეთესო ნუგეშია შეგნება იმისა,
რომ ახალგაზრდობაში მთელი ძალები
მოახმარე საქმეს, რაც არ ბერდება“.

შოპენჰაუერი

წინათქმა

ძნელად ვიჯერებ, რომ უკვე 80 წლისა ვხდები – რა ულმობელი სისწრაფით გარბის დრო?! ადრე ეს ასაკი მიუღწევლად და რაღაც კატასტროფულად მეჩვენებოდა, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, აქ არც არაფერია განსაკუთრებული. მე სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ ამ თარიღის შესრულების შემდგომ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება, ანუ ის, რაც გუშინ იყო, აღარ იქნება ხვალ. საბედნიეროდ, ისევ მყარად ვდგავარ მიწაზე, ჯანმრთელობა ჯერჯერობით არ მღალატობს და არც მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითებას ვუჩივი. შეძლებისდაგვარად ვცდილობ შევინარჩუნო აქტიური ცხოვრების რიტმი. დღის განმალობაში რამდენიმეჯერ მსუბვუქად ვვარჯიშობ, ვცურავ, თითქმის რეგულარულად ვახერხებ სიარულს ფიტნესკლუბსა და საუნაში. პრონციპში არც სხვა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე მითქვამს უარი, თუმცა კი, ისიც მაქვს გათავისებული, რომ ჟამი ხანდაზმულობისა ძალზე წააგავს შემოდგომის გამონათებას, ხანგრძლივი გადაუღებელი წვიმების და სიცივეების დადგომის წინ რომ იცის ხოლმე.

ცხოვრება ურთულეს გამოცდებს გვიწყობს და მათი გადალახვა მხოლოდ სულიერად ძლიერ ადამიანებს ძალუძთ. ისიც სამწუხარო ჭეშმარიტებაა, რომ ცხოვრების მარათონს უდანაკარგოდ ვერ გაირბენ - ბედნიერ და ნათელ პერიოდებს არც თუ იშვიათად ენაცვლება მტკივნეული, ტრაგიკული და ზოგჯერ გამოუსწორებელიც. ამგვარი რამ ყველა ადამიანს აქვს მეტ-ნაკლებად განცდილი-გადატანილი. პირადად ჩემთვის დღემდე უაღრესად სევდის მომგვრელია ის მოგონებები, რომლებიც უკავშირდება ამ ქვეყნიდან წასული ძვირფასი ადამიანების – მშობლებისა და უახლოესი ნათესავ-მეგობრების ხსოვნას. და მაინც, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გამაოგნებელი იყო უფროსი ვაჟიშვილის (მეორე დიდი ტრაგედია ბ-ნი გურამის ცხოვრებაში მოხდა 2016 წელს, მისი შვილიშვილის, – სალომეს ტრაგიკული გარდაცვალების სახით – რედ.) ნაადრევი გარდაცვალება.

ეტყობა, გამოუვალმა გარემოებამ მაიძულა, მესწავლა დარდისა და მწუხარებისადმი გონივრული მიდგომა, ბედისწერასთან შეგუება და სულიერი ტკივილის დაძლევა. ცხადია, ჩემი თაობის ადამიანებისათვის თავისთავად მტანჯველია იმ სამწუხარო ფაქტის გაცნობიერება რომ გარდაცვლილ ნათესავმეგობართა რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ცოცხლად დარჩენილთა რიცხვს.

მე ყოველთვის ვცილობდი მეხელმძღვანელა ერთი პრინციპით: წუთისოფელი ისე უნდა განვლო, რომ უკან მოხედვისას არ შეგრცხვეს. მართალია, გარდაუვალს ვერ გაექცევი და დაუძლეველს ვერ დასძლევ, მაგრამ უნდა იბრძოლო, არასოდეს დანებდე და ამ ბრძოლაში მაქსიმალურად დაიხარჯო. რაც შეეხება ჩემს შეცოდებებს თუ შეცდომებს, ისინი ყველა მოკვდავს მოსდის, არავინ არის უშეცდომო და უცოდველი. ერთ-ერთი დიდი წმინდანი აღიარებდა - იმდენი ცოდვა მაწევს, მათი აღრიცხვისათვის გონება არ მეყოფაო. არც მე ვიჩემებ უშეცდომობაუცოდველობას, თუმცა მეამაყება, რომ ყოველთვის მაინც სიკეთისაკენ ვიყავი მიდრეკილი, ვცდილობდი ვყოფილიყავი მიმტევებელი არა-კეთილისმოსურნეთა მიმართ და არც ერთ შემთხვევაში არ მეპასუხა ბოროტებისათვის სიბოროტით, რადგან ბრძნული ნათქვამია: „ვინც თვითონ ბოროტებას არ აკეთებს, ბოროტების მსხვერპლი არ გახდება.“

რაც შეეხება ცხოვრებისეულ შეცდომებს, მუდამ უნდა გვახსოვდეს არისტოტელეს შეგონება: „შეცდომას მრავალნაირი გზა აქვს, სწორედ მოქმედებას – ერთადერთი. პირველი იოლია, მეორე – ძნელი. მიზანს იოლად ააცდენ, ძნელად მოახვედრებ.“

ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა – მისი მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნება, ყოფა და კულტურა, შესანიშნავი ტრადიციები და ზნეჩვეულებები. თაყვანს ვცემ წინაპართა ხსოვნას. ათეული წლები გავატარე ჩემი ქვეყნის და ხალხის სამსახურში. როგორც დრომ აჩვენა, იყო წარმატებები, შეფერხებები, დაბრკოლებები, მძიმე წლები, მაგრამ მთავარი და არსებითია ის, რომ ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გავჩერებულვარ, როგორც იტყვიან, ხელები არ ჩამომიშვია. ჩემი ცხოვრების აზრი და ფილოსოფია სწორედ დინამიურობასა და მუდმივ მოძრაობაზეა დაფუძვნებული და ეს არის ჩემი მხნეობისა და ოპტიმიზმის წყარო. გულწრფელად მჯერა, რომ სიკეთისა და მადლიერების გარეშე საყოველთაო უზნეობა დაისადგურებს, რაც კაცობრიობის გადაშენების წინაპირობაა.

80 წლის გადასახედიდან ბევრს ვფიქრობ არამარტო წარსულზე, არამედ მომავალზეც, რა იქნება ხვალ, ზეგ, ან მრავალი წლის შემდეგ, რა ბედი ელის საქართველოს, ქართველ ხალხს. მართალია, ბიბლია გვეუბნება, ხვალეზე ხვალემ იზრუნოსო, მაგრამ ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის, რომ ჩვენმა თაობამ აქედანვე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ შთამომავლობამ უკეთეს საქართველოში იცხოვროს, ჩვენი ერი კი აღარასოდეს დადგეს საფრთხეებისა და განსაცდელის წინაშე.

* * *

დაბადებიდან 80 წლის შესრულებამდე რამდენიმე თვის წინ გამიჩნდა განვლილი გზის გათავისების, ჩემი წინაპრების, მასწავლებლების და იმ ადამიანთა გახსენების მოთხოვნილება, რომლებთანაც ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მქონდა. მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი ჭეშმარიტი მოქალაქე, დიდი პროფესიონალი, ქვეყნის, საზოგადოების, თავისი ხალხის საამაყო შვილი იყო და დიდი წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც პიროვნების, მოქალაქის და სპეციალისტის ჩამოყალიბებაში.

შემდეგ მეც მყავდა მოწაფეები, რომლებიც ჩემ ხელში დაფრთიანდნენ და ღირსეული მოქალაქეები, ქირურგები და მეცნიერები გახდნენ. ასეთი ადამიანების გახსენება და მათზე კეთილი სიტყვის თქმა ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

მაგრამ, ალბათ უმთავრესი მაინც ის არის, რომ ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა (თერთმეტნი არიან და იმედია, რომ ეს რიცხვი გაიზრდება), მათმა შვილებმა და ა.შ. იცოდნენ, თუ საიდან მოდიან, ვინ იყვნენ მათი წინაპრები, რა ღვაწლი დასდეს მათ ქართულ საზოგადოებას, რა ადათ-წესებზე და ტრადიციებზე იზრდებოდნენ ისინი, რისი მოფერება და თაობებში გადაცემაა აუცილებელი ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ეს კი დღეს, საყოველთაო გლობალიზაციის ეპოქაში, განსაკუთრებით აქტუალურია.

პროფესორი გურამ ტატიშვილი - ცხოვრება და მოღვაწეობა

დღეს დიდი გულისტკივილით და მწუხარებით ვიხსენებთ ჩვენი დროის რჩეულ მამულიშვილს, საქართველოს სამეცნიერო და სამედიცინო ინტელიგენციის დიდ და საამაყო წარმომადგენელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საკავშირო სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს და ვიცე-პრეზიდენტს, მრავალი საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციის, საზოგადოების, ასოციაციის და საბჭოს საპატიო წევრს, ქართული ქირურგიული სკოლის ბრწყინვალე პლეადის გამორჩეულ წარმომადგენელს, საქართველოს გრ.მუხაძის სახ. ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარეს, ჩვენ საყვარელ და სათაყვანებელ პიროვნებას - პროფ. გურამ ტატიშვილს. არსებობენ ადამიანები და პიროვნებები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს მეხსიერებაში, მაგრამ მხოლოდ გამორჩეულებს შეუძლიათ ჩვენს გულებში და სულში შეღწევა და სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ბ-ნი გურამი.

ყველაფერს აქვს თავისი ისტორია, დასაწყისი, ფესვები და წარმოშობა... ბ-ნი გურამის პაპა - იაკობ ტატიშვილი სასულიერო პირი იყო, წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი. ის იყო წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი, შესანიშნავი ხმის ტემბრით, თურმე არაჩვეულებრივად ატარებდა ღვთისმსახურებას და თვითონაც გალობდა. თურმე ბ-ნი გურამი, მისი და-ძმა და ბიძაშვილი ნუგზარი ამ ეკლესიის ეზოში დაიბადნენ და იქვე მოინათლნენ. გარდა იმისა, რომ ი.ტატიშვილმა აღზარდა ექვსი შვილი, ის ცნობილია იმითაც, რომ მან გადაარჩინა ჩვენი სასიქადულო პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი დაკარგვისაგან. ი.ტატიშვილი გარკვეული წლები იყო განჯის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი; იმ დროს ხელისუფლებას გაჰყავდა ახალი გზა, რომელსაც ნ.ბარათაშვილის საფლავზე უნდა გაევლო. მღვდელმა იაკობმა ამის შესახებ აცნობა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც იზრუნა ნ.ბარათშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენებაზე.

მამის დედა, ნინო ონიაშვილი იყო ძალზე სანდომიანი, იმ დროისთვის კარგად განათლებული და სასიამოვნო მოსაუბრე როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ერთხელ, წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოში შესულა კავკასიის ფრონტიდან წამოსული რუსი ჯარისკაცი, რომელიც ბებიამ სახლში შეიყვანა, დააპურა, ხოლო იაკობმა მგზავრობისთვის საკმარისი რაოდენობის თანხა მისცა. გაოცებულმა რუსმა ჯარისკაცმა მოითხოვა ქაღალდი, ფანქარი და მადლიერების ნიშნად დახატა ბ-ნი გურამის ბებიის პორტრეტი, რომელიც აბსოლუტურად ზუსტად გადმოგვცემს ქ-ნი ნინოს ნატიფ სილამაზეს, კეთილშობილებას და კდემამოსილებას.

ბ-ნი გურამის მამამ, გიორგი ტატიშვილმა, წარჩინებით დაამთავრა თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და მუშაობდა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის წამყვან ინჟინრად, მაგრამ 1937 წელს მათ ქარხანასაც გადაუარა დაპატიმრებების ტალღამ და ის სხვებთან ერთად რეპრესირებულ იქნა, თუმცა, მოგვიანებით ოჯახს შეატყობინეს მისი უდანაშაულობის და რეაბილიტაციის შესახებ.

დედა, ელისაბედ (ლიზა) ჩიქოვანი იყო ლამაზი გარეგნობის ქალი, ის გახლდათ განათლებული, კეთილშობილი, ნათესავების და ახლობლების მოსიყვარულე ადამიანი, რომელმაც დიდი გაჭირვების მიუხედავად, მეუღლის დებისა და ძმების გვერდში დგომით ყველაფერი გააკეთა შვილების სწორ გზაზე დასაყენებლად. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს მამის დების: ქ-ნ თამარის, ქ-ნ სოფიოს, ქ-ნ ელენეს და ძმების: ბ-ნ ირაკლის და ბ-ნ მიშას როლი ბ-ნი გურამის და მისი და-ძმის აღზრდის საქმეში, ვინაიდან რაც მათ შეძლეს და გააკეთეს - ნამდვილად სამოქალაქო გმირობის ტოლფასი იყო. სამივე მამიდამ დაივიწყა ყველაფერი პირადული და მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე უპირველეს საქმედ მიაჩნდათ ძმების შვილების და შვილიშვილების აღზრდა. განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა ბ-ნი გურამი ბიძამისს, აკად.ირაკლი ტატიშვილს, რომელსაც მამობილად თვლიდა და რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ბ-ნი გურამის როგორც მოქალაქის, სპეციალისტის და საერთოდ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. აკად. ი.ტატიშვილი იყო დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რიგი წლების მანძილზე თსსი-ის პრორექტორი ჯერ სამეცნიერო, შემდეგ კი სასწავლო დარგში, რესპუბლიკის მთავარი პათოლოგანატომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ბ-ნი გურამის უმცროსი ბიძა ბ-ნი მიხეილი ორმოცდაათიან წლებში დაბრუნდა თბილისში და მუშაობდა მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ნ.ჯავახიშვილის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

იაკობ ტატიშვილი ოჯახთან ერთად

ბ-ნ გურამთან ერთად იზრდებოდნენ აკად. ი.ტატიშვილის შვილები, და როგორც თავად ბ-ნი გურამი აღნიშნავდა, მას ფაქტიურად ჰყავდა ორი ძმა და ორი და, რადგანაც თავის ბიძაშვილებს ბ-ნ ნუგზარს და ქ-ნ ნუციკოს თავის დედმამიშვილებად აღიქვამდა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბ-ნ ნუგზართან ურთიერთობა, რადგან ბ-ნი გურამი და ბ-ნი ნუგზარი ძმებივით ერთად გაიზარდნენ. ბ-ნი ნუგზარი გახლდათ მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნება, მსოფლიოში აღიარებული ექიმი და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა

გურამ ტატიშვილი მშობლებთან და და-ძმასთან ერთად

აკადემიის, თსსი-ის წამყვანი თერაპიული კათედრის გამგე და ბევრი უცხოური სამეცნიერო საზოგადოების წევრი. მართლაც, ბ-ნ ნუგზარის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალმხრივი განათლების და პროფესიონალიზმის შერწყმის საოცარი ნიმუში იყო.

ბ-ნ გურამს ჰყავს ტყუპი და-ძმა: მარინე და მერაბი. ქ-ნი მარინე არის პედაგოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელსაც ჰყავს შესანიშნავი ოჯახი და რომელიც ტატიშვილებში, როგორც აღნიშნავდა ბ-ნი გურამი, ასრულებს დედის, დეიდის და მამიდის ფუნქციებსაც. ბ-ნი მერაბი გახლავთ საქართველოს გეოლოგიურ საზოგადოებაში აღიარებული პიროვნება, ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი გეოლოგი, ასევე შესანიშნავი ოჯახის პატრონი და რომლის ერთადერთი „ნაკლია“, როგორც ამას ბ-ნი გურამი აღნიშნავდა, მისი ზედმეტი პატიოსნება, მეტისმეტი თავმდაბლობა და მორიდებულობა.

ოჯახის და ახლო ნათესავების შემდეგ პიროვნების ფორმირებაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას და ალბათ უპრიანი იქნება, თუ გავიხსენებთ ბ-ნი გურამის სკოლის პერიოდს და იმ პედაგოგებს, ვინც მასში გარკვეული კვალი დატოვა. ბ-მა გურამმა სწავლა დაიწყო თბილისის მე-18 სკოლაში, ხოლო დაამთავრა მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა 1948 წელს ოქროს მედალზე. მას ჰყავდა ქართული ენის და ლიტერატურის საყვარელი მასწავლებელი ქ-ნი ვარო ვარდიაშვილი, რომელმაც შეაყვარა ჰუმანიტარული საგნები და თვლიდა მას თავის საყვარელ მოწაფედ, ხოლო როდესაც შეიტყო, რომ ოჯახურმა ტრადიციებმა გადასძლია და ბ-ნი გურამი ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში, ქუჩაში შეხვედრისას უსაყვედურა: „შენ მოდას აყოლილი ახალგაზრდა ყოფილხარ, მე გამარჯობას აღარასოდეს გეტყვი“. რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ შეხვდა ბ-ნი გურამი თავის უსაყვარლეს მასწავლებელს ამჯერად უკვე თავის კლინიკაში, სადაც გაუკეთა სასწრაფო ოპერაცია მასწავლებლის ოჯახის წევრს. ქ-მა ვარომ გაუღიმა და უთხრა: „მე მინდოდა ლიტერატურას გაჰყოლოდი, რადგან კარგი ექიმი გამხდარხარ, მიპატიებიაო“.

ბ-მა გურამმა 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა თსსი-ის სამკურნალო ფაკულტეტი და აქედან მოყოლებული იწყება მისი დამოუკიდებელი საექიმო მოღვაწეობა. მის, როგორც პროფესიონალი ექიმის, ქირურგის და საერთოდ მოქალაქის ფორმირებაში უდიდესი როლი მიუძღვის სამამულო ქირურგიის უბრწყინვალეს წარმომადგენელთა მთელ პლეადას, და მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პროფ. მ.ჩაჩავა, რომელსაც ბ-ნი გურამი აღმერთებდა და აღნიშნავდა, რომ მისგან ისწავლა არამარტო ქირურგია, არამედ ის თუ როგორი უნდა იყოს ექიმი, რა მორალური ფასეულობებით უნდა ხელმძღვანელობდეს, როგორი უნდა იყოს ავადმყოფის მიმართ, როგორ უნდა შედიოდეს კონტაქტში ავადმყოფის პატრონებთან და ა.შ. ის თვლიდა, ბ-ნ მ. ჩაჩავას საუკუნეების მანძილზე ბევრი ბრძენი ქართველი მოღვაწის საუკეთესო თვისებების მატარებლად.

1957 წელს ბ-ნი გურამი თსსი-ში იცავს დისერტაციას, მას ენიჭება მედ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და შემდეგ თანმიმდევრულად ინიშნება ასისტენტად, დეკანის მოადგილედ, დეკანად, დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1960 წელს 30 წლის ასაკში - თბილისის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორად. ბ-ნი გურამი ყოველთვის დიდი სიყვარულით და სითბოთი იგონებდა ამ ინსტიტუტში გატარებულ წლებს, რადგან იმ წლებმა შესძინა მას არა მარტო დიდი გამოცდილება, არამედ რამოდენიმე ისეთი მეგობარი, რომლებმაც მის ცხოვრებაში ითამაშეს ძალიან დიდი როლი. მათ შორის აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ ორი პიროვნება: ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი აკად. მ.ვოლკოვი და აკად. ო.ღუდუშაური. სწორედ აკად. მ.ვოლკოვი გახლდათ სამეცნიერო კონსულტანტი, როდესაც 1968 წელს ქ.მოსკოვში „ციტო“-ში ბ-მა გურამმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მას მიენიჭა მედ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო ბ-ნ ო.ღუდუშაურთან მისი ახლო და ძმური მეგობრობა, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა საყოველთაოდ იყო ცნობილი. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ ერთი ეპიზოდი, რომელსაც შეგახსენებთ ბ-ნი გურამის მონათხრობიდან. ბ-ნი ოთარის დაღუპვიდან რამოდენიმე დღეში დანიშნული იყო მისი უფროსი ქალიშვილის, ქ-ნ მარინას საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, ბ-ნ გურამს მიყავდა სადისერტაციო საბჭოს სხდომა და ის აღნიშნავდა, რომ: „ჩემს ცხოვრებაში ასეთი მძიმე წუთები ალბათ არ მქონია. არაადამიანური ძალისხმევით ვიკავებდი თავს ქვითინისგან, რომ მარინასთვის არ შემეშალა ხელი, და მარინამაც გამოიჩინა საოცარი გმირობა და სულიერი სიმტკიცე და ის დღე საყვარელ მამამისს მიუძღვნა და იმედი არ გაუცრუა“.

1970 წელს ბ-ნი გურამი ინიშნება თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ს/კ ინსტიტუტის ორგანოთა კონსერვაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელად და ამავდროულად, მას ირჩევენ კონკურსით თსსი-ის პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორად. ბ-ნი გურამის თაოსნობით ქირურგიის ინსტიტუტის მძლავრი სამეცნიერო ცენტრი პრაქტიკულად იქცა კათედრის



ექსპერიმენტულ ბაზად, სადაც სრულდებოდა სათანადო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო კლინიკის თანამშრომელთა სადისერტაციო ნაშრომებს. იმ დროს ინსტიტუტის დირექტორი იყო ცნობილი ქირურგი და საზოგადო მოღვაწე აკად. კ.ერისთავი, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ბ-ნ გურამს. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ინსტიტუტში მსოფლიოში სახელგანთქმული ამერიკელი კარდიოქირურგის მ.დებეიკის სტუმრობა. ბ-მა გურამმა მას აჩუქა ერთ-ერთი ქირურგის მიერ შესრულებული დებეიკის პორტრეტი ნატურალურ ზომებში ლითონზე ჭედური ხელოვნებით. დებეიკის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, და ის წლების მანძილზე, მადლიერების გრძნობით აღსავსე, ბ-ნი გურამის მიმართ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას, უგზავნიდა მას საკუთარ მონოგრაფიებს, ულოცავდა დღესასწაულებს და ახალ წელს და ბ-ნი გურამი ხუმრობდა, რომ ეს ალბათ იმიტომ, რომ მას ეგონა, რომ ეს სურათი მისი ნაჩუქარი იყო.

1973 წელს ბ-ნი გურამი არჩეულ იქნა საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ. ეს მაშინ დიდი პატივი და აღიარება იყო. მით უფრო, რომ იმ დროს საქართველოში მოღვაწეობდნენ და გამგეობის წევრები იყვნენ ბუმბერაზი ქირურგები: ე.ფიფია, მ.ჩაჩავა, მ.კომახიძე, დ.მამამთავრიშვილი, გ.ხუნდაძე, გ.იოსელიანი, ა.კუტუბიძე დ სხვები. საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ აკად. მ.კომახიძე და იმ დღიდან დაიწყო ბ-ნი გურამის და მ.კომახიძის ძალიან თბილი, ახლო და საქმიანი ურთიერთობები, რამაც საშუალება მისცა ბ-ნ გურამს მონაწილეობა მიეღო ბევრ საკავშირო, რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ყრილობებში.

1974 წელს ბ-ნ გურამს კონკურსით ირჩევენ თსსი-ის პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგედ, რომელსაც მანამდე ხელმძღვანელობდა მისი სათაყვანებელი მასწავლებელი ბ-ნი მ.ჩაჩავა. კათედრის კლინიკური ბაზა იყო კამოს ქუჩაზე მდებარე ა.ალადაშვილის სახ.მე-2 კლინიკური საავადმყოფო, სადაც მასთან ერთად აქტიურად და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ცნობილი და გამოცდილი სპეციალისტები: გივი ცინცაძე, ოთარ ჯანელიძე, ვახტანგ მეტრეველი და ასევე კლინიკისა და კათედრის თანამშრომლები: პროფ. გერმანე ახალაძე და მისი შვილი, ასევე შემდეგ პროფ. გურამ ახალაძე, რომელიც ბ-მა გურამმა მიავლინა ქ.მოსკოვში თავის მეგობართან, მსოფლიოში ცნობილ ბილიარული ქირურგიის სპეციალისტთან პროფ. ე.გალპერინთან, რომელმაც ის დაიტოვა თავის კლინიკაში სამუშაოდ. გარდა ამისა, ბ-ნ გურამთან ერთად მუშაობდნენ დოცენტები: ქ-ნი თინა ურუშაძე, ბ-ნი სულხან ქემოკლიძე, გუგა კუზანოვი, ოთარ თევდორაძე, პროფ. ლ.დვალი და სხვები.

ცალკე უნდა გამოვყოთ და განვიხილოთ ბ-ნი გურამის რესპუბლიკის მთავარ ქირურგად მუშაობის პერიოდი, რომელიც გრძელდებოდა 6 წლის განმავლობაში. ბ-ნი გურამი დაინიშნა ამ თანამდებობაზე 1980 წელს ძალიან რთულ და მძიმე პერიოდში, რადგან საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიამ საბჭოთა კავშირის მთავარი ქირურგის, აკად. მ.კუზინის ხელმძღვანელობით შეამოწმა საქართველოში ქირურგიული სამსახურის მუშაობა და ის უარყოფითად შეაფასა და მკაცრი დასკვნებიც გამოიტანა. საჭირო იყო სიტუაციის და ამ მძიმე მდგომარეობის სწრაფი და რადიკალური შეცვლა რაც შეიძლება მოკლე დროში და ნაკლები დანაკარგებით. ბ-მა გურამმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას და ერთი წლის თავზე საკავშირო სამინისტროს კოლეგიის სხდომამ მიიღო დადებითი დასკვნა და საქართველოს ქირურგიის სამსახურის კონტროლის საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან. ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა რამოდენიმე მთავარი ქირურგის მოღვაწეობა, მაგრამ ბ-ნი გურამისნაირი ენერგიული, ყველა დეტალში და ნიუანსში გარკვეული, ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ ობიექტური, პრინციპული და კოლეგების მიმართ ბოლომდე მათ გვერდში მდგომი არ მახსენდება. მან მოკლე დროში შეძლო ქირურგიაში არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, პრაქტიკოსი ქირურგების პროფესიული დონის ამაღლება, სასწრაფო ქირურგიული დახმარების ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა, სპეციალიზირებული დარგების განვითარება (პროქტოლოგია, უროლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია, გულმკერდის ქირურგია და სხვა) და ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების წინა პლანზე წამოწევა: პროფ. ლ.მანაგაძე, პროფ. ნ.ბოხუა, პროფ. ვ.ფიფია, პროფ. ი.კუზანოვი, პროფ. ა.ბერიძე და სხვები. ბ-ნი გურამი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ასევე რეგიონებში ქირურგიული სამსახურის განვითარებას, ხშირად ჩადიოდა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და მასაც ხშირად სტუმრობდნენ იქაური ქირურგები: ა.ბერიძე, მ.ახალაია, კ.ძაგოევი და სხვები. ბ-ნ გურამს თანამდებობა არასოდეს უღირდა იმად, რომ საკუთარი პრინციპებისთვის და კოლეგიალობისთვის ეღალატა და, როცა რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობასთან ვერ მიაღწია შეთანხმებას, პირადი განცხადების საფუძველზე წამოვიდა ჯერ ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ინსტიტუტის დირექტორის პოსტიდან და შემდეგ რესპუბლიკის მთავარი ქირურგის თანამდებობიდანაც, რადგან ბოლომდე უერთგულა და გვერდში ედგა ერთ-ერთ ცნობილ და ავტორიტეტულ ქირურგს, რომელიც უსამართლოდ იდევნებოდა პარტიული ხე-

ლმძღვანელობის მიერ.

ბ-ნი გურამი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობის პერიოდში ძალიან ხშირად ორგანიზებას უწევდა და აქტიურად მონაწილეობდა მრავალრიცხოვან რესპუბლიკურ, რეგიონალურ (ამიერკავკასიის რეგიონი), საკავშირო თუ საერთაშორისო ყრილობებში, კონფერენციებში, სემინარებსა თუ სესიებში. ის ყოველთვის ცდილობდა საკავშირო დონის და მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციები ჩაეტარებინა თბილისის გარდა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონშიც, რასაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ხელს უწყობდა რეგიონებში მომუშავე ქირურგების პროფესიული დონის ამაღლებას. ასე მაგალითად, მან აკად. ვ.შუმაკოვთან ერთად 1975 წელს ურეკში ჩაატარა დიდი სამეცნიერო კონფერენცია ორგანოთა ტრანსპლანტაციის და კონსერვაციის საკითხებზე, 1984 წელს ქ.ბათუმში საბჭოთა კავშირის ქირურგების აღიარებული ლიდერის, აკად. ბ.პეტროვსკის ხელმძღვანელობით - ამიერკავკასიის ქირურგთა ყრილობა, ქ.ზუგდიდში - გადაუდებელ ქირურგიაში საკავშირო საპრობლემო კომისიის სხდომა, 1991 წელს ასევე ურეკში „Вестник Хирургии"-ის სარედაქციო საბჭოს გაფართოებული სხდომა აკად. ფ.უგლოვის თავმჯდომარეობით და მრავალი სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბ-ნ გურამს ძალიან მჭიდრო და ფართო მეცნიერული, კოლეგიალური და ახლო მეგობრული კავშირები ჰქონდა მსოფლიოს და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წამყვანი ქირურგიული წრეების წარმომადგენლებთან. ეს სია და ჩამონათვალი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და ამიტომ გავიხსენებთ მხოლოდ რამოდენიმე გამოჩენილ და ცნობილ პიროვნებას: ქ.მოსკოვი - აკადემიკოსები ბ.პეტროვსკი, მ.კუზინი, ვ.ფიოდოროვი, ვ.შუმაკოვი, ე.გალპერინი, ვ.ბურაკოვსკი; ქ.ლენინგრადი - აკად. ფ.უგლოვი; ქ.კიევი - აკად.ა.შალიმოვი, აკად.ნ.ამოსოვი; ქ.მინსკი - აკად. ვ.ასტაპენკო; ქ.ტაშკენტი - აკად. ა.ვახიდოვი, აკად. უ.არიპოვი; ქ.რიგა - აკად. ვ. კალნბერზი; ქ.ბაქო - აკად. მ.ჯავადზადე; ქ.ერევანი - აკად. მ.მალხასიანი და მრავალი მრავალი სხვა. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორი თბილი, უშუალო და კომუნიკაბელური იყო ბ-ნი გურამი ამ ურთიერთობებში საკმარისია ერთი ეპიზოდის გახსენება. საქართველოს ესტუმრა ფრანგ ქირურგთა დელეგაცია აკად. მ.კუზინის ხელმძღვანელობით, რომლებიც ბ-მა გურამმა წაიყვანა კახეთში იქაური ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ქ.თელავში გამართულ ბანკეტზე მოიყვანეს ადგილობრივ მომღერალთა გუნდის წევრები, რომლებიც სტუმრებს ბ-მა გურამმა ქირურგებად წარუდგინა. გაიმართა შესანიშნავი იმპროვიზებული კონცერტი და ბ-მა გურამმა სთხოვა მომღერლებს აკად. მ.კუზინის პატივსაცემად შეესრულებინათ მისი ყველაზე საყვარელი ფრონტული სიმღერა, ცნობილი ჰიტი „Темная ночь". მ.კუზინს ცრემლები წამოუვიდა და მან სათითაოდ გადაკოცნა მომღერლები და შემდეგში ის ბ-ნ გურამს თავის მეორე შვილს ეძახდა.

ბ-ნი გურამი გახლდათ მონაწილე ქირუგთა ექვსი საკავშირო ყრილობისა, რომლებიც 4 წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ესწრებოდა ქ.მოსკოვში 1971 წელს ჩატარებულ ქირურგთა მსოფლიო კონგრესს, რომლის დროსაც „პატრონაჟს" უწევდა აშშ-ის და საფრანგეთის დელეგაციებს. 1953 წლიდან ის იყო ყველა ამიერკავკასიის ყრილობების მონაწილე, მრავალჯერ მივლინებული უცხოეთში სამეცნიერო მივლინებებით; აშშ-ში, ისრაელში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ჩეხეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ალჟირში და სხვაგან. ბ-ნი გურამი იშვიათად მიდიოდა მარტო, მას ყოველთვის თან ახლდა თავისი მოწაფეები, მინიმუმ 3-4 ახალგაზრდა, რაზეც მისი კოლეგები არ მალავდნენ ღიმილს და ხუმრობდნენ: „პროფ. გ.ტატიშვილი ჩამოვიდა თავისი ამალით".

ბ-ნი გურამისთვის განსაკუთრებულად ღირებული და გამორჩეული გახლდათ მოღვაწეობა მაშინდელ ქ.N8 ხოლო შემდეგ ქალაქის N4 საავადმყოფოში, სადაც მან გადაიტანა თავისი კათედრის კლინიკური ბაზა. ბ-ნი გურამის თაოსნობით და უშუალო მეთვალყურეობით საავადმყოფოს ტერიტორიაზე აშენდა ახალი ქირურგიული კორპუსი, სადაც მუშაობისთვის იყო შექმნილი იმ დროისათვის იდეალური პირობები: კათედრის პედაგოგების განკარგულებაში იყო სამი ქირურგიული განყოფილება 180 საშტატო საწოლით, დღე-ღამეში საშუალოდ 15-20 ოპერაცია კეთდებოდა, ყველა პედაგოგს ჰქონდა თავისი სამუშაო ოთახი და საშუალება გამოეყენებინა სათანადო თვალსაჩინოებები: ფოტოები, სქემები, პრეპარატები, მულიაჟები, სლაიდები, კინოფილმები და ა.შ. ამიტომ, იმ დროს ყველა ახალგაზრდა ქირურგის სურვილი და ოცნება იყო მოხვედრილიყო ბ-ნი გურამის სუბორდინაციის და ინტერნატურის კათედრაზე, ვინაიდან კარგად იყო ცნობილი ახალგაზრდებისადმი ბ-ნი გურამის მხარდაჭერა და ხელისშეწყობა მისი კატეგორიული მოთხოვნით, რომ ოპერაციების უმეტესობა უნდა ეკეთებინათ ახალგაზრდა ექიმებს კათედრის თანამშრომლების დახმარებით, რაც მათთვის დიდი ქირურგიული სკოლა და პრაქტიკული გამოცდილება იყო. აღნიშნული პრინციპების საფუძველზე ბ-მა გურამმა ჩამოაყალიბა მძლავრი ქირიურგიული სკოლა,რომლის წარმომადგენლები გახლდნენ ასისტენტები, დოცენტები, მედ.მეცნ. კანდიდატები და დოქტორები, პროფესორები და რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითისთვის ჩამოვთვლით რამოდენიმეს, ვინაიდან ყველას ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია. აშშ-ში: პროფ. თ. თამაზაშვილი, მ.კრიხელი, ლ.ხასიდაშვილი; ისრაელში: პროფ. რ.ელიგულაშვილი, ლ.შიმშილაშვილი, ნ.მანაშეროვი; რუსეთში: პროფ.გ.ახალაძე; საქართველოში: პროფესორები: ზ.ბერიაშვილი, კ.შაფათავა, ვ.ჩაჩიბაია, ბ.ჩაკვეტაძე, რ.მაღალაშვილი, შ.ჯოველიძე და მომდევნო თაობის ქირურგები: ა.ფირცხალაიშვილი, გ.თვალავაძე, თ.პირველაშვილი, მ.გურგენიძე, გ.ხუციშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ ბ-ნ გურამის კლინიკაში გატარებულ წლებს.

ბ-ნ გურამს თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი საექიმო, სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური

მოღვაწეობის პერიოდში მრავალი პრემია, ჯილდო და წოდება აქვს მიღებული, მაგრამ მაინც გამორჩეულად უნდა გამოვყოთ 1989 წელს იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდოს მიღება: საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება, რომელიც მას მიენიჭა პროფ. თ.თამაზაშვილთან ერთად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დეკომპრესიის და ენტერალური კვების რაციონალური მეთოდების შემუშავებისთვის. ამ ჯილდოს მიღება ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული მოვლენა გახლდათ, რადგან ეს იყო არა მხოლოდ ბ-ნი გურამის და მისი კლინიკის,არამედ საერთოდ საქართველოს ქირურგიული სკოლის და მისი მაღალი სამეცნიერო პოტენციალის აღიარება და სათანადო შეფასება.

საქართველოს სამედიცინო მეცნიერების განვითარების მაღალი დონე იყო ერთ-ერთი წინაპირობა, რომ 1994 წელს ჩამოყალიბებულიყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, რომლის ინიციატორები იყვნენ ჩვენი სასიქადულო მეცნიერები, პროფესორები: გ.დუმბაძე, ზ.კახიანი, რ.ხეცურიანი, ფ.თოდუა, გ.ვასაძე, ზ.ხელაძე და, რა თქმა უნდა,ბ-ნი გ.ტატიშვილი. აკადემიის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ცნობილი ქირურგი და საზოგადო მოღვაწე,პროფ.ზ.კახიანი,ხოლო ბ-ნ გურამს დაევალა ქირურგიულ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეობა. 2000 წელს გარდაიცვალა აკადემიის პრეზიდენტი ზ.კაზიანი და 2001 წელს აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბ-ნი რამაზ ხეცურიანი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - ბ-ნი გ.ტატიშვილი და ამ საპასუხისებლო მოვალეობას ის პირნათლად ასრულებდა სიცოცხლის ბოლომდე.

მოგეხსენებათ, ადამიანის ზნეობის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება გახლავთ მადლიერების გრძნობა, რომელიც მოჭარბებულად ჰქონდა განვითარებული ბ-ნ გურამს, ვინაიდან მუდმივად ახსოვდა, პატივს მიაგებდა და იხსენებდა თავის დიდ და სათაყვანებელ მასწავლებლებს: პროფ. მ.ჩაჩავას, პროფ. ე.ფიფიას, პროფ. მ.კომახიძეს და აღნიშნავდა, რომ თავის ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ყველა წარმატების თუ გამარჯვების დროს ის გრძნობდა თავისი მასწავლებლების დიდ დამსახურებას და ღვაწლს. ნიშანდობლივია,რომ ორი ბუმბერაზი ქართველი ქირურგის სურათი (იგულისხმება პროფესორები ე.ფიფია და მ.ჩაჩავა) მან გაადიდა, გაამრავლა, გაუკეთა წარწერა „ქირურგიის ორი გიგანტი“ და დაკიდა თავის სამუშაო ოთახებში კლინიკაში და ბინაზე. გარდა მასწავლებლებისა ქირურგიის სფეროდან, ბ-ნი გურამი თავის მასწავლებლებად თვლიდა და დიდ პატივს მიაგებდა ასევე საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ პროფესორები: ნ.ყიფშიძე, პ.გელბახიანი, ლ.შარაშიძე, რ.ვეფხვაძე, პ.შუშანია, ი.ფაღავა და სხვები, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით ბ-ნი გურამის, როგორც ექიმის, მეცნიერის, პედაგოგის და ორგანიზატორის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებული სითბო და გულითადი დამოკიდებულება აკავშირებდა ბ-ნ გურამს თავისი თაობის გამოჩენილ კოლეგებთან, რომლებსაც ასევე თავის ახლო მეგობრებად თვლიდა. მათ შორის იყვნენ პროფესორები: ს.ხუნდაძე, ო.ბურჯანაძე, ზ.ცხაკაია, ვ.ფიფია, ი.მგალობლიშვილი, გ.იოსელიანი, გ.ხუნდაძე, ა.კუტუბიძე, ლ.ჩარკვიანი, კ.მადიჩი, კ.ჩაჩავა და სხვები. ამ თანავარსკვლავედიდან განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ ზ.კახიანი, რომელიც, როგორც ბ-ნი გურამი აღნიშნავდა გარდა იმისა,რომ იყო ექიმი, კლინიცისტი, ქირურგი, პედაგოგი, პროფესორი, რექტორი, პრეზიდენტი - იმავდროულად იყო საზოგადოების სული და გული, სუფრის მშვენება და ქვეყანაში უპირველესი თამადა. ამგვარი მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანები იშვიათად იბადებიან და ღრმა კვალს ტოვებენ თავისი ქვეყნის ისტორიაში.

ბ-ნი გურამი რომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამედიცინო წრეებში ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ არანაკლები სიყვარულით, პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობოდნენ მას ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა სია ძალიან გრძელია და მათი ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანს. ამიტომ უფრო უპრიანი იქნება გავიხსენოთ ადამიანთა ერთი ჯგუფი, როგორც სამედიცინო ისე არასამედიცინო სფეროდან, რომლებიც ალამაზებდნენ ბ-ნი გურამის ცხოვრებას და ითვლებოდნენ მის უახლოეს მეგობრებად. მათ შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ ბატონები: ალექსანდრე კილაძე, ვაჟა გვანცელაძე, აკაკი ხორავა, ბათუ კრავეიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, ზურაბ ანჯაფარიძე, გუგული თორაძე, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, შოთა ლორია, გიგა დიაკვნიშვილი, რეზო მელაძე, სპარტაკ ლაშხი, რევაზ საყევარიშვილი, გრიშა ერემეიშვილი, ვასო კელენჯერიძე. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ და აღვნიშნოთ ბ-ნი გურამის ძმური სიყვარული და მეგობრობა ქალაქის „კოლორიტულ“ პიროვნებებთან: თემიკო ჩირგაძესთან, ოთარ აბდუშელიშვილთან, მიხეილ იაშაღაშვილთან და „სამ მუშკეტერად“ წოდებულ ტრიოსთან: კაპიტონ გაფრინდაშვილ, კაკო თვალჭრელიძე და ვანო რამინიშვილთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,რომ გარდა ცნობილი პიროვნებებისა, ბ-ნ გურამს თბილი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ასევე სრულიად უბრალო ადამიანებთან, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა და ეროვნული წარმომავლობისა, რომელთაგან ზოგი მუშა გახლდათ, ზოგი მძღოლი, ხელოსანი, საქმოსანი და რომლებსაც აღმოაჩნდათ ისეთი მაღალი ზნეობა და პიროვნული ღირსება,რომ ბ-ნი გურამი ძალიან უფრთხილდებოდა მათთან მეგობრულ ურთიერთობას. ალბათ სწორედ მეგობრობაა ქართველი

კაცის ეროვნული მახასიათებელი და განსაკუთრებული ფენომენი, რომელიც ბ-ნი გურამის განმარტებით გენიალურად ახსნა ცნობილმა ქართველმა ფსიქიატრმა გაიოზ შარაშიძემ: „ჩვენ გვაქვს ზოგი რამ ისეთი, რაც დასავლელი კაცისთვის სანატრელია... ყოველ ამერიკელს თავისი ფსიქოანალიტიკოსი ჰყავს, როგორც კი რამე გაუჭირდება, მასთან გარბის და იტარებს ფსიქოანალიზის სეანსს. ასე იმიტომ იქცევა,რომ მეგობრები არ ჰყავს... ჩვენთან მეგობრების წრე და მეგობრობა თვითონ არის დიდი ფსიქოთერაპიული ეფექტის ინსტიტუტი. მეგობართან რომ მივალ და გულს გადავუშლი, ექიმი აღარც დამჭირდება. ეს არის ჩვენი ცხოვრების წესი, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ."

მოგეხსენებათ ბ-ნი გურამი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობისპერიოდში ხშირად იყო ადმინისტრაციულ თანამდებობებზე და კარგად იყო გარკვეული ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საკითხებში. მისი მოსაზრებები და რჩევები თანამედროვე ჯანდაცვის, უმაღლესი სამედიცინო განათლების, ახალგაზრდა პრაქტიკული და სამეცნიერო კადრების მომზადების და სამეცნიერო ხარისხების მინიჭების საკითხებზე დღესაც ძალიან აქტუალური და საყურადღებოა სისტემაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. ბ-ნი გურამი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მთავარი არის ის, რომ ქვეყანას არ გააჩნია მოსახლეობის ჯანდაცვის განვითარების ერთიანი გრძელვადიანი კონცეფცია დამტკიცებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ; უმწეოთა და სიღარიბის ზღვარზე მყოფთა ნაწილის სამედიცინო მომსახურებაც თავის დროზე არასწორად გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც მხოლოდ მოგებაზე არიან ორიენტირებულნი; საკამათოა მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების მიერ საკუთარი ჰოსპიტალური ბაზის შექმნის ტენდენცია; არასწორია 60 წელს გადაცილებული ადამიანების ცოდნის, გამოცდილების, ინტელექტის და შრომის უნარის იგნორირება; უმაღლესი სამედიცინო დაწესებულების სასწავლო ბაზების გაყიდვა (ამ მხრივ რეკორდსმენია თსსუ); კატასტროფული მდგომარეობაა ქირურგების ახალგაზრდა სამეცნიერო და პრაქტიკული კადრების მომზადების საქმეში. კრიტიკულად იყო განწყობილი ბ-ნი გურამი ხარისხების მინიჭების ახალი გაურკვეველი სისტემისადმი და აღნიშნავდა, რომ საკანდიდატო ხარისხი საერთოდ გაუქმდა (დასავლეთის მიბაძვით), მუდმივმოქმედი საბჭოები აღარ არსებობენ და ხდება მედიცინაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება. გაუგებარია, რატომ მოაცილეს ხარისხს სიტყვა „სამეცნიერო" და რას ნიშნავს დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2004 წელს მისთვის მიუღებელი გახდა აღნიშნული რეფორმა და იგი პირადი განცხადების საფუძველზე გამოვიდა საბჭოს შემადგენლობიდან. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა მედიცინის, როგორც სპეციალობის ავტორიტეტის დევალვაცია, მნიშვნელოვნად შემცირდა ექიმად გახდომის მსურველთა რიცხვი, ხოლო ქირურგიაში უკვე მხოლოდ ერთეული ენთუზიასტები თუ მიდიან.

ბ-ნი გურამი თავის საექიმო საქმიანობაში არასოდეს შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქირურგიის ვიწრო ჩარჩოებით, რადგან მიაჩნდა, რომ ქირურგი თავის სპეციალობის გარდა კარგად უნდა ერკვეოდეს მოსაზღვრე სპეციალობებში და უნდა იცნობდეს მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს და, აქედან გამომდინარე, მან შეაგროვა და შექმნა ძალიან მდიდარი და სოლიდური სამედიცინო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. განსაკუთრებით ძვირფასი იყო მისთვის ავტორების მიერ სათანადო წარწერით ნაჩუქარი წიგნები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავათ მისი მასწავლებლების აკადემიკოსების: მ.ჩაჩავას, ე.ფიფიას, მ.კომახიძის, მ.ვოლკოვის და უცხოელი კოლეგების წიგნებს. სამწუხაროდ, ბ-ნი გურამის უფროსი ვაჟიშვილი, ბ-ნი გოგი ტატიშვილი, ჩვენი მეგობარი და კოლეგა, რომელიც გახლდათ დახვეწილი მანერების მქონე რაფინირებული ინტელიგენტი და წარმატებული ქირურგი, ადრე გარდაიცვალა (რაც უმძიმესი ტრავმა და ტრაგედია იყო ბ-ნი გურამისთის ისევე როგორც მოგვიანებით ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილიშვილის მშვენიერი სალომეს ტრაგიკული დაღუპვა), ხოლო დანარჩენმა შვილებმა არცერთმა არ მოინდომა ქირურგია. და, ვინაიდან ბ-ნი გურამი თვლიდა რომ, ალბათ არც რომელიმე შვილიშვილს გაუჩნდებოდა ინტერესი ქირურგიისადმი, მიიღო კეთილშობილური გადწყვეტილება და ყველა თავისი წიგნი, მიძღვნილი ქირურგიისა და მომიჯნავე სამედიცინო დარგებისადმი, ეჩუქებინა კლინიკისთვის და თავისი სამუშაო ოთახი გადაექცია ბიბლიოთეკად.

მოგეხსენებათ, ქირურგის სპეციალობა მოითხოვს ყოველდღიურფიზიკურ და სულიერ მზადყოფნას, ვინაიდან კარგი ფიზიკური მონაცემების და მოწესრიგებული ნერვული სისტემის გარეშე ექიმი, და განსაკუთრებით ქირურგი, წარმატებას ვერ მიაღწევს. და ბ-ნი გურამი სიცოცხლის ბოლომდე რომ იტყვიან მშვენიერ „სპორტულ ფორმაში" იყო. მუდმივად მოძრავი, აქტიური, ენერგიული და საქმისთვის თავდადებული - აი ასეთი დარჩა ის ჩვენს მეხსიერებაში. მისი ცხოვრების ფილოსოფია იყო მუდმივი მოძრაობა: ის სისტემატურად ვარჯიშობდა, ყოველდღიურად გადიოდა 3-5 კილომეტრს,ვარჯიშობდა ფიტნეს-კლუბში ტრენაჟორებზე, ცურავდა და საუნაში დადიოდა კვირაში სამჯერ. ეს ყოველივე მისთვის საუკეთესო საშუალება იყო სიმხნევის შესანარჩუნებლად და წვეულებებზე, თუ ქორწილებში ის ტოლს არ უდებდა არავის მოლხენასა და ცეკვაში. ბ-ნი გურამი თავისი ცხოვრების სტილით ნამდვილად ამართლებდა ერთ ბრძენ გამონათქვამს: „ბოლომდე გამოიყენეთ თქვენი ჯანმრთელობა, იცოცხლეთ სრულფასოვნად და ნუ ეცდებით შემოინახოთ სასიცოცხლო ძალები მარადიული მიწიერი ცხოვრებისათვის - თქვენ წააგებთ". ბ-ნი გურამი შეუდარებელი და გამორჩეული თამადა გახლდათ ყველა მნიშვნელოვან წვეულება თუ ბანკეტზე, რაშიც ჩვენ პირადად არაერთხელ დავრწმუნდით და ცნობისთვის ერთ პატარა ეპიზოდს გავიხსენებ. მოსკოვში მედიკოსთა ერთერთ ავტორიტეტულ წვეულებაზე აკად. მ.სტუდენიკინმა მიკროფონთან მიიწვია ბ-ნი გურამი და სადღეგრძელოს წარმოთქმა სთხოვა და ბ-მა გურამმა შემდეგი რამ ბრძანა: „შევსვათ სადღეგრძელო ამაყი და ღირსეული ქალისა, რომელიც მუდამ უნდა იყოს გარემოცული ყვავილებით, მუსიკით და სიყვარულით." წვეულების ბო-

გურამ ტატიშვილი შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად

ლოს ეს სადღეგრძელო ჩათვალეს საუკეთესოდ და ჯილდოდ გადასცეს ბ-ნ გურამს ლამაზი ლარნაკი.

ბ-ნ გურამს ჰყავდა და ჰყავს შესანიშნავი ოჯახი და სანათესაო წრე. მისი მეუღლე გახლავთ ქ-ნი ლენა მერცალოვა, რომელიც გახლდათ წარმატებული პრაქტიკოსი მეან-გინეკოლოგი ჯერ კ.ჩაჩავას სახ. მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ქალაქის მე-2 სამშობიარო სახლში. ქ-ნი ლენას კეთილშობილებამ, მისმა სათნოებამ, ქმარ-შვილის უსაზღვრო სიყვარულმა და მათზე მზრუნველობამ უზრუნველყო ოჯახის კეთილდღეობა და ბევრად შეუწყო ხელი მეუღლის და შვილების წარმატებებს და წინსვლას. ბ-ნი გურამი მოსიყვარულე მამა და ბაბუა გახლდათ. მას ჰყავს სამი შვილი: დავითი, მერაბი და ნინო ტატიშვილები. დავითმა ღირსეულად გააგრძელა მამის და დედის ოჯახების, ტატიშვილების და საყვარელიძეების დიდი ტრადიციები და დღეს ის გახლავთ მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათას აკადემიის აკადემიკოსი და თანამედროვე მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის წარმატებული ხელმძღვანელი. მერაბი ასევე ნაყოფიერად ეწევა პროფესიულ საქმიანობას და დაარსებიდან დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს მსხვილ და ავტორიტეტულ სამედიცინო ცენტრ „იუნონას“. ბ-ნი გურამის ქალიშვილი, მშვენიერი ნინო ტატიშვილი ასევე მედიკოსი გახლავთ, მან წარჩინებით დაამთავრა სტომატოლოგიური ფაკულტეტი, წარმატებით გაიარა ასპირანტურის კურსი, დაიცვა დისერტაცია და შექმნა შესანიშნავი ოჯახი ბ-ნ რეზო ჯორბენაძესთან.

ბ-ნ გურამს ჰყავს 11 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი და სულ იძახდა, რომ იმედი მაქვს ეს რიცხვი გაიზრდებაო. ისინი არამარტო ალამაზებდნენ, არამედ დიდი ხანია იყვნენ მისი ცხოვრების უმთავრესი ინტერესი და მიზანი. ბ-ნი გურამი ნამდვილად ამაყი და ბედნიერი იყო, რომ შვილიშვილები ვითარდებოდნენ ლაღად და ჰარმონიულად, რომ მათი მშობლები, ბებია, ბაბუები არაფერს იშურებდნენ მათი ფიზიკური და გონებრივი სრულყოფისათვის. როგორც ცნობილი ფრანგი მწერალი გ.ფლობერი აღნიშნავდა: „ცხოვრების პირველ ნაწილს გვიმწარებენ მშობლები, მეორეს - შვილები“, ხოლო ბ-ნი გურამი ამატებდა, რომ მესამე ნაწილს გვილამაზებენ შვილიშვილებიო.

ბ-ნ გ.ტატიშვილის ძალიან შინაარსიანი, საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების და პროფესიული მოღვაწეობის განვლილი გზის გასახსენებელი და მოსაგონარი კიდევ ძალიან ბევრი რამ არის, მაგრამ ალბათ სადღაც უნდა შევჩერდეთ, შევაჯამოთ, გავაანალიზოთ და გავითავისოთ მის მიერ მოწოდებული მოსაზრებები და რჩევა-დარიგებები. თავის მოგონებებში ბ-ნი გურამი წერდა: „ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა - მისი მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნება, ყოფა და კულტურა, შესანიშნავი ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები. თაყვანს ვცემ წინაპართა ხსოვნას. ათეული წლები გავატარე ჩემი ქვეყნის და ხალხის სამსახურში. როგორც დრომ აჩვენა, იყო წარმატებები, შეფერხებები, დაბრკოლებები, მძიმე წლები, მაგრამ მთავარი და არსებითია ის, რომ ამ ხნის მანძილზეერთხელაც არ გავჩერებულვარ, როგორც იტყვიან, ხელები არ ჩამომიშვია... მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, მწამს, რომ მედიცინის დღევანდელი მდგომარეობა

დროებითი მოვლენაა. ბოლოს და ბოლოს დამთავრდება სამედიცინო ობიექტების გაყიდვა-გაჩუქება, გაუთავებელი, არაფრის მომცემი რეფორმები, როგორც ჯანმრთლობის, ისე უმაღლესი განათლების სისტემაში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და გრ.მუხაძის, ე.ფიფიას, მ.ჩაჩავას, მ.კომახიძის და სხვა მრავალი მამულიშვილის მიერ ქართულ ნოყიერ ნიადაგში ჩადებული მადლი გამოიტანს თავის ნაყოფს, რომელიც კვლავ გააბრწყინებს ქართულ ქირურგიას. ამის იმედს მაძლევს დღეს მოღვაწე ქართველი ქირურგების საშუალო და ახალგაზრდა თაობა... ჩემი გადასახედიდან ბევრს ვფიქრობ არამარტო წარსულზე, არამედ მომავალზეც, რა იქნება ხვალ, ზეგ, ან მრავალი წლის შემდეგ, რა ბედი ელის საქართველოს, ქართველ ხალხს... ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის, რომ ჩვენმა თაობამ აქედანვე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ შთამომავლობამ უკეთს საქართველოში იცხოვროს, ჩვენი ერი კი აღარასოდეს დადგეს საფრთხეებისა და განსაცდელის წინაშე."

ჩემთვის მეტად საპასუხისებლო საქმე და საპატიო მოვალეობა გახლდათ პროფ. გურამ ტატიშვილის შესახებ მოგონების დაწერა, ვინაიდან მასთან სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული მაკავშირებდა თითქმის 40 წელზე მეტი თბილი და მჭიდრო პროფესიული, კოლეგიალური, ადამიანური და, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ასევე ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობები. ბ-ნი გურამი გახლდათ უფროსი თაობის ქართული ქირურგიული სკოლის ბრწყინვალე კოჰორტის ღირსეული წარმომადგენელი და სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელი, რომელიც მუდმივად ახსენებდა და პატივს მიაგებდა თავის წინაპრებს, მშობლებს, სათაყვანებელ მასწავლებლებს, მრავალრიცხოვან კოლეგებს და მოწაფეებს. სწორედ ქირურგიის მემკვიდრეობითი ტრადიციების გამო ბ-ნი გურამის ინიციატივით, მისი თაოსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით ახლიდან ჩამოყალიბდა, აღორძინდა და უკვე ნაყოფიერად ფუნქციონირებს საქართველოს გრ.მუხაძის სახ. ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა აკად. გურამ ტატიშვილი.

ქირურგიაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, არსებობს გარემოცვაზე ამაღლების ორი საშუალება: ერთი გულისხმობს კაცთმოყვარეობას, პროფესიონალიზმს, აკადემიურობას, კოლეგიალობას და ჰუმანურ დამოკიდებულებას, ხოლო მეორე საშუალება - დამცირებათა და შეურაცხყოფათა ხარჯზე საკუთარი თავის ამაღლებაა. მაგრამ მხოლოდ პირველი საშუალება ალამაზებს ადამიანს და მართლაც რომ ამაღლებს მას გარშემო მყოფებზე და სწორედ ამ პირველი ხერხით მოიპოვა ბ-მა გურამმა საყოველთაო აღიარება, სიყვარული და პატივისცემა. მისი ერთ-ერთი წიგნის წინათქმაში ვკითხულობთ: „მე ყოველთვის ვცდილობდი მეხელმძღვანელა ერთი პრინციპით: წუთისოფელი ისე უნდა განვლო, რომ უკან მოხედვისას არ შეგრცხვეს", და ბ-მა გურამმა ეს ნამდვილად შეძლო, მან ღირსეულად და ამაყად განვლო თავისი გზა და ვალმოხდილი და პირნათელი წავიდა ჩვენგან.

ქედს ვიხრი თქვენი ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბ-ნო გურამ!

პროფესორი მერაბ ა. კილაძე
აშშ, საერთაშორისო, ევროპის და
რუსეთის ქირურგთა ასოციაციების ნამდვილი წევრი

* * *

ერთი თვეც არ არის გასული, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, საქართველოს სამედიცინო და აკადემიურმა საზოგადოებამ უდიდესი გულისტკივილით უკანასკნელ გზაზე გააცილა საქართველოს ქირურგიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი დასტაქარი და პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ტატიშვილი.

ბატონმა გურამმა მის მშობლიურ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თანმიმდევრულად განვლო აკადემიური კარიერის ყველა საფეხური: ბრძანდებოდა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი (1957-59), დოცენტი (1959-70), პედიატრიის ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი (1970-74), ამავე კათედრის გამგე (1974-84), სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიის N3 კათედრის (სუბორდინატორთათვის) გამგე (1984-2004). ამასთან, ბატონ გურამ ტატიშვილს, ჰქონდა რა აქტიური და შეუპოვარი მოქალაქეობრივი პოზიცია, საექიმო თუ პედაგოგიური საქმიანობის თითქმის ყველა საფეხურზე პარალელურად ეკავა საპასუხისმგებლო და რთული ადმინისტრაციული თუ საორგანიზაციო თანამდებობები: იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, შემდეგ ჯერ სან-ჰიგიენური ფაკულტეტის, მოგვიანებით - სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სასწავლო-მეთოდურ საბჭოს, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს ქირურგიული პროფილის დისციპლინებში. ამიტომაც იყო ბატონი გურამის სიტყვა ყოველთვის ღირებული: მისი თითოეული რეკომენდაცია თუ აქტივობა გატარებული იყო უმდიდრესი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილების პრიზმაში და, რაც მთავარია, მუდამ ნაკარნახები იყო სამედიცინო უნივერსიტეტის, მისი თითოეული წევრის სიყვარულით.

ბატონი გურამ ტატიშვილის უშუალო და უშურველი ძალისხმევით მომზადდა ქირურგთა რამდენიმე თა-

ობა, დაინერგა მკურნალობისა და დიაგნოსტიკის არაერთი ახალი მეთოდი, ჩატარდა მრავალრიცხოვანი პროფესიული და სამეცნიერო ფორუმი რესპუბლიკურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. სრულიად ფასდაუდებელია ბატონი გურამის დამსახურება საქართველოს რეგიონების ახალგაზრდა დასტაქრების კადრებით დაკომპლექტებაში. მისი აღზრდილები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი გურამი ყმაწვილობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით საზოგადოების და საკუთარი დიდი (ამ სიტყვის შინაარსობრივი გაგებით) ოჯახის წინაშე, ოჯახისა, რომელმაც ეპოქა შექმნა საქართველოში მედიცინის ისტორიაში და რომლის წარმომადგენელები დღესაც დგანან ჩვენი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განვითარების ავანგარდში. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ბატონი გურამის ავტორობით შექმნილი წიგნი „ჟამი ფიქრის, მოგონების და განსჯის“ საქართველოში მედიცინისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების განვითარების სოლიდური მონაკვეთის მატიანედ იქცა. ბატონი გურამის ეს ნააზრევი და ნამუშევარი დიდი დანატოვარია ჩვენთვის.

პროფესორი გურამ ტატიშვილი ბოლო დღემდე – ამ სიტყვის პირდაპირი და სრული გაგებით - აქტიურად იყო ჩართული მისი Alma Mater-ის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მისი სიტყვა უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებაში და რექტორის მრჩეველთა საბჭოში იყო ყოველთვის საქმიანი, ობიექტური და სანდო; სრულიად გამორჩეულია ბატონი გურამის როლი საქართველოს ქირურგთა ასოციაციის მუშაობის გააქტიურებაში და პერიოდული დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალის - „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ გამოცემაში. იგი ამ საქმის სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ძალა იყო, რაც, მოგეხსენებათ, არასდროს იყო იოლი, ახლა კი - ინფორმაციის სიუხვის ეპოქაში - მით უფრო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეულ წევრს – დიდს თუ პატარას – ყოველთვის ჰქონდა იმედი გურამ ტატიშვილის სიტყვის და საქმის, ერთურთს რომ არასდროს შორდებოდა. პროფესორმა გურამ ტატიშვილმა თავაწეულმა ატარა ჯერ საქართველოში ცნობილი სამედიცინო დინასტიის წარმომადგენლის, შემდეგ კი – დიდი სამედიცინო ოჯახის ბურჯის ტვირთი, რითაც მისაბაძი მაგალითი მისცა მის მრავალრიცხოვან და საამაყო შთამომავლობას, მოსწავლეებს, თითოეულ ჩვენგანს.

ბატონი გურამი პატივს სცემდა წარსულს, აქტიურად ემსახურებოდა აწმყოს და ამიტომაც იყო დასაყრდენი მომავალი თაობისთვის. „ტრადიციებით მომავლისკენ“ – ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლოზუნგია, რომლის ნათელი განსახიერება იყო პროფესორ გურამ ტატიშვილის ხანგრძლივი ცხოვრება, ექვს ათეულ წელიწადზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიული და საზოგადოებრივი აქტივობა.

ბატონი გურამ ტატიშვილის ცხოვრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითქმის ასწლოვანი ისტორიის საამაყო ფურცელია.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

გურამ ტატიშვილის ხსოვნას

ცხოვრებამ მრავალ შესანიშნავ ადამიანთან ურთიერთობის ბედნიერება მარგუნა, მათ შორის არიან პიროვნებები, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში და არა მხოლოდ ჩემს, არამედ მთელი ქართული საზოგადოების ცხოვრებაში.

ამდენად, მათი გახსენება უდიდეს სიამოვნებას მგვრის და ამავდროულად, მათ შესახებ საუბარი განსაკუთრებით ძნელია.

ბატონი გურამ ტატიშვილის მსგავს პიროვნებაზე ზოგადი სიტყვებით საუბარი ისედაც არ არის იოლი. მისი გარდაცვალება ყოველი ჩვენგანისთვის და მთლიანად ქართული სამედიცინო საზოგადოებისთვის უდიდესი დანაკლისია.

ბატონი გურამი არის პატრიარქი თანამედროვე ქირურგიის, დიდი ორგანიზატორი და კიდევ უფრო დიდი პედაგოგი. მან აქტიური პედაგოგიური საქმიანობა 1957 წლიდან დაიწყო და აღზარდა არაერთი თაობა ქართველი ქირურგებისა. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და მით უფრო მეტად გვაკლია დღეს. ყოველთვის სასიამოვნოა ჭკვიან და საქმიან ადამიანებთან ურთიერთობა, მითუმეტეს თუ ეს ადამიანი ნამდვილი პროფესიონალია. მიხარია, რომ ცხოვრებამ შემახვედრა ბატონ გურამს ჩემი პროფესიული გზის დასაწყისში. მე ვესწრებოდი მის სადოქტორო დისერტაციის დაცვას მოსკოვში და სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი პროფესიული, საქმიანი, მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ. ბატონი გურამი ყოველთვის მეგობრულად, უფრო მეტიც, მამა-შვილურად გულშემატკივრობდა ჩემს ყოველ წამოწყებას და უხაროდა ნებისმიერი წარმატება. მისი რჩევები იყო ნამდვილად საქმიანი და ჩემთვის ფასეული. ეს იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა ჯანმრთელობის ფასი, ესმოდა ექიმობის ტვირთის სიმძიმე, რასაც ღირსეულად ატარებდა მთელი ცხოვრების მანძილზე. მისთვის ყოველთვის პირველ ადგილზე იყო ადამიანებზე ზრუნვა, მათ კეთილდღეობაზე ფიქრი. ბევრი არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ბატონი გურამის მსგავსად ჰქონოდა გაცნობიერებული პიროვნების ფასი – ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა. მისი განათლება, პროგრესული აზროვნება, შინაგანი ინტელიგენტურობა და წესიერება, მართლაც რომ სამაგალითო იყო ბევრისათვის. ბატონი გურამი პრაქტიკულ სამედიცინო

აკადემიკოსები:
ვ. ბოჭორიშვილი,
რ. ხეცურიანი,
რ. მეტრეველი, ფ. თოდუა

მოღვაწეობასთან ერთად იყო შესანიშნავი მეცნიერი. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი შრომა და წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ცნობილი ფაქტია: ნიჭიერი ადამიანები ერთნაირად გონივრულად აკეთებენ ყველაფერს, რასაც კი ხელს ჰკიდებენ. სწორედ ამგვარი პიროვნება გახლდათ ბატონი გურამიც. ფაქტიურად მთელი შეგნებული და აქტიური სამედიცინო კარიერის განმავლობაში უწყვეტად მქონდა კონტაქტი ბატონ გურამთან და ვგრძნობდი მის მხარდაჭერას. მე ბევრი ვისწავლე მისგან.

მართლაც იშვიათია ადამიანი, რომელშიც ასე ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული ამდენი ტალანტი და მათი გამოყენების უნარი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ღირსების და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, მრავალი სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, იგი იყო არაჩვეულებრივად კეთილშობილი, გულისხმიერი პიროვნება. მისი ყოველი ნაბიჯი თავისი პროფესიის სიყვარულით იყო გაჯერებული და ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ მიმართული, რამეთუ ყოველი ადამიანი, რომელიც პროფესიულად, ცოდნით და სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს, ქვეყნის აღმშენებლობასა და განვითარებას ემსახურება. ექიმის პროფესიული თვისებები: გულისხმიერება, გულმოწყალება, ადამიანების დახმარების მოთხოვნილება ბატონი გურამის ბუნების განუყრელი ნაწილი იყო.

ბატონი გურამ ტატიშვილი ჩემთვის იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებთან ურთიერთობაც განსაკუთრებულ სიამოვნებას განიჭებს თავისი ნიჭიერებისა და მრავალმხრივი განვითარების გამო, ამიტომაც ძალიან გვაკლია ის, როგორც მეგობარი, თანამოქალაქე, ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანი, ჭეშმარიტი პრფესიონალი.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა

გურამ ტატიშვილის გახსენება

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი დაუღალავი შრომით, კეთილსინდისიერებით, კოლეგებთან დამოკიდებულებით ნათელ კვალს ტოვებენ თავიანთი წასვლის შემდეგ. მათ რიგს ნამდვილად მიეკუთვნება პროფესორი გურამ ტატიშვილი. ჩემთვის ძალზედ ძნელია ბატონი გურამი წარსულ დროში მოვიხსენიო, მეტადრე ჯერ მისი გარდაცვალებიდან 40 დღეც კი არ არის გასული. ასევე ძნელია იმიტომ, რომ ბატონ გურამთან, ჩემი სტუდენტობიდან დაწყებული ურთიერთობა მაკავშირებს: ჯერ როგორც სტუდენტი და ლექტორი, შემდეგ როგორც უფროსი კოლეგა, და ბოლოს, როგორც მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. ყველა განვლილი პერიოდი ბატონ გურამთან ურთიერთობისა, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან, თბილ და სასიამოვნო მოგონებად დარჩა.

ბატონი გურამი, როგორც პედაგოგი, მართლაც გამორჩეული იყო, მე არ მეგულება ქირურგიაში სხვა მისი თაობის სპეციალისტი, რომელიც ისე მონდომებით ზრუნავდა მომავალი ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდაზე. ის მართლაც სამაგალითო იყო, არა მარტო როგორც პედაგოგი, არამედ როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი და მეგზური, მეგზური მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. მან მრავალი სპეციალისტი აღზარდა და აღსანიშნავია, რომ ყოველ მათგანთან მას თითქმის ყოველდღიური კავშირი ჰქონდა. როგორც ცნობილია - პედაგოგიკის იარაღიც და საშუალებაც სიყვარულია. სწორედ უდიდესი სიყვარული თავისი პროფესიის, ახალგაზრდა თაობის და თვით პედაგოგიური პროცესისა იყო საფუძველი იმ ურთიერთობისა, რაც გურამ ტატიშვილის ქირურგიული სკოლის ფუნდამენტს ქმნიდა. სწორედ ამიტომ შედეგიც შესაბამისი იყო, მისი მოწაფეები დღეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში წარმატებით მოღვაწეობენ.

ვისაც ბატონი გურამის წიგნი „ჟამი ფიქრის მოგონებების და განსჯის“ ერთხელ ზერელედ მაინც აქვს გადათვალიერებული, აუცილებლად დარწმუნდება რომ მისი ავტორის მიერ განვლილი გზა (ის მან 80 წლის ასაკში გამოაქვეყნა) მართლაც სამაგალითო და მისაბაძია ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის, მკითხველი გრძნობს, რომ მთელი განვლილი პერიოდი, თითქოს წინასწარ დაგეგმილი, დაპროექტებული პროცესი იყო. რომ მისი ავტორი უაღრესად მიზანსწრაფული, ზედმიწევნით დაუღალავად მშრომელი პიროვნებაა ვისთვი-

საც მიზნის მიღწევის საშუალება მხოლოდ შრომა იყო. ბატონი გურამი ახალგაზრდობის პერიოდიდანვე იყო ჯანდაცვის მაღალკვალიფიციური ორგანიზატორი, ამ სისტემის რეორგანიზაციას მოანდომა თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი და უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ უდიდეს სიამოვნებას ღებულობდა შესრულებული სამუშაოს, თავისი პედაგოგების თუ თავისი მოსწავლეების გახსენებით, ის მართლაც სამაგალითო პიროვნება იყო.

ბატონი გურამი მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი იყო. მან ბევრი საჭირო და აუცილებელი ინიციატივა არა მარტო დააყენა აკადემიის წინაშე, არამედ ყველაფერი გააკეთა მისი განხორციელებისთვის. დიდია მისი წვლილი ჩვენი აკადემიის მსოფლიო აკადემიის წევრად არჩევის საკითხში. ეს პროცესი თითქმის მთელი 5 წელი მიმდინარეობდა და მხოლოდ გასულ 2015 წელს დასრულდა.

როგორც ცნობილია, წასული ადამიანების გახსენება ყოველთვის ემოციასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ ემოციასთან ერთად ბატონი გურამის გახსენებისას სიამაყის გრძნობა გიპყრობს, რომ შენ მეგობრობდი დიდი მეცნიერთან, სწორუპოვარ პედაგოგთან, უაღრესად კარგ მეოჯახესთან, ბრწყინვალე მამასა და ბაბუასთან, ერთგულ თანამოაზრესთან, რომელიც ყოველ გახსენებაზე გავალდებულებს არასდროს არ დაკმაყოფილდე მიღწეულით და ყოველთვის იყო გულწრფელი როგორც მოსწავლეებთან, ასევე შენს მასწავლებლებთან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

* * *

ბატონი გურამ ტატიშვილის ხანგრძლივი და მეტად საინტერესო ცხოვრებიდან მინდა გამოვყო მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, კერძოდ, რესპუბლიკის მთავარი ქირურგის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ქირურგიული სამსახურის მუშაობის შემოწმების საფუძველზე საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიამ მკვეთრად უარყოფითი დასკვნა გამოიტანა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთი წელი განუსაზღვრეს.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ საქმის გაძღოლა ბატონ გურამ ტატიშვილს სთხოვა, რისთვისაც მას რესპუბლიკის მთავარი ქირურგის პოსტი შესთავაზეს. ბატონი გურამი იმ პერიოდში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის ერთ-ერთი კათედრის გამგე იყო და კარგად იცნობდა დარგში არსებულ პრობლემებს.

იმ პერიოდისთვის საქართველოში და, განსაკუთრებით თბილისში, აღინიშნებოდა ქირურგიული საწოლების სიჭარბე, რის გამოც მათი დატვირთვის მაჩვენებლები ძალზედ დაბალი იყო. შესაბამისად, დაბალი იყო სტაციონარებში მომუშავე ქირურგების აქტივობაც, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მათ პროფესიულ ზრდაზე. ძალზედ მცირე იყო სპეციალიზებულ ქირურგიულ საწოლთა რაოდენობაც.

ბატონი გურამ ტატიშვილის ხელმძღვანელობით საკმაოდ მოკლე დროში მოხერხდა მოსახლეობის ქირურგიული დახმარების არსებული სისტემის ძირეული გარდაქმნა, რამაც ის უფრო მოქნილი და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადა. შემცირდა ქირურგიული საწოლების ჭარბი რაოდენობა, ამაღლდა პრაქტიკოსი ქირურგების პროფესიული დონე, თბილისსა და რესპუბლიკის დიდ ქალაქებში დაიხვეწა სასწრაფო ქირურგიული დახმარების ორგანიზაციული ფორმები.

ბატონი გურამი ავთანდილ ჯორბენაძესთან ერთად

ბატონი გურამის დამსახურებაა იმ პერიოდში ქალაქის მე-8 საავადმყოფოს ქირურგიული სამსახურის მკვეთრი გაძლიერება. თავდაპირველად ბევრი მისი კოლეგა გაკვირვებულიც იყო, თუ რატომ გადაწყვიტა ბატონმა გურამმა თავისი კათედრის კლინიკური ბაზის ქალაქის ცენტრში მდებარე ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან გარეუბანში მდებარე მე-8 საავადმყოფოში

გადატანა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, ყოფილი მე-8, შემდგომ კი ქალაქის მე-4 საავადმყოფოს ტერიტორიაზე მისი ძალისხმევით აშენდა 200 საწოლზე გაშლილი ახალი ქირურგიული კორპუსი, რომელშიც კათედრისა და ქირურგიული განყოფილების მუშაობისთვის შეიქმნა იმ დროისათვის იდეალური პირობები.

ბატონ გურამ ტატიშვილის რესპუბლიკის მთავარ ქირურგად მუშაობის პერიოდში მის უდავო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ქირურგიის სპეციალიზირებული დარგების განვითარება რეგიონებში. იმ პერიოდში გაიხსნა პროქტოლოგიის, უროლოგიის, სისხლძარღვთა და გულმკერდის ქირურგიის განყოფილებები ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, თელავში და ფოთში.

განსაკუთრებულია ბატონი გურამის როლი ახალგაზრდა ქირურგების აღზრდასა და დახელოვნებაში. სამკურნალო ფაკულტეტის სუბორდინატორთა ქირურგიის კათედრის თანამშრომლებს კარგად ახსოვთ კათედრის გამგის მკაცრი მოთხოვნა, რომ ახალგაზრდა ქირურგებს კათედრის თანამშრომელთა დახმარებით ეკეთებინათ მეტი ოპერაციები. ყველა ოპერაციაში აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა სტუდენტ-სუბორდინატორს, ხოლო ინტერნები კი, გამოცდილი ქირურგების მეთვალყურეობით, დამოუკიდებლად აკეთებდნენ ოპერაციებს.

ბატონი გურამი უკვე მხცოვან ასაკშიც აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის განსაკუთრებით ამაყობდა მის მიერ 2014 წელს აღორძინებული გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობითა და ამ საზოგადოების ეგიდით დაარსებული სამეცნიერო ჟურნალით „საქართველოს ქირურგიის მაცნე“.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ ჩვენ უახლოესი ნათესავები გავხდით. ჩემმა ვაჟიშვილმა რევაზმა და ბატონი გურამის ქალიშვილმა ნინომ იქორწინეს. ერთობლივი სიხარული ჩვენი ორი შვილიშვილია, რომლებიც მომავალში გააგრძელებენ ჯორბენაძეებისა და ტატიშვილების ტრადიციებს. ჩემგან განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ბატონ გურამს ჩემი რძლის ნინოს აღზრდისთვის, რომელიც არის ძალზედ კეთილშობილი, განათლებული და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი გურამის სული.

ავთანდილ ჯორბენაძე

* * *

მეხის დაცემას ჰგავდა შენი უეცარი აღსასრული.
ძლიერი პიროვნება იყავი და ასეთი წახვედი - დაიძინე და... თურმე სამუდამოდ ძილით.
მიატოვე შენი დიდებული დიდი ოჯახი, საყვარელი და-ძმა, სანათესაო, სამეგობრო, შენი აღზრდილები.
ყველას პატრონი იყავი.

პროფესორი გურამ ტატიშვილი და ქალბატონი თინა ურუშაძე კლინიკის თანამშრომლებთან ერთად

მე სიყრმის მეგობარი დავკარგე, საქართველოს ქირურგიის დიდი ქომაგი და მოამაგე, ქირურგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე - კაცი, რომელიც დიდი ტკივილით დადიოდა და მაინც საქვეყნო საქმეს აკეთებდა.

დრო შეიცვალა, ქირურგია თითქოს ჩაკვდა, ლამის კომერციულ ხელობად იქცა....

შენ დაუბრუნე საქართველოში ქირურგიას თავისი ღირსეული ადგილი - აღადგინე თბილისის აკად. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების სხდომები - სკოლა, როგორც დამწყები ქირურგებისთვის, ასევე დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტებისთვის.

დააფუძნე აჭარის, იმერეთის, სამეგრელოს ქირურგიული საზოგადოებები.

მრავალი ჯილდოს და რეგალიების მფლობელი იყავი, მაგრამ არცერთი არ შეედრება იმას, რაც შენ გააკეთე - ქართულ ენაზე გამოდის ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე", რომელიც საზოგადოებას აუწყებს, რომ ჩვენ ქვეყანას ყავს ბრწყინვალე ქირურგები, რომ ჩვენთანაც კეთდება დიდი და რთული ოპერაციები, რომ ქირურგია დიდი მეცნიერება და ხელოვნებაა.

გურამ ტატიშვილი - კაცი ნიჭიერებით გამორჩეული, უკიდეგანო შემართებით, საოცარი ორგანიზაციული უნარით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის ჟინით აღსავსე.

ჩემთვის უმძიმესია გურამის წარსულში ხსენება. ჩვენ ერთად აღვიზარდეთ მეოცე საუკუნის საქართველოში ქირურგიის კორიფეს მიხეილ ჩაჩავას ფრთებქვეშ, ერთად გავიარეთ ქირურგიის ეკლიანი გზა. სამოცდაექვსი წელი გვერდიგვერდ ვიდექით, გვტკიოდა ერთმანეთის გასაჭირი, გვახარებდა წარმატებები.

შემზარავია ჩემთვის შენი არყოფნა.

თინა ურუშაძე

ბატონი გურამ ტატიშვილი

რთულია ბატონ გურამზე ხსოვნის წერილის დაწერა...

სულ ცოტა ხნის წინ თითქმის ყოველდღიურად ვხედავდი საბურთალოზე ე.წ. „წითელ ბაღში" დილაობით მოსეირნეს და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარს. მიუხედავად არც თუ მცირე ასაკისა, საოცრად მხნედ გამოიყურებოდა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ქართული საზოგადოების აქტიური მოღვაწე, ქვეყნის პატრიოტი და დარგის უდიდესი მოამაგე გახლდათ.

ბატონმა გურამმა მრავალი ათეული წელი იღვაწა ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე როგორც ექიმმა, პედაგოგმა, მეცნიერმა და ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თავისი განუმეორებელი კვალი დატოვა - სხვაგვარად არც შეეძლო, ისეთ გვარსა და გენეტიკურ შტოს წარმოადგენდა.

ტატიშვილების გვარიდან არაერთი საუკეთესო წარმომამდგენელი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ქვეყნისა და მედიცინის სამსახურში და ბატონი გურამიც ყოველთვის მოწინავე პოზიციაზე ღირსეულად აგრძელებდა ამ ტრადიციას.

ბატონი გურამი სამედიცინო სპეციალობებში ყველაზე „ვაჟკაცური" და რთული სპეციალობის - ზოგადი ქირურგიის წარმომადგენელი გახლდათ. პიროვნულადაც ამ ხასიათის მატარებელი, მუდამ გამორჩეული იყო ყველგან და ყოველთვის. ძლიერი, შრომისმოყვარე და თავმდაბალი გახლდათ. მან ტატიშვილისეული კვალი დატოვა ყველგან, სადაც იმოღვაწევა მრავალი წლის მანძილზე: საავადმყოფოში, სამედიცინო უნივერსიტეტში, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტში, რესპუბლიკის მთავარი ქირურგის თანამდებობაზე თუ სხვა პოზიციებზე.

ბოლო წლებში ბატონი გურამი სათავეში ჩაუდგა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სამედიცინო საზოგადოების - გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების გამოცოცხლებას, მისი სისტემატური მუშაობის დიდი ტრადიციების აღდგენას და სპეციალიზირებული საინტერესო ჟურნალის ჩამოყალიბებას.

რაოდენ დასანანია, რომ ჟურნალის მომდევნო ნომერი სწორედ ბატონი გურამის ხსოვნას უნდა მიეძღვნას...

ბატონ გურამთან საკმაოდ ხანგრძლივი საქმიანი და პირადული ურთიერთობა, უმცროს-უფროსის მეგობრობა მაკავშირებდა. იგი ახლო მეგობარი იყო ჩემი მასწავლებლის, პროფესორ გურამ გურგენიძის და ხშირად ვხვდებოდით სამედიცინო ინსტიტუტში, კათედრებზე თუ შინაურ გარემოში. მოგვიანებით, დაუნათესავდა ჩემს მეგობარს ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს და შინაური შეხვედრები კიდევ უფრო ხშირი გახდა. მანამდე კი ჩვენი შვილები თანაკლასელები იყვნენ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში. მახსენდება, მშობელთა კრებაზე როგორ დაგვტუქსა კლასის დამრიგებელმა მაშინ, ბატონი გურამი უკვე დამსახურებული პროფესორი და მე კი შედარებით ახალბედა, ასევე სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, შვილების გაკვეთილების გაცდენებისა და ასე ვთქვათ „ყალთაბანდობის" გამო. მოკლედ, მოგვცეს შენიშვნა და მიგვითითეს ჩვენ, ასევე პედაგოგებს, რომ შვილებისთვის მეტი ყურადღება მიგვექცია. კრებიდან გამოსულს ბატონმა გურამმა მითხრა: ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი დარცხვენილი არ ვყოფილვარ, შენ ახალგაზრდა ხარ და გაითვალისწინეო.

ბატონმა გურამმა მთელი ცხოვრება იღვაწა ქართული მედიცინის განვითარებისათვის, სასახელოდ განვლილი ცხოვრებისა და ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის არაერთი სახელმწიფო ჯილდო მიიღო, მაგრამ ყველზე დიდი ჯილდო არის ის, რომ ბატონი გურამი უყვარდა ყველას: უყვარდათ სტუდენტე-

ბს, უყვარდათ პაციენტებს, უყვარდათ კოლეგებს...

ბატონი გურამი პირველ რიგში დააკლდა მის ოჯახს, მაგრამ იგი ასევე დააკლდა ყველას. ძნელია მისი წარსულში მოხსენიება, მაგრამ, მის მეგობრებს, ოჯახის წევრებს, კოლეგებს ასეთ დროს თუ რაღაც შეიძლება ოდნავ მაინც ამშვიდებდეს, არის ის, რომ გურამ ტატიშვილის საქმეს აგრძელებს მისი დიდი და სახელოვანი შთამომავლობა, მის მოწაფეთა დიდი პლეადა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

ამირან გამყრელიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
გენერალური დირექტორი

Памяти Гурама Георгиевича Татишвили

Когда я думаю о Гурам Георгиевиче, у меня всплывает сначала его внешний образ – Высокий, статный, красивый человек и после этого присоединяются его черты характера: внешнее спокойствие, доброжелательность, широта мышления, возможность возложить на себя выполнение масштабной работы, ответственность и уравновешенность поведения. Он берет на себя ответственность и основную тяжесть работы и делает это легко, улыбаясь, с юмором.

მარცხნიდან: პროფესორები
გურამ ახალაძე, ედუარდ გალპერინი
და გურამ ტატიშვილი

Каждая встреча с Гурам Георгиевичем превращалась для меня радостным событием, уходя наполнял меня оптимизмом.

Он присылал ко мне своих учеников, сначала Роберта Элигулашвили, потом Гурама Ахаладзе. Роберт успешно защитил кандидатскую диссертацию, а Гурам - докторскую. Сейчас он ведущий Московский хирург, давнишний член редколлегии журнала «Анналы хирургической гепатологии». Плохих людей и специалистов Гурам Георгиевич ко мне не направлял.

Я получал истинное удовольствие слушая рассказы Гурама Ахаладзе о своем учителе, какое внутреннее уважение, почтение и радость. Его лицо начинало светиться, когда он произносил имя Гурама Георгиевича. У меня не было даже белой зависти, потому что я тоже относился к Гураму Георгиевичу с большой любовью.

И вдруг известие о его смерти, которая совсем не вяжется с его образом и возможностями.

Эдуард Израилевич Гальперин

* * *

გურამ ტატიშვილი ჩემი მასწავლებელიც იყო, მეგობარიც და ზოგადად, ჩვენი ოჯახის ახლობელი ადამიანი. იგი მამაჩემს თავის მასწავლებლად თვლიდა და დედაჩემს ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს სცემდა. ახალ წელს მისი ზარი ყოველთვის პირველი იყო. ეს გრძელდებოდა მამას გარდაცვალების შემდეგაც, სანამ დედა იყო ცოცხალი. ჭირში და ლხინში სულ გვერდით მედგა, სიცოცხლის ბოლომდე არ მაკლებდა თავის ყურადღებას. ჩემი ცხოვრების ყველა სერიოზული ნაბიჯის საქმის კურსში იყო და უდიდეს როლს თამაშობდა. საკანდიდატო დისერტაციას რომ ვიცავდი, მოსკოვში ჩამოვიდა. თბილისში რომ დავბრუნდი, ერთხანს ქირურგიის ინსტიტუტში ვმუშაობდი. სხვისი ოპერაციის შემდეგ ჭრილიობა გამაკერინეს და დამპირდნენ, თუ კარგად იმუშავებ, მუცელსაც გაგახსნევინებთო. ბატონმა გურამმა მამაჩემს უთხრა - ეგ ბიჭი მანდ ხეირს ვერ ნახავსო, და ყველა ძალღონე იხმარა, რომ მის კათედრაზე გადავეყვანე. იქ ჩემი პირველი ოპერაცია გასტრექტომია იყო. მაშინ მე-8 საავადმყოფოში პასუხისმგებელ ქირურგებად სულ ახალგაზრდები ვმორიგეობდით. დიდი პრაქტიკა მივიღეთ. სიახლეს თუ სადმე რამეს გავიგებდით გვერდში გვედგა და ხელს გვიწყობდა. დღე და ღამე ვმუშაობდით და ხელს ვიწაფავდით. რამდენიმე წელში დამიძახა კაბინეტში და მითხრა - სადოქტორო დისერტაციის დრო მოვიდა და შენ კი პრაქტიკით ხარ გართულიო. სარეკომენდაციო წერილი გამატანა პროფესორ გალპერინთან და გამიშვა მოსკოვში. გურამ ტატიშვილი და ედუარდ გალპერინი დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს. რეკომენდაცია ისეთი აღმოჩნდა, რომ გალპერინმა შვილივით მიმიღო. დიდი ერთობლივი ნაშრომი გამოგვივიდა. თბილისში საინტერესო ექსპერიმრნტებს ვატარებდით და მოსკოვში კლინიკურ ნაწილს. ამ პერიოდში (1991 წელს) გალპერინმა ჩამოაყალიბა ქირურგ-ჰეპატოლოგთა

მარცხნიდან: პროფ. გურამ ტატიშვილი, პროფ. გურამ ახალაძე, ნინო ტატიშვილი

ასოციაცია, რომლის პირველი კონგრესიც ტაშკენტში გაიმართა. ჩვენი საერთო მასალის საფუძველძე პლენარული მოხსენება გალპერინმა გააკეთა, ხოლო პირველი გალა-ვახშამზე, სადაც 200 კაცამდე სუფრა გაიშალა, თამადა ბატონი გურამი იყო. მე ძალიან მეამაყებოდა, რომ ჩემი ორი მასწავლებელი ზღვა ხალში ფავორიტები იყვნენ. სხვათა შორის, კონგრესს ლეგენდარული ანრი ბისმუტიც ესწრებოდა. 1989 წელს ასევე ცხონებული ნიკას ლიგიდაკისმა გალპერინი International Gastro-Surgical Club -ის კონგრესზე დაპატიჟა ათენში. გალპერინმა, როგორც საერთო თემის ავტორები, ჩვენც მიგვიწვია. ჩვენთვის ეს პირველი მოგზაურობა იყო დასავლეთ ევროპაში, სადაც ჩვენი მასალა მოვახსენეთ. ძალიან ვინერვიულე და გადავიღალე. ბატონი გურამი იქ მამასავით მპატრონობდა და გვერდში მედგა.

მოსკოვში რომ გადავსახლდი, ბატონი გურამი თუკი ჩამოვიდოდა, აუცილებლად სტუმრად მომაკითხავდა. მე გალპერინსაც დავუძახებდი და თბილი მეგობრული საუბარი იმართებოდა.

სანამ ქვეყანა არეული იყო ბატონი გურამი დაბრუნებას არ მირჩევდა - ჯერ ბიჭი დააყენე ფეხზე და მერე ჩამოდიო. როდესაც ბიჭი ჩამოყალიბდა, ბატონმა გურამმა კვლავ ითავა ჩვენი მხარდაჭერა და მის მიერ ახლადჩამოყალიბებულ ჟურნალში ჩვენი სტატიების გამოქვეყნების საშუალება მოგვცა.

ყოველთვის პატივს ვცემდი და მიყვარდა ბატონი გურამი, მაგრამ რომ გარდაიცვალა, ეხლა გამოჩნდა, თუ რა დამაკლდა.

წავიდა წყნარად და ჩუმად იქ, სადაც ბევრი ძალიან ღირსეული ადამიანია.

უფალო, შეუნდე და გაანათლე მისი სული!

დიდი პატივისცემით და სიყვარულით,

გურამ ახალაძე

ქართული ონკოლოგიის მოამაგე და ქომაგი

ბატონი გურამ ტატიშვილი განეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა გარდაცვალება უკვალოდ არ ჩაივლის. მან გაიარა ხანგრძლივი და ნაყოფიერი გზა. მისი სახელი სამუდამოდ შემორჩება ქართულ მედიცინას და ის ყოველთვის იქნება მისაბაძი ახალგაზრდებისთვის. მის მიერ განვლილი გზა კი ხასიათდება უანგარო, დაუღალავი შრომით, სწრაფვით პროფესიული დაოსტატებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისაკენ. ბატონ გურამს ამ ჟურნალში არაერთი ცნობილი პიროვნება, მეცნიერი მოიგონებს და ეს იქნება იმ ადამიანების ნაფიქრი და ნააზრევი, რომელთა მიერ პიროვნების შეფასების კრიტერიუმები უმკაცრესია. ბატონმა გურამმა, თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, შეძლო იმდენი რამ გაეკეთებინა თავის პროფესიაში, თავისი ქვეყნისთვის, რომ ერთი კი არა, რამდენიმე ათეული ადამიანისთვისაც კი იქნებოდა საკმარისი. ასეთ ადამიანებზე ამბობენ: „ის ფენომენალური პიროვნება არისო!“. სწორედაც დღეს გურამ ტატიშვილის ფენომენზე, ამ უდიდესი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელზე იქნება ლაპარაკი. ახლა კი შევეხები ჩემი და ბატონი გურამის ურთიერთობას.

სტუდენტობის შემდეგ მე მოსკოვში, საკავშირო ქირურგიის ცენტრში მომიწია სწავლის გაგრძელება. ამ ცენტრს იმ დროს ხელმძღვანელობდა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და ქირურგი, აკადემიკოსი ბორის პეტროვსკი. ჩემი ხელმძღვანელი კი გახლდათ აკადემიკოსი მიხეილ პერელმანი, რომელსაც ბატონი გურამი დიდ პატივს სცემდა. თბილისში დავბრუნდი 1980 წელს და იმავე წელს შევუდექი მუშაობას საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, რომლის დირექტორი დიდი მეცნიერი, ნოვატორი და ბრწყინვალე პიროვნება ლუარსაბ შარაშიძე იყო. მან ქართულ ონკოლოგიას, რომელსაც უკვე მდიდარი ტრადიციები ჰქონდა, მეცნიერული საფუძვლები განუმტკიცა და ამ მხრივ ბევრი ნოვატორული ნაბიჯი გადადგა. ამ პერიოდში ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ონკოლოგი რევი ჩიქოვანი, ხოლო მთავარი ქირურგი კი პროფესორი გურამ ტატიშვილი იყო.

1980 წელს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში ჩემს მიერ ჩამოყალიბდა თორაკალური ქირურგიის განყოფილება, რომელმაც სულ მოკლე ხანში საკმაოდ გაითქვა სახელი. ეს ბატონ გურამს არ გამოპარვია, დამიბარა სამინისტროში, დაინტერესდა, ვისი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი მოსკოვში, რა გამიკეთებია, რას ვფიქრობდი ონკოთორაკალური ქირურგიის განვითარების მიმართულებით და ა.შ. მას ესიამოვნა, რომ პროფესორ მ.პერელმანთან ვმუშაობდი, რამდენიმე სიტყვით ისაუბრა იმ ოპერაციებზე, რომელთა ავტორიც პროფესორი მ.პერელმანი იყო და დიდად შეაფასა მისი პიროვნება და დასტაქრობა.

არ შემიძლია არ მოვიგონო საქართველოში საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგის,

პროფესორ მ.კუზინის სტუმრობა. ბატონი მ.კუზინი საკმაოდ მომთხოვნი და მკაცრი პიროვნება გახლდათ. მას უნდა შეესწავლა საქართველოში ქირურგიული სამსახურის მდგომარეობა. იმჟამად საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ბატონი გ.ლეჟავა გახლდათ. იმ დაწესებულებათა შორის, რომლებსაც ბატონი მ.კუზინი უნდა სტუმრებოდა, ჩვენი ცენტრიც იყო. ჩემამდე ამ ცენტრში ოპერაციები ფილტვებზე პრაქტიკულად არ ტარდებოდა. ჩემი გააქტიურება კი, ბუნებრივია, ბატონი გურამისთვის ცნობილი იყო. როდესაც მ.კუზინი გვეახლა, დირექტორის კაბინეტში ყველა ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელს მოგვიყარეს თავი. ბატონმა ლუარსაბმა ყველანი წარგვადგინა ბატონი მ.კუზინის წინაშე. როდესაც დადგა ჩემი ჯერი, მახსოვს, ბატონმა გურამმა როგორი ეპითეტები დაამატა ბატონი ლუარსაბის ნათქვამს. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. შემდგომ მ.კუზინი ავიდა ე.წ. რეანიმაციის განყოფილებაში, სადაც ფილტვებზე ნაოპერაციები რამდენიმე პაციენტი იწვა, ერთ-ერთ პაციენტს ქვედა კიდურებზე საბანი გადახადა და, რომ დაინახა ელასტიური ბინტით გადახვეული ორივე ქვედა კიდური, მიუბრუნდა რეანიმაციის განყოფილების გამგეს გ.რუხაძეს და ხმამაღლა თქვა: „თქვენ სწორად უვლით პაციენტებს, რათა მათ არ განუვითარდეთ ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია“. რა თქმა უნდა, მ.კუზინის ასეთი რეპლიკა ბატონ გურამს ესიამოვნა.

მოკლე ხანში მე ვხდები ქვეყნის მთავარი ონკოლოგი, ხოლო ცენტრის დირექტორია სულმნათი რეზო ვეფხვაძე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქვეყნის მთავარი რადიოლოგი, შესანიშნავი პიროვნება, რომელიც მრავალი წელი იყო რენტგენო-რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. მე დამნიშნეს მის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. საუბედუროდ, ბატონი რევაზი 2001 წელს გარდაიცვალა და, ბუნებრივია, დაისვა საკითხი, ვინ დაიკავებდა მის ადგილს. ბატონი გურამი ის პიროვნება გახლდათ, რომლის სიტყვას ქვეყნის ჯანდაცვის მესვეურები დიდ ანგარიშს უწევდნენ და მის რეკომენდაციას უყურადღებოდ არ ტოვებდნენ. ამდენად, მე გავხდი ონკოცენტრის დირექტორი.

ბატონ გურამთან ჩემი აქტიური ურთიერთობა მის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით ქირურგიის პრობლემურ საკითხებზე. მას ძალიან აწუხებდა ის, რომ ონკოლოგიის ნაციონალურმა ცენტრმა, როგორც სათაო დაწესებულებამ ონკოლოგიაში, დაკარგა თავისი ფუნქციები. როდესაც ის ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მის მიერვე აღდგენილ ქირურგიული საზოგადოების სხდომაზე, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრი ბატონი დ. სერგეენკოც ესწრებოდა, დამიმოწმა და აღნიშნა, რომ იმ 80-მდე ონკოლოგიურ დაწესებულებას, რომლებიც დღეს საქართველოში ფუნქციონირებს, მეთოდურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ონკოლოგიის ცენტრი უნდა უწევდესო. ვფიქრობ, ეს მისი ბოლო გულისტკივილიც უყურადღებოდ არ დარჩება და ონკოცენტრიც, როგორც დარგის სათაო დაწესებულება, აღორძინდება.

ბატონი გურამი, როგორც მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, დიდ დროს უთმობდა მეცნიერებათა აკადემიის მუშაობას.

ჟურნალისტები ხშირად მეკითხებიან: რას სცემთ პატივს და რას ვერ იტანთ? პატივს ვცემ პროფესიონალიზმს და ვერ ვიტან ტყუილსა და უმადურობას.

მე, პროფესორ რეზო გაგუას, პროფესიონალიზმის, საქმისადმი თავდადების, თავდაუზოგავი და უანგარო მოღვაწეობის, კეთილშობილების, მაღალი ზნეობის პიროვნების მაგალითად გურამ ტატიშვილი მიმაჩნია. ის ყოველთვის უმადლოდა თავის მასწავლებლებს, უფროს კოლეგებს, მეგობრებს და ამის ნათელი მაგალითია მისი ბოლო ნაშრომი „ჟამი მოგონებების, ფიქრის და განსჯის“, რომელიც გამოსცა მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ამ წიგნში ბატონი გურამი იგონებს იმ პიროვნებებს, რომლებმაც „კვალი ნათელი“ დატოვეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ. ამ იუბილეზე ონკოცენტრისა და ონკოლოგთა ასოციაციის სახელით ბატონ გურამს, როგორც ქართული ონკოლოგიის მოამაგესა და ქომაგს, გადაეცა დიდი ოქროს მედალი, რომელიც ჩვენი ცენტრის 60 წლისთავის აღსანიშნავად იყო ჩამოსხმული. გარდა ამისა, ბატონი გურამი გახლდათ ჩვენი ცენტრის საპატიო დოქტორი და პროფესორი. ბატონი გურამის სწორუპოვარი ძეგლია ყველა ქირურგისათვის სანუკვარი ჟურნალი „საქართველოს ქირურგიული მაცნე“, რომლის დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი თავად იყო. ბატონ გურამს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს მისი მასწავლებლების ეგნატე ფიფიას და მიხეილ ჩაჩავას ოცნების ხორცშესხმა იყო. ჟურნალის პირველი ნომერი ბატონმა გურამმა მიუძღვნა აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის ხსოვნას, რომელმაც 1933 წელს დააარსა საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება, ხოლო მისი აღორძინება ბოლო ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ბატონმა გურამმა ითავა და წარმატებითაც განახორციელა.

ბატონი გურამის შვილები, ცნობილი მეცნიერ-მედიკოსები, დღეს უდიდეს საქმეს აკეთებენ ჩვენი მედიცინის წინსვლისა და განვითარებისთვის. ეს ბატონი გურამის მიერ საფუძველჩაყრილი საქმის გაგრძელებაა.

ბატონ გურამზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მოგონებათა წიგნის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა.

ბატონი გურამი დაუვიწყარია ჩვენთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, სადაც მას მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანების სულები ელოდებიან.

რეზო გაგუა - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი,
საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი,
პროფესორი.

In memory of Professor Guram Tatishvili

There are people, who after their death leave a good name a prosperous family, friends, but there are ones who add to all above this a bright light of their soul. This light continues to illuminate the path to many more generations of their followers and disciples. That was a BIG man Guram Tatishvili-perfect surgeon, scientist and a public figure. He is distinguished by high integrity, creativity and innovation in all what he was doing.

Guram Georgievich continued path Georgian medicine luminaries went by and created a great school of surgery. His students work and have already their students in many countries.

პროფესორები: გურამ ტატიშვილი
და რობერტ ელიგულაშვილი

Every person who wishes to objectively estimaite another one, does so under the influence of their own unconscious feelings and experiences. I honestly by all my hart respect and love Guram Tatishvili, to whom I owe a lot of my professional and personal life, whether it is the first independent steps in surgery, or the first scientific publications or even a family.

I am proud to say that our friendship lasted for many decades, high above time and geographic differences. So felt our families too. Our meetings, both at Georgia and Israel, brought a great joy, were a continuation of his studies and gave hope and way to future improvements.

Guram in his visions of the future was much ahead of time. Many settings in educating the younger generation of doctors, which he introduced in his department's works for many decades now, adopted in all leading hospitals in the world. His research works contributed greatly to the development of the medicine. His followers saved many lives in Georgia, Unated States, Russia and Israel. And this is a small fraction of his merits, as it is impossible to grasp all his good doings into small a letter.

The pain of physical loss of this remarkable man will not leave us and I express my deep condolences to his wonderful family and to all of us who knew Professor Guram Tatishvili.

Reuven Eliger MD. PhD. (Robert Eligulashvili)
Senior Surgeon Kaplan Medical Center. Israel.

აკადემიკოს გურამ ტატიშვილის მოსაგონარი

დიდი ადამიანები ჩუმად მიდიან ამ ქვეყნიდან, თუმცა მოსაგონარს ტოვებენ ხმაურიანს. გურამ ტატიშვილიც უხმაუროდ გარდაიცვალა, არც არავინ შეუწუხებია და არც არავინ დაუვალდებულებია. წინა დღეს კარგა ხანს მესაუბრა ტელეფონით. გახარებული იყო - ჟურნალ „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ მესამე ნომერი გამოეშვა და შემპირდა გამოგიგზავნიო. ვერ შეძლო - მეორე დღეს გარდაიცვალა.

ეს არის უაღრესად დიდი დანაკლისი საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისთვის. ის ხომ მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის გამგე, საქართველოს ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ქირურგიაში. წლების განმავლობაში ის აქტიურ ქირურგიულ მოღვაწეობას ეწეოდა მისი თაოსნობით აშენებულ კლინიკაში და სიცოცხლე შეუნარჩუნა მრავალ ავადმყოფს. მან შექმნა და აღზარდა ქირურგთა არაერთი თაობა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს, რუსეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების ქირურგიულ სამსახურებში. ის იყო ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების. ის არჩეული იყო სხვადასხვა ქვეყნების სამედიცინო დაწესებულებების, ექიმთა საზოგადოებებისა და ასოციაციების საპატიო წევრად, მათ შორის საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის და კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის საქართველოს ასოციაციის, რომელსაც წარმოვადგენ. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით. მისი ძალისხმევით მოხერხდა უაღრესად დიდი ტრადიციების მქონე

აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის საქართველოს ქირურგთა საზოგადოების მუშაობის აღდგენა, რომლის თავმჯდომარეც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე თავად იყო. მისი თაოსნობით დაარსდა ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“, რომლის რედაქტორადაც ასევე სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მუშაობდა და რომლის მომდევნო მეოთხე ნომერი მისი სახელობის იქნება უკვე. ასევე მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანი იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, რომლის განვითარებასაც უდიდესი ღვაწლი დასდო და ყოველთვის გულმოდგინედ ცდილობდა მისი საქმეების მოგვარებას. მცირემცოდნე და კეთილუქმნელ ხალხს ვერ იტანდა, ასე რომ მოუმრავლდა დღევანდელ საქართველოს. ქვეყნისათვის საჭირო ყველა საქმეს პატრონობდა და ერთგულობდა. ყოველთვის მტკიცედ იდგა და მხოლოდ ერთხელ მახსოვს წაქცეული – ჩემს კლინიკაში მოყვანილი თავისი უფროსი შვილის შესახებ რომ მკითხა – თუ გადარჩებაო. ვერა მეთქი ვუთხარი – ის უკვე კლინიკაში შემოსვლამდე იყო გარდაცვლილი. მუხლჩაუხრელად შრომობდა საერთო საქმისათვის და მთელი მისი ცხოვრება ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ წარმოებული უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია. ეჭვგარეშეა მისი სახელი დიდხანს შემორჩება საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელსაც გულის ნაწილი აქ დაუტოვა, სამშობლოს სიყვარულით ანთებული კაცის გულის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

ზურაბ ხელაძე
საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი.

გურამ ტატიშვილი – დიდი მასწავლებელი და დამრიგებელი

გურამ ტატიშვილი იყო საქართველოს თანამედროვე სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი და გამორჩეული ადამიანი. მის მრავალ, უნიკალურ თვისებებიდან მე განსაკუთრებით გამოვყოფდი უანგარო ზრუნვას და დახმარებას ახალგაზრდა სპეციალისტთა მიმართ. ამის მაგალითია ჩემი პირადი პროფესიული კარიერა.

მას შემდეგ, რაც გამოჩნდა სტატიები და მოხსენებები ჩემი გამოგონებების შესახებ, ბატონმა გურამმა შემომთავაზა გამეკეთებინა პრეზენტაცია მისი კლინიკის და საავადმყოფოს ექიმთა გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც შედგა 1980 წელს. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ მან მყისიერად გამომიყო კაბინეტი და შემიქმნა ყველა პირობა, რათა წარმატებით განმეხორციელებინა ჩაფიქრებული სამეცნიერო პროექტები. სულ რამდენიმე წელში ჩვენ ერთად მივაღწიეთ არნახულ წარმატებებს: გამოვაქვეყნეთ რამდენიმე მონოგრაფია და ათეულობით სტატია, მივიღეთ მონაწილეობა როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის 70-ზე მეტ კონფერენციაში, მიღებული გვაქვს 40-ზე მეტი პატენტი სხვადასხვა გამოგონებებზე. 1989 წელს მე და ბატონ გურამს მოგვენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

ბატონი გურამი მთავარი ქირურგის რანგში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ქირურგიას. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საბჭოთა კავშირში. ამიტომაც, ჩვენთან კონფერენციებზე დიდი სიხარულით ჩამოდიოდნენ სახელოვანი ქირურგები და მეცნიერები. ბატონი გურამიც, ბუნებრივია, მათ დიდი ხელგაშლილობით მასპინძლობდა.

ერთხელაც, თბილისში ჩვენ ვატარებდით საკავშირო მნიშვნელობის კონფერენციას. ჩამოსული იყო უამრავი ცნობილი ქირურგი. ეს ის პერიოდია, როცა გორბაჩოვმა შემოიღო „მშრალი“ კანონი და სასტიკად აკრძალული იყო ალკოჰოლური სასმელები, განსაკუთრებით, ოფიციალურ შეკრებებზე.

ბატონი გურამი თავს გრძნობდა ძალიან უხერხულად და სულ ჩიოდა – როგორ გინდა უმასპინძლო ხალხს ქართული ღვინის გარეშეო. ბოლოს თვითონვე იპოვა გამოსავალი. საბანკეტო დარბაზის გვერდით ოთახში დაადგმევინა სამი დიდი ჩაის „სამოვარი“ და შიგ ჩაასხმევინა სხვადასხვა ჯიშის ქართული ღვინო. დაიწყო ბანკეტი, სუფრაზე იდგა მხოლოდ არაალკოჰოლური სასმელები და ბუნებრივია, სუფრას აკლდა ჩვეული მხიარულება. ბოლოს ბატონმა გურამმა სტუმრებს შესთავაზა, რომ გვერდით ოთახში მათ შეეძლოთ გაესინჯათ ახალი ჯიშის ქართული ჩაი. თავდაპირველად მსურველი ბევრი არ აღმოჩნდა, მაგრამ როცა მათ მოუხშირეს იმ ოთახში სიარულს და თანაც იქიდან ძალიან მხიარულნი ბრუნდებოდნენ, მალე მთელი სუფრა მათ შეუერთდა და დაიწყო ხალხის წინ და უკან სიარული. სუფრა სულ მალე გამხიარულდა. ამის შემდეგ ჩვენ უხვად ვიღებდით სტუმართა მადლობის წერილებს კარგი დახვედრისთვის და განსაკუთრებით უნიკალური ჯიშის ქართული ჩაისთვის.

ბატონი გურამი იყო ძალიან მომთხოვნი ხელმძღვანელი. იგი ყველა თანამშრომლისგან ითხოვდა შესაბამისობას მაღალ სამეცნიერო და პროფესიონალურ სტანდარტებთან. ჩვენ ყველა ვცდილობდით ზედმიწევნით სრულყოფილად შეგვესრულებინა მისი თითოეული დავალება, რაგინდ რთული არ უნდა ყოფილიყო. მახსენდება ჩვენს მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი გასვლითი კონფერენცია 80-იან წლებში ქ. ქობულეთში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის წამყვანი მეცნიერები და ქირურგები. მე პირადად მხოლოდ გარკვეული საორგანიზაციო საკითხები მევალებოდა, რაც საშუალებას მაძლევდა რამდენიმე დღე

ვაშინგტონი, აშშ, 1976 წელი, ქირურგთა მსოფლიო კონგრესი, პროფ. გურამ ტატიშვილი და პროფ. თამაზ თამაზაშვილი კონგრესის მონაწილე მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან ერთად.

სტრესის გარეშე დამესვენა შავ ზღვაზე. კონფერენცია შედგებოდა 2 ნაწილისაგან: კლინიკური, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბატონი გურამი და ექსპერიმენტული, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ ჩემთვის ძალიან საპატიო მეცნიერი პროფ. გივი დუმბაძე. მოხდა ძალიან სამწუხარო ამბავი - ბატონი გივი მეუღლითურთ მოყვა საშინელ ავტოავარიაში და ბუნებრივია, იგი ვეღარ უხელმძღვანელებდა თავის სექციას. მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. შუაღამეს, უშუალოდ კონფერენციის წინ, ბატონმა გურამმა დამიბარა სასტუმროში თავის ნომერში, გამაცნო სიტუაცია და მითხრა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო - მე უნდა მეხელმძღვანელა ექსპერიმენტული ნაწილისთვის და ეს მაშინ, როცა არ არსებობდა არანაირი მასალა, თუნდაც თეზისების სახით, თუ რას შეეხებოდა მოხსენებები. ერთადერთი გზა იყო - სხდომის პროგრამაში არსებული სათაურების მიხედვით უნდა განმესაზღვრა, თუ რაზე იყო მოხსენება და ამდაგვარად ჩამომეყალიბებინა ჩემი წინასწარი შეფასებები.

მოულოდნელობისგან მე მარტო ისღა მოვახერხე, მეთქვა ბატონ გურამისთვის, რომ ვინაიდან არაფერი იგეგმებოდა, მე არ გამაჩნდა შესაბამისი ტანსაცმელი და შორტებში ვერანაირად გავუძღვებოდი კონფერენციას. ბატონი გურამი გამოსავალს ყოველთვის იოლად პოულობდა - მან იქვე მომარგო თავისი კოსტუმი და ასე ბატონი გურამის კოსტუმში გამოწყობილს მომიწია კონფერენციის ჩატარება.

იმ საღამოს ბანკეტის ხელმძღვანელობაც ბატონმა გურამმა რატომღაც მე დამავალა. მიმართა რა ღიმილით ბატონ თენგიზ ახმეტელს - მოდი ვნახოთ ჩემი მოსწავლე მეორე გამოცდას როგორ გაართმევს თავსო. ბუნებრივია, რომ მე აქაც მაქსიმალურად მოვინდომე და ამით ჩემი დაგეგმილი „უსტრესო დასვენებაც“ სრულიად ჩაიშალა.

ბატონი გურამის სიკეთე თანაბრად ვრცელდებოდა ყველა ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდაზე. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, რათა გამოეჩინა თავი და სწრაფად დაწინაურებულიყო თავის პროფესიულ საქმიანობაში. ამით ბატონმა გურამმა დიდი როლი ითამაშა თითოეული ჩვენთაგანის კარიერაში. ამიტომ პროფ. გურამ ტატიშვილის ნათელი ხსოვნა და მადლიერების გრძნობა მის მიმართ მარად დარჩება ჩვენს გულში.

თამაზ თამაზაშვილი
მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
ნიუ-იორკის ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის ცენტრის ჯგუფის ხელმძღვანელი.

ღირსეული მამულიშვილი

ბატონი გურამ ტატიშვილი უდავოდ გახლდათ ქართული სამედიცინო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი პროფესიული მოღვაწეობა ყოველთვის გაჯერებული იყო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ორგანიზაციის დახვეწის ზრუნვით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ქირურგიული მომსახურების სისტემატიზაციის დანერგვისათვის. იგი მარტო ამით არ შემოიფარგლებოდა, ის გლობალურად განიხილავდა, როგორც ინტერვენციული სამედიცინო საქმიანობათა, ასევე თერაპიული პროფესიული სხვადასხვა საქმიანობების ამბულატორიული და ჰოსპიტალური ქსელის ქვეყანაში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხებს. ამდენად, ჩემთვის გასაკვირი არ გახლდათ მისი გულშემატკივრობა პათოლოგანატომიური სამსახურის მიმართაც. იგი ძალიან განიცდიდა პათოლოგანატომიური სამსახურის ადრინდელი პოზიციების დათმობას. იღვწოდა კლინიკური და პათოლოგ-ანატომიური კონფერენციების აღდგენაზე და რიგ სხვა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუციების აღორძინებაზე. თუმცა აღნიშნულს ობიექტური მიზეზი გააჩნდა, რამეთუ ბატონი ირაკლი ტატიშვილი მისი საამაყო ბიძა იყო. ბატონ ირაკლის უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღოდა ბატონი გურამის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში.

დღევანდელი გადასახედიდან ჩემთვის დაუვიწყარია ბატონი გურამის შეხვედრები (არაერთგზის) მის ბიძასთან, უნიკალურ პიროვნებასთან, აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილთან. ეს იყო ერთგული მოსწავლის შეხვედრები ბრძენ (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ადამიანთან, რომელიც მისთვის შეუფასებელი მრჩეველი და გულშემატკივარი გახლდათ. უფრო მეტიც, დღეს, როდესაც იმ შეხვედრებს ვიგონებ, ეს იყო ადამიანისმიერი თავგამოდებული მზრუნველობის ზეიმი თავის შეგირდზე. ეს იყო დემონსტრირება ადამიანური პოზიტი-

მარჯვნიდან: პროფესორები ჯანგირ მამალაძე, ზაზა თოფურია, გურამ ტატიშვილი, ბორის და მაია ჩაკვეტაძეები

ური თვისებების: სითბოს, კაცთმოყვარეობის, გულთბილობის, სიკეთის, კეთილშობილების, იმავდროულად გამსჭვალული ღირსების მაღალი ხარისხით. აქვე დავძენ, რომ მე ამ შეხვედრების ლეგალური დამსწრე გახლდით, რამეთუ, ბატონი ირაკლისთვის მეც, მოკრძალებით რომ ვთქვათ, სასურველი მოსწავლე ვიყავი.

მას შემდეგ, რაც ბატონი ირაკლი განერიდა ცხოვრებას, ყოველთვის ვგრძნობდი ბატონი გურამის განსაკუთრებულ თანადგომასა და მხარდაჭერას ჩემსა და ჩემს ოჯახზე, რომლის არეალი არ შემოიფარგლებოდა მარტო ჩვენი ურთიერთობით, არამედ ეს ვრცელდებოდა ორმხრივად და მოიცავდა ბატონი გურამის ფართო სანათესაოსაც.

მინდა გავიხსენო გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე. ის, რომ ბატონ გურამს ბავშვივით უხაროდა სხვაზე ზრუნვა და სიკეთის კეთება ალბათ არავისთვისაა უცხო. სწორედ გაზაფხულის ამ ჩვეულებრივ დღეს, ჩემი მეუღლე დილიდან იდეის დონეზე თავის სურვილს მიზიარებდა. მართალი გითხრათ ამ იდეისთვის და სურვილისთვის სერიოზულად არ შემიხედავს თუმცა მისთვის არაფერი მიგრძნობინებია. მოგეხსენებათ, ქალბატონები ოცნების დიდოსტატები არიან და ამაში მათ ხელი არ უნდა შევუშალოთ. იმასაც დავძენ, რომ ეს საუბარი ჩვენი სახლის კედლებს არ გასცდენია. ცოტა ხანში გაისმა ტელეფონის ზარი. ბატონი გურამი გახლდათ. თავისი სიცოცხლით სავსე ხმით მოგვიკითხა და ჩვენი მონახულების სურვილი გამოთქვა. საყვარელი და საპატივცემულო სტუმრის მოლოდინში სუფრა თვალის დახამხამებაში გაიშალა. სუფრას მივუსხედით. მოგეხსენებათ, ტრადიციისამებრ, პირველი სადღეგრძელო ან სტუმრის ან უფლის ან სხვა მსგავსი სადღეგრძელოთი იწყება და აქ მოხდა სასწაული, რაც დღესაც ვერ აგვიხსნია რა ერქვა ამას. ბატონმა გურამმა პირველი სიტყვა ითხოვა და მისი მობრძანების მიზეზი გაგვაცნო. მან ჩემს მეუღლეს არათუ შესთავაზა, არამედ იმპერატიულად მოსთხოვა იმ იდეის განხორციელება, რომლის შესახებაც რამდენიმე საათით ადრე მესაუბრებოდა მე კი უყურადღებოდ დავტოვე. მოულოდნელობისაგან ორივე კარგახანს მდუმარედ შევყურებდით ერთმანეთს. უხერხული პაუზის შემდგე, როდესაც ბატონ გურამს გავუმხილეთ ჩვენი გაოცების მიზეზი, ძალიან იხალისა და ხუმრობდა, ასეთი გულთმისნობის ნიჭით თუ ვიყავი დაჯილდოებული არ ვიცოდი, სპეციალობა ხომ არ შემეცვალაო. ასე აქცია ბატონმა გურამმა გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე დღესასწაულად, რომელიც სწრაფად იქცა რეალობად. ბატონი გურამი გულწრფელად ხარობდა და ამაყობდა თავისი ხელდასმული მოწაფის (თერაპევტ-დიეტოლოგი ასმათ კევლიშვილი) წარმატებებით, რამეთუ კიდევ ერთ ადამიანს აუსრულა აუხდენელი ოცნება. აქვე დავძენ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს თუ ამ წარმატებას წელიწადის რომელ დროს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ბატონი გურამის სამუდამო საჩუქარია. უღრმესი მადლობა მას ამ უანგარო სიკეთისთვის.

აღსრულდა ნება ღვთისა, ნება და სურვილი იაკობ ტატიშვილისა (ბატონი გურამის ბაბუა, მღვდელი), რამეთუ, ჩვენს ქვეყანას ყავს ერთ მუშტად შეკრული, დიდიან პატარიანად, საამაყო, მრავალრიცხოვანი, სასიქადულო შთამომავლობა - ტატიშვილების ოჯახი; ეს და ასეთი ოჯახები, მოგეხსენებათ, ჩვენი სამშობლოს სიძლიერეა.

ვფიქრობ, რომ ეს - ბატონი გურამ ტატიშვილის სხვა კეთილშობილურ საქმეებთაგან ყველაზე დიდი და შესაშური დამსახურებაა ქვეყნის წინაშე.

პროფესორი ზაზა თოფურია

სწორუპოვარი და მისაბაძი

არიან ადამიანები, რომელთა არსებობა ალამაზებს, ამდიდრებს და ამშვენებს ჩვენს ყოველდღიურობას.

ასეთი სამაგალითო ადამიანები ცოცხლობენ, იღწვიან, ქმნიან და ღირსეულად მონაწილეობენ პროცესებში, დღევანდელობას რომ რაიმე მნიშვნელოვანს სძენს.

ასეთი ადამიანების ნაკვალევზე იზრდებიან თაობები, რომლებიც დამაჯერებლად აღიქვამენ ნანახსა და განცდილს, იციან ფასი წარმატების, ამაღლებულის, მნიშვნელოვანის.

სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ცნობილი ქირურგი, დამსახურებული მეცნიერი და თვალსაჩინო მოქალაქე ბატონი გურამ ტატიშვილი.

გურამ ტატიშვილის საქმიანობიდან და ღვაწლიდან ბევრი მნიშვნელოვანი შენაძენის გახსენება შეიძლება, მისი მოღვაწეობა სამაგალითოა და მისაბაძი.

უყვარდა ყველას, ვინც იცნობდა, პატივს მიაგებდნენ და ენდობოდნენ. იგი იყო შემძლე ცოდნითა და გამოცდილებით დაეპურებია დიდი და პატარა. ცოდნის წყაროდ ექცია ბევრი სიახლე, სწორი მიმართულება მიეცა ნიჭიერი ახალგაზრდისათვის.

80 წლისამ მშვენიერი წიგნი დაწერა „ჟამი ფიქრის, მოგონების და განსჯის“. ამ წიგნში ბევრ ცნობილ ადამიანს შეხვდებით, იმათ, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ბატონ გურამთან. მათ მიერ სრულყოფლადაა შეფასება ღვაწლისა, რომელიც დიდ მეცნიერს და მის სახელს ახლდა.

ბატონი გურამი გამორჩეულად უყვარდათ ქუთაისში, ამის შესახებ თვითონაც წერდა, ყველაზე კომფორტულად თავს ქუთაისში ვგრძნობო.

რამოდენიმე წლის წინ ბატონი გურამ ტატიშვილი საზოგადოება „ქუთაისელმა“ საპატიო წევრად აირჩია. მოუწყვეს ღირსეული შეხვედრა, ისაუბრეს მის დამსახურებაზე ქვეყნისა და ერის წინაშე.

მეც ძალიან ვამაყობ იმით, რომ, საზოგადოება „ქუთაისელის“ წევრად ამირჩიეს, ამ საზოგადოების წევრი ბევრი ღირსეული და დამსახურებული ადამიანია, რომელთა გვერდში ყოფნა მახალისებს და სიხარულს მგვრის. მე ყოველთვის ვცდილობდი მეხელმძღვანელა ერთი პრინციპით: წუთისოფელი ისე უნდა განვლო, რომ უკან მოხედვის არ შეგრცხვეს. ჩვენმა თაობამ აქედანვე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ შთამომავლობამ უკეთეს საქართველოში იცხოვროს, წერდა იგი.

2000 წელს ბატონი გურამ ტატიშვილი ქუთაისში, სამეცნიერო კონფერენციაზე გვყავდა მოწვეული, ამავე კონფერენციაზე მოწვეული იყო ცნობილი ქირურგი და მეცნიერი ა.მ.შულუტკო, იგი დედით ქართველია და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება გახლავთ. ორთავენი დაინტერესდნენ ჩემი მეცნიერული ნაშრომით, რომელიც პათოლოგიური სიმსუქნის ქირურგიულ მკურნალობას ეხება. რომ არა ბატონი გურამი და მისი კატეგორიული მოთხოვნა, რომ მე სამეცნიერო ნაშრომი გამეხმიანებინა, შეიძლება დღეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი არ ვყოფილიყავი.

30 წელზე მეტი მეგობრობა მაკავშირებდა ამ ადამიანებთან და მიუხედავად ასაკის სხვაობისა, მათთან ურთიერთობაში ვერანაირ განსხვავებას ვერ ვგრძნობდი.

ბატონი გურამის სიკვდილმა დაგვამგლოვიარა და გული გვატკინა. დაგვაკლდა მისი მამაშვილური რჩევანი, დავკარგეთ ადამიანი, რომელიც ყველა ქირურგის მეგობარი და გვერდში მდგომი გახლდათ.

ძნელია გახსენება იმისა, რომ ბატონი გურამი ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ სამახსოვრო და საამაყოა ყველა ის წუთი, რომელიც მის გვერდით გაგვიტარებია.

მეამაყება, რომ მისი უმრწმესი მეგობარი და თანამედროვე ვიყავი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ბორის ჩაკვეტაძე

* * *

მსურს პატივი მივაგო ადამიანის ხსოვნას, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება განვლო სახელოვნად და დაიკავა საპატიო ადგილი იმ საყოველთაოდ აღიარებულ და საამაყო საზოგადოებაში, რომელსაც ეწოდება „საქართველოს ქირურგთა საზოგადოება“. საქართველო ყოველთვის ამაყობდა ბრწყინვალე შვილებით, რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოუპოვეს ზოგადად ქართულ მედიცინას და მათ შორის ქირურგიას. ბატონი გურამ ტატიშვილი სწორედ ამ პლეადას განეკუთვნება.

სადაც არ უნდა ემუშავა ბატონ გურამს, ის ყველგან გამოირჩეოდა უდიდესი ენერგიით და მიზანსწრაფულობით. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ დღეს და მომავალშიც ბევრს ისაუბრებენ მისი კოლეგები და მეგობრები. მე კი მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო მისი ცხოვრების ორ ეპიზოდს, როცა მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად მემუშავა.

პირველად ეს იყო 1978 წელს, როდესაც საქართველოში მწვავედ დაისვა საკითხი ექიმთა ატესტაციის და სერტიფიცირების შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი იყო ალბათ დედამიწის ზურგზე ერთადერთი ქვეყანა, სადაც არ არსებობდა სერტიფიკატი სპეციალობაში. როდესაც ახალგაზრდა ამთავრებდა სამედიცინო ინსტიტუტს, გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებამდე რამდენიმე თვით ადრე იბარებდნენ დეკანატში და ანაწილებდნენ მათ სამუშაო ადგილებზე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იქ, სადაც იყო ვაკანტური ადგილები, ჯერ საქართველოში, შემდეგ კი კავშირის მასშტაბით. ნებისმიერი სპე-

ციალობის ექიმი ისე ინიშნებოდა ვაკანტურ ადგილზე, რომ ინსტიტუტში მიღებული ზოგადი განათლების გარდა სხვა რაიმე ცოდნა არ გააჩნდა. ამავე დროს, არსებული კანონის მიხედვით, ახალი კურსდამთავრებული ექიმი ვალდებული იყი სამი წელიწადი ემუშავა სოფლის ამბულატორიებში, და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება სწავლა გაეგრძელებინა ორდინატურაში ან ასპირანტურაში. ასეთმა მიდგომამ ცხადია, თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო და 1978 წელს კატეგორიულად დაისვა საკითხი ექიმთა ატესტაციის და სერტიფიცირების ჩატარების შესახებ. ამ საქმის ინიციატორი იყო მაშინდელი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. ყველას კარგად გახსოვთ, ალბათ, თუ რა შეხლა-შემოხლა გამოიწვია ამ წამოწყებამ. ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე იყო. ამტკიცებდნენ, რომ ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ექიმების მასობრივად დათხოვნას სამსახურიდან, რომ ეს იქნება ექიმებისაგან ფულის გამოძალვის საბაბი და სხვა უმსგავსობანი. ამ ფერხულში ჩაბმული იყო პრესაც და, სწორედ ამ პერიოდში, ბატონმა გურამმა, როგორც საქართველოს მთავარმა ქირურგმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკითხის სწორად გადაწყვეტაში. ის თავგამოდებით იბრძოდა, რომ ატესტაცია შესულიყო ძალაში. წარმოიდგინეთ, როგორი იყო წინააღმდეგობა, რომ იმ დღეს, როცა სამინისტროს კოლეგიაზე უნდა განხილულიყო საკითხი და გადაეწყვიტათ ატესტაციის დაწყების თარიღი, დილით, მოსკოვიდან, საკავშირო სამინისტროდან დარეკეს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა შეეჩერებინათ. მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, საბოლოოდ ატესტაციისა და სერტიფიცირების საკითხი დადებითად გადაწყდა. დავიწყეთ მეან-გინეკოლოგებით და შემდეგ მიყვნენ ქირურგები და სხვა სპეციალობები. ამრიგად, 1978 წელს გავლებულ იქნა წითელი ზღვარი ცოდნასა და უცოდინარობას შორის.

ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვნის ბატონ გურამს 1994 წელს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებაში. ამ პროცესს სათავეში ედგა სწორუპოვარი დასტაქარი და ბრწყინვალე პიროვნება ბატონი ზაალ კახიანი. ამ საკითხშიც ბატონმა გურამმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ბევრი იღვაწა, რომ საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო. ნიშანდობლივია მისი არჩევა ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

ბატონი გურამი იყო მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება და ყოველივე ამას აგვირგვინებდა მისი პიროვნული, ადამიანური თვისებები. ის იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა რა არის მეგობრობა და ერთგულება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

პროფესორი პალიკო კინტრაია.

* * *

პროფესორები შოთა ჯაფარიძე, გურამ და დავით ტატიშვილები

ძალიან ძნელია გურამ ტატიშვილზე წარსულში ისაუბრო.

ბატონი გურამი უფლისაგან უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. იგი ადამინებისადმი განუსაზღვრელი სითბოთი, მეგობრებისადმი ერთგულებით, თავის საქმიანობაში პრინციპულობით, და ვაჟკაცური შემართებით გამოირჩეოდა.

ახალგაზრდა ექიმი გახლდით, ბოლნისის რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში ვმუშაობდი, როდესაც ბატონი გურამი გავიცანი. იგი მაშინ ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი ქირურგი გახლდათ. გაცნობისთანავე მისი პიროვნებით მოვიხიბლე და ბედმა ისე ინება, რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენ საგარეჯოში ერთმანეთის მეზობლად მოგვიწია ააგარაკო სახლების აშენება. ისე დავახლოვდით ოჯახებით, რომ ჩემი ქალიშვილის ქორწილი თვითონ ბატონი გურამის შემოთავაზებით 1993 წელს მის სახლში გადავიხადეთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კათედრის პროფესორად ჩემს წარდგენაში ბატონ გურამს გადამწყვეტი როლი მიუძღვის.

ბატონი გურამი მეგობრებისა და კოლეგებისადმი უდიდეს სითბოს ამჟღავნებდა. ამის დამადასტურებელია ფრაგმენტი ბატონი გურამის მიერ ჩემდამი მილოცვის წერილიდან, რომელსაც ჩემს ოჯახში საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი. „ჩემო ძვირფასო შოთა.... მე და ლენას მიგვაჩნია, რომ ჩვენს აგარაკზე შენი საამაყო შვილის ქორწილის შემდეგ თქვენი ოჯახის საქმე ყველა მიმართულებით აღმავლობის გზაზეა. შენი წარმატება ჩვენი ოჯახის გამარჯვებადაც მიგვაჩნია.“

ბატონი გურამი გამჭრიახი გონების, საოცარი ენერგიის მქონე პიროვნება იყო, რაზეც მეტყველებს მთელი მისი განვლილი ცხოვრება და სულ ახალახან მისი თაოსნობით დაარსებული ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“ .

ბატონი გურამის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველა იმ ადამიანის გულში, ვინც კი მას იცნობდა.

აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე

გახსენება

ბატონი გურამი გავიცანი ქალაქის მეორე სასწრაფო სამედიცინო დახმარების კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც დავიწყე მუშაობა შტატგარეშე ექიმ-ქირურგად.

კლინიკაში შემოვიდა ჩვენი მეგობარი დანით მიყენებული მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობით, ბატონი გურამი იმ დროს უკვე გახლდათ თსსუ ქირურგიის კათედრის გამგე. იმის გამო, რომ დაჭრილი იყო ცნობილი პროფესორის, ქირურგის სიძე, ოჯახმა ოპერაციის გაკეთება სთხოვა ბატონ გურამს, ასისტენტობას უწევდა ზოგადი ქირურგიის კათედრის ასისტენტი ოთარ თევდორაძე. როგორც ქირურგსა და პაციენტის მეგობარს, მე ნება დამრთეს დავსწრებოდი ოპერაციას. დანით მიყენებული ჭრილობის შედეგად დაზიანებული იყო წვრილი ნაწლავის ჯორჯალი და მისი კედელი. მოუხდათ ნაწლავის რეზექცია და მისი მთლიანობის აღდგენა.

ოპერაცია იმდენად სწრაფად დასრულდა, რომ როდესაც ოპერატორი საოპერაციოდან გამოვიდა, ყველამ იფიქრა, რომ ალბათ დანას არ დაუზიანებია შინაგანი ორგანოებიო. როდესაც გაიგეს დაზიანების ხარისხი, ყველა გაოცდა. ოჯახი იყო ბატონი გურამის უზომოდ მადლიერი.

შეიძლება ითქვას, რომ მე იმ დღიდან ახლოს გავიცანი პროფესორი გურამ ტატიშვილი და მისი სიცოცხლის ბოლომდე ვთვლიდი მას ჩემს უფროს მეგობრად, მითუმეტეს, როდესაც ჩვენი თანაკურსელი ლენა მერცალოვა გახდა მისი მეუღლე.

მინდა გავიხსენო ბატონი გურამის მიერ გაკეთებული კიდევ ერთი კეთილი საქმე. როცა მე დამნიშნეს უკვე გაერთიანებული საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორად,

დანიშნული იყო კლინიკის კოლექტივთან შეხვედრა, მაგრამ სამწუხაროდ, თავად აღმოვჩნდი ავადმყოფის საწოლზე. იმ დღეს მომინახულა ბატონმა გურამმა. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. მან გამამხნევა, მიამბო იმ კლინიკაში გატარებულ წლებზე, თანამშრომლებზე. მითუმეტეს, რომ უკვე ყოფილი მე-8 საავადმყოფოს ქირურგიული კორპუსის ისტორია უკავშირდებოდა მის სახელს და სწორედ მისი კავშირებისა და პირადი მონაწილეობით იქნა აშენებული ეს კორპუსი, რომლის ფუძეზეც დღეს წარმატებით ფუნქციონირებს თსსუ 1 საუნივერსიტეტო კლინიკა.

და კიდევ ერთი ეპიზოდი ჩემთვის ძვირფასი ადამიანის ცხოვრებიდან:

პროფ. ახმეტელის გარდაცვალების შემდეგ გრ. მუხაძის ქირურგიულმა საზოგადოებამ შეწყვიტა არსებობა. მახსოვს ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ბატონმა გურამმა ჩემს კოლეგებსა და მეც შემოგვთავაზა გავმხდარიყავით ხელახლა შექმნილი აკად. გრ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების დამფუძნებლები.

იგი გახლდათ აგრეთვე სამეცნიერო -პრაქტიკული ჟურნალის „საქართველოს ქირურგიის მაცნე“-ს შექმნის ინიციატორი.

და აი, იდეა იქცა რეალობად.

სისტემატურად ტარდებოდა საზოგადოების სხდომები, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ჩვენი თანამემამულეების, ასევე უცხოელი ქირურგების მოხსენებებიც,

დღის სინათლე იხილა ჟურნალის სამმა ნომერმა.

დღეს, როდესაც ჩვეთან აღარ არის პატივსაცემი მოქალაქე, ძირძველი თბილისელი, დიდი ქირურგი, ჯანდაცვის ბრწყინვალე ორგანიზატორი, მედ, მეცნ, დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი გურამ გიორგის ძე ტატიშვილი, მინდა ვთქვა, რომ მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოსწავლეების მეხსიერებაში.

პროფესორი თამაზ ჩხიკვაძე
ა. ალადაშვილის კლინიკის კლინიკური დირექტორი,
მედიც. მეცნიერებათა დოქტორი.

„გიორგევიჩმა“ კვალი დატოვა

ქირურგიაში სუბორდინაციას გავდიოდი ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (თსსი) სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ბაზაზე, რომელსაც იმ დროს აკადემიკოსი მ. კომახიძე ხელმძღვანელობდა. სტუდენტობის ადრეული წლებიდან მოყოლებული, ჩემთვის ჩვეული იყო მორიგეობა, როდესაც ჯერ „ალ. ალადაშვილის სახ. საავადმყოფოში“, ხოლო შემდგომ „ნ. კახიანის სახ. რკინიგზის საავადმყოფოში“ ვმორიგეობდი (შესაბამისად, როდესაც ზოგადი და საფაკულტეტო ქირურგიის კათედრებზე გავდიოდი სწავლებას). სამივე კლინიკაში მიწევდა როგორც გამოცდილ, ისე ახალგაზრდა ქირურგებთან ურთიერთობა. როდესაც თავისუფალ დროს ვსაუბრობდით, თუ სად ჯობდა დაეწყო ქირურგს პრაქტიკული უნარების ათვისება, ყველგან ძრითადად 2-3 ქირურგიული ბაზა სახელდებოდა, მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო ბ-ნი გურამ ტატიშვილის კათედრა. სტუდენტობის პერიოდში ბ-ნ გურამთან ურთიერთობა არ მქონია, ვინაიდან მის კათედრაზე სხვა ფაკულტეტების სტუდენტები გადიოდნენ ქირურგიას.

სუბორდინატურის დამთავრებამდე, ჩემს მომავალთან დაკავშირებით კონსულტაციები მქონდა თსსი



პრორექტორთან სამეცნიერო დარგში, პროფესორ არჩილ ასათიანთან, რომელთანაც მეორე კურსიდან მაკავშირებდა მეგობრობა. ბ-ნმა არჩილმა მირჩია - პირდაპირ ასპირანტურაში ჩაბარების ნაცვლად, ჯერ გამევლო ინტერნატურა და კლინიკური ორდინატურა, მიმეღო გარკვეული გამოცდილება ქირურგიაში და შემდგომ გავმხდარიყავი ასპირანტი. რაზეც მე დავეთანხმე, თუმცა რჩებოდა საკითხი, თუ სად უნდა გამევლო ინტერნატურა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ბ-ნ არჩილს პრაქტიკულად არც უფიქრია, ისე მითხრა, - „გირჩევდი გურამ ტატიშვილის კათედრას, სადაც ყველაფერი კეთდება ახალგაზრდების პროფესიული განვითარებისთვის და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო“.

ბატონი არჩილის რეკომენდაცია სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ბატონი გურამ ტატიშვილისთვის და მეც, მისდამი დაქვემდებარებული კათედრის ბაზაზე ინტერნად დავიწყე მუშაობა. პირველივე დღიდან თვალშისაცემი იყო მისი, როგორც კლინიკის ხელმძღვანელის ორგანიზაციული ნიჭი. საათივით ჰქონდა აწყობილი განყოფილებებში მორიგეობა, შემოვლები, ოპერაციების განაწილება, დილის კონფერენციები და ა.შ. მისთვის მთავარი პრიორიტეტი იყო ახალგაზრდების ჩართულობა სადიაგნოზო/სამკურნალო საქმიანობაში. მისი მითითებით, როგორც წესი, მორიგეობის დროს სასწრაფო ოპერაციების უმრავლესობა ინტერნების მიერ უნდა შესრულებულიყო. ამ პრინციპს ძალიან მკაცრად იცავდა და პირადად აკონტროლებდა. გამონაკლის შემთხვევებზე ფიცხად რეაგირებდა და მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელისგან ახსნა-განმარტებას ითხოვდა. მორიგეობის პარალელურად, როგორც ინტერნს, ბატონმა გურამმა გამომიყო პალატები მამაკაცთა და ქალთა განყოფილებებში. აქედან გამომდინარე, გეგმიურ ოპერაციებშიც აქტიურად ვიყავი ჩართული და ინტერნატურის დამთავრებისას ჩემმა ოპერაციულმა აქტიობამ საკმაოდ მაღალი ციფრი შეადგინა. ასევე აქტიურობდნენ სხვა ინტერნებიც. ინტერნატურის დამთავრების შემდეგ, გასაუბრებაზე მაშინდელი მთავარი ქირურგი, პროფესორი ირაკლი მგალობლიშვილი კომისიის სხვა წევრებთან საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ - „გურამ ტატიშვილთან ინტერნები საკმაოდ ბევრ ოპერაციებს აკეთებენ და ეს ძალიან მისასალმებელიაო“.

მახსოვს, ინტერნატურის პერიოდში, აგვისტოში მეორე მორიგეობას ვასრულებდი, როდესაც დაახლოებით ღამის 2 საათზე მიმღებში მოიყვანეს თბილისში ცნობილი „ავტორიტეტი“, რომელსაც გულმკერდში შემავალი ჭრილობა აღენიშნებოდა. მიუხედავად ჩემი ახსნა-განმარტებისა, რომ იმ დღეს მორიგე ბრიგადას საკმაოდ გამოცდილი ქირურგი, კათედრის დოცენტი ხელმძღვანელობდა, პაციენტის მეგობრებმა კატეგორიულად მოითხოვეს კლინიკის ხელმძღვანელის მოყვანა. ვინაიდან ტელეფონით ვერ დავუკავშირდი, იძულებული გავხდი, ბინაზე მიმეკითხა ბ-ნი გურამისთვის. გაოცებულმა გამიღო კარები, მომისმინა, კომენტარის გარეშე უცებ მოემზადა და გამომყვა საავადმყოფოში. მეორე დილით კოლეგებმა მისაყვედურეს -„როგორ გაუბედე და დაუკითხავად დაადექი თავზეო“. შემდგომ დილის კონფერენციაზე აღნიშნული პაციენტის მდგომარეობის განხილვისას ბ-ნმა გურამმა მადლობა გადამიხადა და იქვე აღნიშნა, - „აღნიშნულ პაციენტთან ურთიერთობას და ოპერაციის შემდგომ შესაძლო გართულებებს შეეძლო ნებისმიერი ქირურგისთვის ძალიან მძიმე მდგომარეობა შეექმნა და კარგია, რომ ეს ტვირთი ჩემ თავზე ავიღეო.“ ოპერაციის შემდგომმა პერიოდმა წარმატებით ჩაიარა და პაციენტი გამოჯანმრთელებული გაეწერა. იმ ღამის შემთხვევამ, ჩვენი კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური მდგომაროება საკმაოდ გააუმჯობესა.

საავადმყოფოს II ქირურგიაში, რომელშიც ოფიციალურად იყო განთავსებული ჩვენი კათედრა (პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა) კიდევ ერთი განსხვავებული, ორგანიზაციული საკითხი იყო დანერგილი, რომელიც ასევე მინდა გამოვყო. ინტერნატურის და კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდგომ, ბ-ნი გურამი გამოარჩევდა კონკრეტულ პიროვნებას და „აწინაურებდა“. მას უწოდებდა „დეკანს“ და აბარებდა დამწყებ ინტერნებს. „დეკანი“ ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩვენთვის მიმდინარე პრობლემური საკითხები აეხსნა, გაეადვილებინა და სათანადო რჩევებიც მოეცა, ეგრეთწოდებულ „დეკანად“ პირველად დანიშნულ იქნა შესანიშნავი პიროვნება, მ.მ.კ. ბატონი გია ხოჯაშვილი. მის შემდეგ, მეორე დეკანად და უშუალოდ ჩემი ინტერნატურის დროს კოორდინატორად, დაინიშნა ამჟამად ჩემი მეგობარი, ძალიან გამოცდილი ქირურგი, თსსუ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, მედ. აკად. დოქტორი, ბატონი გია დათუაშვილი. იგი უშუალოდ გვანაწილებდა მორიგე ბრიგადებსა და გეგმიურ ოპერაციებში. ბატონი გია აღნიშნულ საქმეს ასრულებდა მაშინდელი განყოფილების გამგეებთან, თბილისში საკმაოდ ცნობილ და კოლორიტ პიროვნებებთან, ბ-ნ. გივი ცინცაძესთან და ბ-ნ. ანდრო გამრეკელთან ერთად. ხშირად ურგენტულ და გეგმიურ ოპერაციებს ინტერნები და კლინიკური ორდინატორები ვაკეთებდით. ამ დროს მთელი პასუხისმგებლობა ოპერაციაზე დანიშნულ ოპერატორს ეკისრებოდა, რომელიც ოპერაციის მსვლელობისას, ძირითადად საკვანძო მომენტებში ერეოდა და ფაქტიურად ჩვენ გვიწევდა ასისტენტობას. ასე იქცეოდა თვითონ ბატონი გურამიც და ამით მაგალითს აძლევდა სხვებს. ხშირად, მის ოპერაციებში, ბატონი ლევან შიმშილაშვილი და მე ვმონაწილეობდით. ჩვენ ორნი რიგრიგობით ვასრულებდით ოპერატორისა და ასისტენტის ფუნქციებს.

რადგანაც ბატონი ლევან შიმშილაშვილი ვახსენე (ის ამჟამად ისრაელში ცხოვრობს და მუშაობს როგო-

რც ქირურგი), აქვე დავამატებ, რომ ბ-ნმა გურამმა სწორედ ჩვენ ორნი გაგვაგზავნა მოსკოვში, აკადემიკოს ი. პანცირევის კათედრაზე (სადაც ასევე მუშაობდა პროფ. ა. გრინბერგი), მაშინ ახალი და პოპულარული ოპერაციების, ვაგოტომიების ასათვისებლად და ჩვენს კათედრაზე დასანერგად. ბატონი გურამი ყველაფერს ოპერატიულად აკეთებდა: მოიფიქრა, შეგვითანხმა, შეუთანხმა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს და თსსი-ის რექტორს, გამოგვიყო მოსკოვში საერთო საცხოვრებელი და სხვა აუცილებელი პირობებიც მოგვიგვარა. ყოველივე ამას ერთი კვირაც არ დასჭირდა და გავფრინდით მოსკოვში. როდესაც მივაკითხეთ ნ. პიროგოვის სახ. მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ადმინისტრაციას, აღმოჩნდა, რომ მარტო საქართველოს მთავარი ქირურგის (იმჟამად ბატონი გურამ ტატიშვილი იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე) ხელმოწერა არ იყო საკმარისი და დამატებით მოითხოვეს მინისტრის ან მინისტრის მოადგილის ხელმოწერაც. მოსკოვიდან ტელეფონით დავუკავშირდით ბატონ გურამს და ვაცნობეთ ყოველივე. ვინაიდან დასვენების დღეები იყო, ბ-ნმა გურამმა პირადად ნახა ჯანდაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილე, ბ-ნი ი. ჩოჩუა, ხელი მოაწერინა, თვითონვე ჩაიტანა მივლინების მიმართვა აეროპორტში და გამოგვიგზავნა. მივლინება იყო სამთვიანი, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, რომ არ ველოდით, ისე მოგვინახულა/შეგვამოწმა კლინიკაში ბ-ნმა გურამმა და კათედრის ხელმძღვანელებისგან ჩვენ შესახებ სრული ინფორმაცია მიიღო. მასთან ერთად მოსკოვში ჩამოსული იყო ბ-ნი გელა ლეჟავაც (ჯანდაცვის მაშინდელი მინისტრი) რომელთანაც ასევე მოგვიწია შეხვედრა და მივლინების მიმდინარეობის შესახებ ინფომაციის მიწოდება.

ცალკე მინდა გამოვყო ბ-ნ. გ. ტატიშვილის მუშაობა როგორც ქირურგიის სადისერტაციო საბჭოს წევრის, თავმჯდომარის მოადგილის და შემდგომ თავმჯდომარის როლში. ბატონი გურამი „დისერტანტებს“ ძალიან თბილად გვექცეოდა, გვამშვიდებდა და ყოველთვის საქმიან შენიშვნებს გვაძლევდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთადაც ვმუშაობდით საბჭოში და რიგ შემთხვევებში, ასევე მოგვიწია საბჭოს სხდომების ერთად წაყვანა, რეცენზიების ჩატარება და სხვა.

აღსანიშნავია პროფ. გ. ტატიშვილის საზოგადოებრივი საქმიანობაც და მისი უშუალო კავშირები, როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მის მოწაფეებს, მათ შორის მეც, ხშირად გვიწევდა რეგიონებში ჩასვლა ქირურგიული განყოფილების მუშაობის და ავადმყოფობის ისტორიების შესწავლა. ასეთ დროს იგი ახერხებდა, რომ ყოფილიყო ერთდროულად მკაცრი, პრინციპული, ობიექტური, დაეწერა კრიტიკული დასკვნა და ამავდროულად, დარჩენილიყო შესამოწმებელი პირების მეგობრად.

ძალიან საინტერესო იყო მასთან ერთად მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით ჩატარებულ ყრილობებსა თუ კონფერენციებში. მახსოვს, ბაქოში ამიერკავკასიის ქირურგთა ყრილობაზე ჩვენი კათედრის წევრთა მონაწილეობა. ყრილობის მიმდინარეობის ერთ-ერთ საღამოს, მასპინძელმა, აკადემიკოსმა მ.ჯავაზადემ დაგვპატიჟა სახლში, სადაც საბჭოთა კავშირის წამყვანმა ქირუგებმა მოიყარეს თავი. ბატონი გურამი არ წავიდა მარტო და ჩვენც წაგვიყვანა თან. ყოველივე დაასაბუთა იმით, რომ პირადად მინდა გაგაცნოთ ყველა მათგანი, რათა მომავალში ჩემს გარეშეც შეძლოთ მათთან საქმიანი ურთიერთობა. სუფრაზე დაახლოებით 30-მდე კაცმა მოიყარა თავი. როდესაც მასპინძელმა პირველი ჭიქა ასწია და თამადად ბ-ნი გურამ ტატიშვილი დაასახელა, არავის გაკვირვებია და ყველა მოწონებით შეხვდა ამას. თუმცა ბატონმა გურამმა სამადლობელ სიტყვაში მასპინძელს უთხრა, - „რას მიშვები, ჩემო ძმაო, სუფრაზე ნახევარზე მეტი აკადემიკოსია მოსკოვიდან ჩამოსული და რა გინდა, მათთან აღარ ჩამესვლებოდეს, მე რომ დამნიშნე სუფრის ხელმძღვანელადო?“ საოცრად ლამაზი და კარგი საღამო გაგვატარებინა ბატონმა გურამმა. ასეთი კონფერენციები საკმაოდ მრავლად იყო ყოფილი საბჭოთა კავშრის სხვადასვა ქალაქში. მის მოწაფეებს განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ჩვენი ვიზიტი უზბეკეთში, როდესაც ტრანსპლანტოლოგიის საკითხებზე პირველი საკავშირო კონფერენცია გაიმართა. სხდომა მიმდინარეობდა 3 დღის განმავლობაში (რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვ. შუმაკოვი), ჩვენი მივლინება კი სულ 5 დღეს გრძელდებოდა. ძალიან დიდი სურვილი გვქონდა გვენახა უზბეკეთის ღირსშესანიშნავი ადგილები, რისთვისაც დრო პრაქტიკულად არ გვქონდა. ბ-ნმა გურამმა იცოდა, რომ ჩვენ პირველად ვიყავით უზბეკეთში და ამის გამო თავისი ნაცნობების საშუალებით, მიაღწია იმას, რომ უზბეკეთის მთავრობამ საქართველოს დელეგაციისათვის გამოყო თვითმფრინავი (ან-24), რითაც მოვიარეთ ბუხარა, სამარყანდი, ხივა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. თითოეულ ქალაქში ჩვენი დელეგაციისთვის დახვედრა და მასპინძლობა მაშინდელი პროტოკოლის სრული დაცვით მიმდინარეობდა. ბ-ნ გურამს ხვდებოდნენ საოლქო კომიტეტის მდივანი, ქალაქკომის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, მთავარი ექიმი, მთავარი ქირურგი და ა.შ. ბ-ნ გურამს ხანგრძლივი პროცედურების შესრულება უწევდა, სათითაოდ მათთან ხელის ჩამორთმევა და ა.შ. ყოველივე ჩვენ ხუმრობის ხასიათზე გვაყენებდა და მას მაშინდელი ცკ-ის პირველ მდივანს ვადარებდით.

„გიორგევიჩმა“ კვალი დატოვა“ - რატომ შევარჩიე ასეთი სათაური ამ მცირე მოგონებისთვის? პრაქტიკულად ჩვენ, მისი მოწაფეები და არამარტო ჩვენ, ბ-ნ გურამს მამის სახელით მივმართავდით, რაც მას ძალიან ეამაყებოდა. როგორც ცნობილია, ბ-ნი გურამის მამა იყო რეპრესირებული და იგი მის ხსოვნას დიდ პატივს მიაგებდა. რაც შეეხება კვალის დატოვებას, მე არ მეგულება დღეს არც ბ-ნ გურამ ტატიშვილის თაობაში და არც მანამდე, რომელიმე ზოგადი ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელი, რომელსაც ამდენი მოწაფე აღეზარდა. დღევანდელ დღეს, მისი მოწაფეები მუშაობენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული, ევროპის და აზიის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და საქართველოს ყველა რეგიონში. ყოველი მათგანი იყო და არის საკმაოდ წამყვან პოზიციებზე. ჩვენთვის ბ-ნი გურამის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარია და ყოველთვის ვიამაყებთ რომ ვიყავით მისი მოწაფეები.

პროფესორი გია ლობჟანიძე

აკადემიკოსი გურამ ტატიშვილი - საქართველოში ქირურგიული სამსახურის რეფორმატორი

გარდა ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობისა, აკადემიკოს გურამ ტატიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში ქირურგიული სამსახურის განვითარებისა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სრულყოფის საქმეში.

უშუალო მომსწრე და მონაწილე ვარ მცირე თუ მასშტაბური გარდაქმნებისა, რაც ქირურგიულმა სამსახურმა განიცადა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე. დარწმუნებული ვარ, ჩემი თაობის კოლეგები დამეთანხმებიან, რომ ქირურგიაში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მანამდე კი, როგორც მთლიანად საბჭოთა იმპერიაში, საქართველოშიც უძრაობის პერიოდი იდგა. მრავალი ათეული წლის მანძილზე ზოგადი ქირურგიის განყოფილებებში დომინირებდა აპენდექტომია ქრონიკული აპენდიციტის დაუსაბუთებელი დიაგნოზით, როგორც წესი, ადგილობრივი ანესთეზიით. სათანადო ჩვენების გარეშე კეთდებოდა უამრავი კუჭის რეზექცია თორმეტგოჯა ნაწლავის გაურთულებელი წყლულის დროსაც. არ იყო ჩამოყალიბებული გასტროდუოდენური სისხლდენის და სხვა ურგენტული პათოლოგიის მკურნალობის ერთიანი სტანდარტული ტაქტიკა.

80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ქირურგიული სამსახურის პრობლემების შესასწავლად მოსკოვიდან ჩამოვიდა კომპეტენტური კომისია საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგის, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს მიხაილ კუზინის ხელმძღვანელობით. კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ახლადდანიშნული მთავარი ქირურგი, პროფესორი გურამ ტატიშვილი. კომისიამ ქირურგიული სამსახური არადამაკმაყოფილებლად შეაფასა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

შესაშური ენერგიით, ღრმა ცოდნით, სიბრძნით და პრინციპულობით შეუდგა მთავარი ქირურგი გურამ ტატიშვილი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. ლიდერმა შემოიკრიბა თანამოაზრე, ძირითადად ახალგაზრდა პატრიოტ ქირურგთა გუნდი. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა რეგიონების მიმართ. აჭარაში ბატონი გურამი ყოველთვიურად რამდენჯერმე ჩამოდიოდა, გვასწავლიდა, გვეხმარებოდა, გვმეგობრობდა. მოკლე დროში მისი ხელმძღვანელობით ქირურგიული სამსახური აჭარაში დროის თანამედროვე მოთხოვნებს გაუტოლდა. ერთი წლის შემდეგ, იგივე შემადგენლობით მოვლენილმა საკავშირო კომისიამ ხაზგასმით დაადასტურა აჭარის ქირურგიული სამსახურის სამაგალითოდ დადებითი ცვლილებები. მთლიანად საქართველოში ქირურგიის აღორძინების ათვლის წერტილად ამ მომენტს მივიჩნევთ, და მას გურამ ტატიშვილის სახელს ვუკავშირებთ.

ნაკლოვანებათა გამოსწორებით არ დამთავრებულა ბატონი გურამის მეურვეობა აჭარის მიმართ. გულითადად მეგობრობდა ჩემთან, გივი ცივაძესთან, ნაბრი მიქელაძესთან, რიფათ გეგიძესთან... იგი იყო საოცრად კომუნიკაბეული, განსაკუთრებული ხიბლის მქონე, ლიდერის საუკეთესო თვისებებით უხვად დაჯილდოვებული პიროვნება. მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ, როგორც სამედიცინო წრეებში, ისე მაღალ ინსტანციებში. ალბათ ამიტომაც უადვილდებოდა ქვეყნის სასიკეთო საქმეების კეთება, ღირსეული კოლეგის დახმარება-დაფასება. მისი მეშვეობით ვმონაწილეობდით ქირურგთა საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკურ ფორუმებში. მისი ავტორიტეტული რეკომენდაციით დახელოვნების კურსებს გავდიოდით მოწინავე ქირურგიულ ცენტრებში - ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრში, ა.ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, ქ. ლენინგრადისა და კიევის ცნობილ ქირურგიულ კლინიკებში. ამავე წელს, ქირურგთა ჯგუფთან ერთად, 2 თვის მანძილზე ვმუშაობდი ა.ვ. ვიშნევსკის სახ. ქირურგიის ინსტიტუტში, ავითვისეთ პროქსიმალური სელექტიური და ღეროვანი ვაგოტომიის ნიუანსები, კუჭის მადრენირებელი ოპერაციები, ძირითად ქირურგიულ სნეულებათა მკურნალობის ტაქტიკა. ბატონმა გურამმა გამაცნო ბორის პეტროვსკი, ალექსანდრე ვიშნევსკი, ალექსანდრე შალიმოვი, ვალერი შუმაკოვი და იმ პერიოდის ქირურგიის სხვა კორიფეები, რომლებთანაც, ისევ მისი მეშვეობით, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა და უანგაროდ მეხმარებოდნენ აჭარაში ქირურგიული ნოვაციების დანერგვაში.

პროფ. გურამ ტატიშვილი მეუღლით ბათუმში, აკაკი ბერიძესთან ერთად

კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ამიერკავკასიის ქირურგთა ყრილობები ტრადიციულად რესპუბლიკების დედაქალაქებ-

ში - თბილისში, ბაქოსა და ერევანში ტარდებოდა მონაცვლეობით. 1984 წელს ამიერკავკასიის ქირურგთა მე-9 ყრილობა რიგის მიხედვით თბილისში უნდა ჩატარებულიყო. ბატონმა გურამმა, ნოვატორული აზროვნების ადამიანმა, ყრილობის ჩატარების ოპტიმალურ ადგილად ბათუმი ჩათვალა, თუმცა მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა (განსაკუთრებით ქართველთა შორის). ცხადია, ასეთი დიდი ღონისძიების ჩატარება დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ ბატონ გურამს ბათუმელი მეგობრების და სახელისუფლებო წრეების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, თანაც ამ პერიოდისათვის აჭარაში ქირურგიული სამსახური საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.

გურამ ტატიშვილის ავტორიტეტმა ამჯერადაც გადამწყვეტი როლი ითამაშა და 1984 წლის ოქტომბერში ბათუმში გრანდიოზული მასშტაბის ყრილობა ჩატარდა: 1000-ზე მეტი დელეგატი ესტუმრა ბათუმს არამარტო ამიერკავკასიის, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მოსკოვის, ლენინგრადის და საზღვარგარეთის აღიარებული ქირურგიული ცენტრებიდან. ყრილობამ საერთაშორიშო ფორუმის ხასიათი და მასშტაბი მიიღო. სასიამოვნო ამინდი იდგა ბათუმში, ჯერ კიდევ თბილი ზღვა, ოქროსფერი სურნელოვანი ციტრუსები და გულითადი მასპინძლობა. პირველი მასპინძელი იყო აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პროფესორი ვახტანგ პაპუნიძე – გურამ ტატიშვილის მეგობარი. ბატონი გურამი საოცრად გახარებული და კმაყოფილი დარჩა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ამიერკავკასიის ქირურგთა ყრილობა აღარ ჩატარებულა (!)

გურამ ტატიშვილს საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტიური საქმიანობა სიცოცხლის ბოლომდე არ შეუნელებია. მკითხველმა გულთბილად მიიღო მისი მადლიერების გრძნობით და სიამაყით განმსჭვალული წიგნი დიდი ქართველი ქირურგის, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას შესახებ. თავის 80 წლის იუბილეზე გამოსცა მემუარული ხასიათის მონოგრაფია „ჟამი ფიქრის და განსჯისა“, სადაც შესაფერისი პატივი მიაგო სამედიცინო მეცნიერების კორიფებს. ეს წიგნი ფაქტობრივად ქართული მედიცინის გაცოცხლებული ისტორიაა, თვითმხილველის თვალით დანახული და მოთხრობილი. მხოლოდ გურამ ტატიშვილის ენერგიას, რაინდულ შემართებას და სიყვარულს შეეძლო ასე მოკლე დროში, აღედგინა გრ. მუხაძის სახელობის საქართველოს ქირურგთა საზოგადოება, მისი საქმიანობა ახალ მოთხოვნათა მაღალმეცნიერულ დონეზე წარემართა.

მხოლოდ გურამ ტატიშვილმა შეძლო აღესრულებინა ქირურგთა მრავალი თაობის ოცნება და დააარსა მაღალი მეცნიერული ღირებულების, შესანიშნავი პოლიგრაფიული დონის ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“. (სამართლიანი იქნება ჟურნალს მისი დამაარსებლის სახელი ეწოდოს!)

თვით გურამ ტატიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი დიდი წიგნია, რომლის შესწავლა დიდ სამსახურს გაუწევს მომავალ თაობებს.

პროფესორი აკაკი ბერიძე

* * *

გურამ ტატიშვილის პიროვნულ ღირსებებზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება. მისი მეგობრები, კოლეგები დიდი სიყვარულით იხსენებენ ბატონ გურამს.

ძალიან ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო ბატონ გურამზე. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ჩვენი მეგობრობა მამაჩემის და ბატონი გურამის მეგობრობიდან მოდის - ოჯახებით ვმეგობრობდით.

ჩვენი პირველი ნაცნობობა შედგა 1978 წელს, როდესაც ბატონი გურამი კამოს ქუჩაზე კათედრის გამგედ მუშაობდა. იმ პერიოდში, მოსკოვიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და მიკროქირურგიაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. დაინტერესებული ვიყავი ჭიპლარის სისხლძარღვების კონსერვირებით და სწორედ ბატონმა გურამმა გამიწია კონსულტაცია. მას შემდეგაც არაერთხელ გამომადგა მისი რჩევები.

ტრამვატოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის პერიოდში, ჩვენ ბატონ გურამთან ხშირად ვთანამშრომლობდით. ძირითადათ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა განპირობებული იყო ტრავმირებული პაციენტებისთვის ხელის, ფეხის და სხეულის სხვადასხვა ნაწილების რემპლანტაციის აუცილებლობით. ასეთ სიტუაციებში გარდაუვალი იყო მიკროქირურგების ჩარევა, რათა ნარჩენი ტაკვი და ნაწიბური ნაკლებ უსიამოვნო სანახავი ყოფილიყო. ესთეთიკურ მხარეზე უკვე ჩვენ გვიწევდა ზრუნვა. საკმაოდ ხშირად მე და ბატონი გურამი ერთობლივად ვატარებდით ოპერაციებს.

ბატონი გურამ ტატიშვილი ქირურგიის სხვადასხვა სფეროში ნამდვილი პიონერი გახლდათ. ის პირველი იყო, ვინც გაბედა და ტრასპლანტაციაში მოსინჯა ძალები. პირველად, როდესაც ჩვენ დაგვჭირდა სისხლძარღვების გადანერგვა, რჩევისათვის სწორედ მას მივმართეთ და გურამმა ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია.

ბატონი გურამ ტატიშვილი არა მარტო კარგი ქირურგი, თავის საქმის კარგი სპეციალისტი, არამედ პიროვნული ღირსებებით დაჯილდოებული ადამიანი და ლიდერი იყო. მას უზომოდ უყვარდა ახალგაზრდები. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო უყვარდა, არამედ აღმერთებდა ნიჭიერ ადამიანებს და მათთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა.

ბატონი გურამის ხელმძღვანელობით, ბაკურიანში საკავშირო მნიშვნელობის სიმპოზიუმზე ახალგაზრდა ქირურგების სექცია ჩამოყალიბდა. ამ სიმპოზიუმზე ყოფილი კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან უამრავი ახალგაზრდა ქირურგი მონაწილეობდა. ასეთი შეხვედრები არამარტო გაცნობით ხასიათს ატარებდა, არამედ, ჩვენი მომავალი წარმატებებისთვისაც მეტად სასიკეთო იყო. გარდა საქმიანი ურთიერთობებისა,

ახალგაზრდები კარგადაც ვერთობოდით და ჩვენს შორის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობები ყალიბდებოდა. ამ ურთიერთობების სულისჩამდგმელი კი გურამ ტატიშვილი გახლდათ.

ძალიან ბევრი შემიძლია ვისაუბრო ბატონ გურამ ტატიშვილზე, მის ღირსებებზე. ის დიდი ქველმოქმედი ადამიანი იყო. ხშირად დადიოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და უამრავ ადამაინს უანგაროდ უწევდა დახმარებას.

ძალიან კარგად მახსენდება ჩვენი ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. მე ყოველთვის მიყვარდა დილით სუფთა ჰაერზე სეირნობა და ვარჯიში, საკმაოდ ხშირად ავდიოდი კუს ტბაზე. სწორედ ასეთი სეირნობის დროს შევხვდი გურამს და მის ვაჟს. ბატონმა გურამმა იცოდა, რომ მე ყოველდღე ვვარჯიშობდი კუს ტბაზე, ამიტომ მერაბი მე ჩაბარა. ჩვენ ყოველ დილით, ზამთარში, 6 საათზე ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთად ვსეირნობდით, ვვარჯიშობდით.

დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო გურამ ტატიშვილზე, ადამიანზე, დიდ პიროვნებაზე, უდიდეს პროფესიონალზე, რომელიც სრულიად საქართველოს დააკლდა.

პროფესორი ივა კუზანოვი

ესტაფეტა არ უნდა შეწყდეს!

„ცხოვრება, როგორც იგავ-არაკი, ფასდება არა მისი სიგრძით, არამედ შინაარსით“. რომაელი ფილოსოფოსი სენეკას სწორედ ამ სიტყვებით იწყება ბატონი გურამის შესანიშნავი წიგნი „ჟამი ფიქრის, მოგონების და განსჯის“, რომელიც მან 7 წლის წინ, 2009 წელს, 80 წლის ასაკში დაწერა.

თუ ამ თვალსაზრისით გავიაზრებთ მის მიერ გავლილი ცხოვრების შინაარსს და იმ ახალგაზრდულ შემართებას, რომელიც ასე თვალნათლად ჩანდა თუნდაც გარდაცვალებამდე ორიოდე დღით ადრე ჩატარებული საქართველოს მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების სხდომის თავმჯდომარეობისას, აშკარად გამოჩნდება, რომ იგი გაცილებით უფრო გრძელი ცხოვრების გზის გასავლელად იყო მზად.

მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის გზაზე ცხოვრებამ მეც არაერთხელ შემახვედრა ბატონ გურამს. პირველად ეს იყო 1984 წელს, როცა ახლად ასპირანტურადამთავრებული მოსკოვიდან ჩამოვედი ბათუმში, ამიერკავკასიის ქირურგთა კონგრესზე მოხსენების წასაკითხად, რომელიც ბატონი გურამის თაოსნობით ჩატარდა. მაშინ მან მოიწონა ჩემი ნაშრომი, შემაქო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის და მთელი ცხოვრების განმავლობაში დამამახსოვდა.

მეორე შეხვედრა მქონდა 1993 წელს, როგორც ქირურგიულ დისციპლინებში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარესთან. მაშინ ახალი ჩამოსული გახლდით აშშ-დან და თავს ვიწონებდი იქ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგებით. რაოდენ გაკვირვებული დავრჩი, როცა ბატონ გურამისთან მომიხდა ისეთ რთულ პროფესიულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომელსაც საერთოდ არ ველოდი. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ იგი ნამუშევარი გახლდათ ქირურგიის ინსტიტუტში ორგანოთა კონსერვაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელად და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ორგანოთა ტრანსპლანტაციის საკითხებთან. მაშინ მან ბევრი რამ მირჩია, რითაც გააადვილა ჩემი სვლა დისერტაციის დასაცავ ლაბირინთებში.

მესამე დასამახსოვრებელი შეხვედრა იყო მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის მთავარ ქირურგად ამირჩიეს ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის წარდგინებით. დიდხანს ვისაუბრეთ მაშინ იმ გასაკეთებელ საქმეებზე, რასაც ითხოვდა საქართველოს ქირურგიული სამსახური, რაც მაშინდელი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამო გაუკეთებელი დარჩა. შემდგომი არაერთი შეხვედრისას იგი მამშვიდებდა - ჩემი მთავარი ქირურგობის დროს სხვა შესაძლებლობები მქონდა და მხოლოდ შენს თავს ნუ დააბრალებ ამდენი პრობლემის გადაუჭრელობასო.

განსაკუთრებით ხშირი, ახლო და საქმიანი ურთიერთობების პერიოდი ბატონ გურამთან მას შემდეგ გვქონდა რაც გარდაიცვალა ჩემი სიმამრი, პროფესორი თენგიზ ახმეტელი, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგიულ საზოგადოებას. ჩვენ ერთობლივად გამოვთქვით სურვილი იმისა, რომ არ შეწყვეტილიყო ამ პროფესიული საზოგადოების მუშაობა. ძალიან გამეხარდა, როცა მან ითავა და თავის თავზე აიღო ამ მიმართულებით მუშაობის ძირითადი სიმძიმე. ესტაფეტა გაგრძელდა.

„ჟამი ხანდაზმულობისა ძალიან წაგავს შემოდგომის გამონათებას, ხანგრძლივი გადაუღებელი წვიმების და სიცივეების დადგომის წინ რომ იცის ხოლმეო“, აღნიშნა ბატონმა გურამმა თავის ბოლო მონოგრაფიაში და სწორედ ასე განათებულად, ახალგაზრდული შემართებით დაგვტოვა მან, დაგვიტოვა რა მომავლის იმედი და ჩვენს დარგში უამრავი გასაკეთებლის ჩამონათვალი. მან გააგრძელა საქართველოს ქირურგიული საზოგადოების ცხოვრების ესტაფეტა და ეს ესტაფეტა არ უნდა შეწყდეს.

პროფესორი გია თომაძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
N2 ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ბიოგრაფია, რომელიც ორ სიტყვაში ეტევა

მიხეილ ქვლივიძეს ერთ ლექსში აქვს ესეთი სტრიქონი: „ ...რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს...“

გურამ ტატიშვილის სახელის ხსენებაც საკმარისია და ცნობილი პოეტის ამ ფრაზას გულში გაიმეორებს უამრავი ადამიანი. ცნობილ დოსტაქარს, თავისი დიდი პროფესიონალიზმის გამო, პაციენტი რომ მადლიერი და მადლობელი ყავდა, ეს არავის უკვირდა. ცხოვრებაშიც ისეთივე ყურადღებიანი, უანგარო და სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, როგორც საქმეში. ჩვენთვის, მისი მოწაფეებისა და მერე კოლეგებისთვის, ხშირად უთქვამს: ჯერ ადამიანად იბადები და მერე გინდა ექიმი გახდი და გინდა ინჟინერი. პროფესიაა ადამიანის თანმხლები და არა პირიქითო. არ იყო სახელმწიფო თუ სხვა ისეთი სამედიცინო ჯილდო, მას რომ არ ამშვენებდა, მაგრამ საჩუქრად მიღებული ავადმყოფის და მისი ჭირისუფლის შვების ღიმილი ქვეყანას ერჩია. ამიტომ არის მასზე, ჩემს მასწავლებელსა და აღმზრდელზე წარსულ დროში საუბარი ძნელი და მამა-შვილობასავით ტკივილით სავსე!

...და არა მარტო ჩემთვის!

სადღაც მეხუთე კურსზე ვიყავით. „ინტერნობა“ რომ სტუდენტისთვის სანუკვარი ოცნებაა - ის დროა! ექთნად დავიწყე მუშაობა, რომ ცნობილი და უზარმაზარი გამოცდილების ოსტატის გვერდით დავმდგარიყავი და მისი ყურადრება მიმექცია. მაშინ ოპერაციის დამოუკიდებლად კეთება ფუფუნებად ითვლებოდა. ამას სხვაგან და სხვები თვლიდნენ ასე, თორემ ბატონი გურამი სულ სხვა აზრისა იყო და მის კათედრაზეც ეს წესი კარგა ხნის დანერგილი გახლდათ. ისეთი შემთხვევაც მოხდა, როცა ერთ-ერთ პასუხისმგებელ, მორიგე ქირურგს რამდენიმე თვით ოპერაციების კეთება აუკრძალა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა ოპერაცია „ინტერნს“ არ გააკეთებინა. ეს ხალხი სამომავლო კვალიფიკაციას სად და როგორ შეიძენს, თუ აქ საქმე არ აკეთესო?! კატეგორიულად ითხოვდა ყველა ექიმისგან, რომ წლის განმავლობაში ასი ოპერაცია სავალდებულო უნდა ყოფილიყო ყველა „ინტერნისთვის“! ეს მაშინ, როცა სხვა საავადმყოფოებში, ათი ოპერაცია დიდ მიღწევად ითვლებოდა!

ბევრი ასეთის გახსენება შეიძლება, მაგრამ ეს ერთი მაგალითიც საკმარია, მისი პიროვნების, პროფესიონალის, პედაგოგის და ზოგადად, ადმიანური პორტრეტის აღსაქმელად.

თითქმის სამი ათეული წლის წინანდელი ამბავია და ახლა უკვე „გამხელაც“ შეიძლება. მაშინ რექტორის სპეციალური ბრძანების თანახმად უფროს ლაბორანტს სამედიცინო საქნიანობა შედარებით შეზღუდული ჰქონდა და ძირითადად ტექნიკური, პედაგოგიური და ადმინისტრაციული ფუნქციით იყო დაკავებული. ბატონ გურამს ეს არ მოსწონდა. ექიმები კვალიფიკაციას კარგავენო, ამბობდა და ამ „ბორკილსაც“ შეძლებისდაგვარად გვხსნიდა. მახსოვს, მაშინ დამიბარა და მითხრა: კაცო, შენ ლაბორანტი ხარ და ყველაზე მეტი ოპერაცია გაქვს გაკეთებული. მაგისთვის იცოდე, რომ ყველას დაგვსჯიანო! კაბინეტიდან გამოსვლისას კი სიცილით მომაძახა: მე კიდევ მაშინ დაგსჯი, შენ რომ ეგ რაოდენობა შეამცირო. ამიტომ, ახლა წადი და „ჭრელო პეპელა“ კარგად ისწავლეო! ბრძანება, ბრძანებად, მაგრამ ჩვენი დაცვა და „უსაფრთხოების გარანტია“ მისი დიდი ავტორიტეტი გახლდათ.

პროფესიონალიზმი, სინდისი, კაცურ-კაცობა, რიტუალურ რანგში ყავდა აყვანილი და სხვისგანაც ამას ითხოვდა. როცა ერთხელ, ერთი ცნობილი პროფესორი გარდაიცვალა და ნეკროლოგისთვის საჭირო სურათი ოჯახშიც არ აღმოაჩნდათ, საშინელი გულისწყვეტით ჩაილაპარაკა: შვილს მამის სურათი რომ არ აქვს, შევარცხვინე ასეთი ცხოვრებაც და სიკვდილიცო!

ალბათ ახლაც, ზეციური საქართველოდან შეჰყურებს ვინ და როგორ გააგრძელებს იმ საქმეს, მის მიერ ჩამოყალიბებულ, ქართული ქირურგიის მამის, გრიგოლ მუხაძის სახელობის საზოგადოებაში რომ ეწეოდა სიცოცხლის ბოლო წლებში.

ჩვენზე გაწეულ ამაგს ვერასოდეს გადაგიხდით და „არც დაგპირდებით“, მაგრამ მაგ საქმეს გავაგრძელებთ, ბატონო გურამ - გავაგრძელებთ!

ხშირად ღირსეული ადამიანების ბიოგრაფია ორად- ორ სიტყვაშიც ეტევა, სწორედ ისე, როგორც ახლა, ამ შემთხვევაში ამ კაცის ბიოგრაფიას ჰქვია - გურამ ტატიშვილი!

თსსუ პროფესორი გია დათუაშვილი

* * *

მინდა გამოვხატო ჩემი და ჩემი ოჯახის გულწრფელი პატივისცემა ბატონ გურამ ტატიშვილის პიროვნების მიმართ და გავიზიარო მწუხარება მისი გარდაცვალების გამო.

რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ ბატონი გურამის განვლილ ცხოვრებას ის ყოველმხრივ გამორჩეული და სამაგალითოა, გახლდათ ქართული ქირურგიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქირურგიის დიდი გულშემატკივარი და მოამაგე. ბევრ ადამიანს ვიცნობ, თავის პროფესიაზე და საქმეზე უზომოდ შეყვარებულს, მაგრამ გურამ ტატიშვილს ქირურგიის სიყვარული, გნებავთ თავდა-

პროფესორი გურამ ტატიშვილი კათედრის სხდომაზე

დება, სულ სხვა ხარისხში და განზომილებაში ჰყავდა აყვანილი და ამით ყოველდღიურად შესანიშნავ მაგალითს აძლევდა ახალგაზრდა თაობას. პროფესიულ სრულყოფამდე მან ცხოვრების რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო, მაგრამ ერთხელაც არ დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ თავისი არჩევანის სისწორე. ბატონი გურამი სიცოცხლის ბოლო წუთამდე დარჩა ისეთივე აქტიური და ენერგიული, როგორც თავისი თავბრუდამხვევი კარიერის დასაწყისში. მას ბოლო წუთამდე არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო დღეს ქართულ ქირურგიაში დაგროვილი პრობლემების მიმართ და მათიი გადაჭრისთვის საკმაოდ თამამი და პრინციპული ნაბიჯები გადადგა და მომავალშიც სერიოზულ პროექტებს გეგმავდა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მან შეძლო წლების განმავლობაში მივიწყებული და უფუნქციო საქართველოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების არა მარტო აღდგენა და ფუნქციონირება, არამედ ჟურნალ „საქართველოს ქირურგიის მაცნე“-ს გამოშვება, რაც ნამდვილად საშური საქმეა ყველა თაობის ქირურგებისთვის.

ბატონი გურამი გახლდათ ახალგაზრდა ექიმების, განსაკუთრებით ქირურგების დიდი მეგობარი, უბადლო აღმზრდელი და დამრიგებელი. ერთ-ერთი მათ შორის, თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა, მეც ვარ. ბატონი გურამი არის ჩემი სამეცნიერო დისერტაციის ხელმძღვანელი. ჩვენი ურთიერთობა ოთხი ათეული წლის წინ დაიწყო, რაც შემდეგ ახლო მეგობრულ და ოჯახურ ურთიერთობებში გადაიზარდა. ოთხი ათეული წელი მეგობრული ურთიერთობისთვის საკმაოდ დიდი დროა და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა ამ ურთიერთობაში ბზარიც კი და თამამად ვიტყვი, რომ ეს ურთიერთობა იყო ნიმუში ურთიერთპატივისცემის და ერთგულებისა, რაშიც ბატონ გურამს ლომის წვლილი მიუძღვის.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ბატონი გურამი გახლდათ საზოგადოება „ქუთაისელი“-ს დარბაზის საპატიო წევრი და ქუთაისის დიდი მეგობარი, სადაც დღესაც მოღვაწეობს მისი რამდენიმე აღზრდილი. ის ხშირად სტუმრობდა ჩვენს ქალაქს. ბოლოს ეს იყო რამოდენიმე თვის წინ, როდესაც მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს გრ. მუხაძის სახ. ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების ქუთაისის და იმერეთის რეგიონული ორგანიზაცია. აქაც ისეთი შემართებით და ენთუზიაზმით უძღვებოდა სხდომას, როგორც ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების ბოლო სხდომაზე, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე. ბატონი გურამი გახლდათ ყველა ახალი წამოწყების , იდეის და პროგრესული ნოვაციის მხარდამჭერი და ხელშემწყობი, უდავოდ დიდი ადამიანური შესაძლებლობების და დიაპაზონის პიროვნება. ამავე დროს იყო ძალიან მკაცრი, მაგრამ ობიექტური მათ მიმართ, ვინც თავს არიდებდა სირთულეებს და განზე დგომას ამჯობინებდა.

გურამ ტატიშვილის გარდაცვალება ძალიან დიდი დანაკლისია ოჯახისთვის, სამედიცინო საზოგადოებისთვის, ქართული ქირურგიული სკოლისთვის და სრულიად საქართველოსთვის, რამეთუ დღეს ქვეყანას სწორედ გურამ ტატიშვილისნაირი პიროვნებები სჭირდება - ჭკვიანი, საქმიანი, ენერგიული, ერუდირებული, უღალატო და უპირობო ლიდერი.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ გურამს ღირსეულად განვლილი წლებისა და ცხოვრებისათვის, თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, უამრავი სიკეთისთვის და ქედი მოვიხარო მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

გვაკლიხარ და გვტკივა!

გვეამაყები და გვახსოვხარ!

გმადლობთ ბატონო გურამ და მშვიდობით.

მერაბ ერემეიშვილი
ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
საქართველოს გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების ქუთაისის და იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
ასოცირებული პროფესორი.

* * *

ბატონ გურამ ტატიშვილს ვიცნობ დიდი ხანია - პრაქტიკულად, მას შედეგ, რაც ფეხი შევდგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (ახლანდელ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში) 1974 წელს... რა თქმა უნდა, ეს „ნაცნობობა“ ცალმხრივი იყო - მე ვიცოდი მის შესახებ, რადგან ბატონი გურამი ამ დროისათვის უკვე ცნობილი ექიმი და მოღვაწე იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბით და სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას ხელმძღვანელობდა; ბატონი გურამი კი, ბუნებრივია, არ მიცნობდა იმ დროისთვის ახალფეხადგმულ სტუდენტს, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა თავის სამედიცინო კარიერაში. იმ დროს მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ესოდენ თბილი და, მიუხედევად ასაკში განსხვავებისა, მეგობრული ურთიერთობა მექნებოდა ამ ბუმბერაზ ადამიანთან.

ისე მოხდა, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც, საკმaოდ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი გზები არ გადაკვეთილა და ჩვენი ნაცნობობა კვლავ „ცალმხრივი“ რჩებოდა; ჩემი ბატონ გურამთან პირველი შეხვედრა კი უკვე მის შვილებთან, ასევე წარმატებულ ექიმებთან - ცხონებულ გოგასთან, ასევე დავითთან და მერაბთან ჩემმა მეგობრულმა და კოლეგიალურმა ურთიერთობამ განაპირობა.

ჩვენი დამეგობრება კი (გავკადნიერდები და თავს მის უმცროს მეგობრად ჩავთვლი) საქმეზე ზრუნვამ მოიტანა, როდესაც ბატონი გურამი აქტიურად ჩაერთო იმ მნიშვნელოვან პროცესში, რასაც საქართველოში ინტერვენციული რადიოლოგიის, როგორც სუბსპეცილობის ცნობა და ამ დარგის განვითარება ჰქვია. იგი აქტიურად ერთვებოდა საქართველოს ინტერვენციული რადიოლოგიის საზოგადოების სხდომებში, ყველგან, ყოველთვის და ყველა დონეზე აღნიშნავდა ამ სფეროს განვითარების აუცილებლობას, ოფიციალურად მიმართა ჯანდაცვის მინისტრს ამ საკითხის თაობაზე მის მიერვე გაცოცხლებული, გრიგოლ მუხაძის სახელობის საზოგადოების სახელით. მან მთხოვა, მოხსენება გამეკეთებინა ინტერვენციული რადიოლოგიის საჭირბოროტო საკითხების შესახებ მუხაძის საზოგადოების სხდომაზე; მისი ინიციატივით მოხდა ისიც, რომ პატივი მაქვს მუხაძის საზოგადოების სახელით ბატონ გურამის მიერ დაარსებულ „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ პირველ ნომერში სტატიის პუბლიკაციისა.

ყველაფერი ეს მისი მხრიდან იმდენად უანგარო იყო, ამას ყველაფერს იმდენი სითბო და თანადგომა მოჰყვებოდა, რომ ერთიათად მაძლიერებდა... დათო და მერაბი შეხვედრისას სულ ასე მეუბნებოდნენ ერთხმად - რა არის, რა ხდება ასეთი, მამაჩემმა სულ შენზე ლაპარაკით რომ გამოგვიჭედა ყურებიო...

დიდი დასაყრდენი გამომეცალა...

დიდი კაცი დააკლდა საქართველოს, ბევრის აღმზრდელი და ბევრზე მზრუნველი, ქვეყნის, თავისი დიდი საქმისა და ოჯახის მოსიყვარულე და ამაგდარი; ბოლო დღემდე მუხლჩაუხრელად შრომობდა, როგორც დიდ პიროვნებას შეეფერება, ისე წავიდა - უჩუმრად, კაციშვილი არ შეუწუხებია...

აცხონოს ღმერთმა!

მალხაზ მიზანდარი
თსსუ-ის პროფესორი
საქართველოს კარდიოვასკულური და ინტერვენციული
რადიოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი

ართქმული სიტყვა

50 წელი იდგა ჩემს გვერდით – როგორც მასწავლებელი და უფროსი მეგობარი, როგორც პირუთვნელი და ხმალშემართული მსაჯული.

ყველა ხედავდა ჩემდამი მის ღია, ვაჟკაცურ და უანგარო კეთილგანწყობას.

ფეხბედნიერება სდევდა ჩვენს თანადგომას.

პროფესორები: გურამ ტატიშვილი, გურამ ქერაშვილი, ლაური მანაგაძე ქ. რიგაში

რთული მეცნიერული ექსპერიმენტები შედეგიანი იყო. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მალე გვაღიარეს და საკავშირო მასშტაბის ღონისძიებებზეც ანგარიშგასაწევი გამოსვლები გვქონდა.

აღნიშნულთან ერთად, იმ ქალაქების კულტურული ყოფის თანაზიარები ვხდებოდით, სადაც მივლინება გვიწევდა: თეატრი, კინო, მუზეუმი, სპორტული ღონისძიებები...

ბევრ ბედნიერებას შევესწარით ერთად. ბევრი ტკივილიც ვნახეთ – უკიდურესი მწუხარებაც, მაგრამ არც სიხარულის დროს მინახავს იგი რეალობას მოწყვეტილი და არც მეხის დაცემას განურთხია დედამიწაზე.

საუბრობდა მხოლოდ იმაზე, რაც იცოდა. ეკუთვნოდა იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს, ვისაც შეუძლია ნებისმიერ ადამიანს უთხრას ის, რასაც იმსახურებს. შეიძლება არ გაგეზიარებინათ მისი რაიმე მოსაზრება, მაგრამ შეუძლებელი იყო, პატივისცემით არ მოკიდებოდით მის პოზიციას – დასაბუთებულს, აწონილ-დაწონილს, რწმენის, გონიერების და გამოცდილების შესაყარზე აღმოცენებულს.

წავიდა და თან წაიღო ამ ქვეყნის სითბო.

სამარადისოდ დარჩა ჩემთვის მაგალითად – ჩემი საქმიანობის მუდმივ მსაჯულად.

ჩვენი ურთიერთობის ეტიკეტი დამშვიდობებას არ ითვალისწინებდა.

ამიტომ, უჩვეულოდ, გულისტკივილით, მხოლოდ ჩემთვის წარმოვთქვამ ჯერ ართქმულ სიტყვას.

გურამ ქერაშვილი

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიკოსი, პროფესორი გურამ ტატიშვილი

საქართველოს ისტორია სავსეა ჩვენი წინაპრების სახელგანთქმული ოჯახებითა და საგვარეულო დინასტიებით, რომელთაც თავისი ღვაწლით, პიროვნული თვისებებით კვალი დატოვეს იმ ეპოქის ცხოვრებაში, რომელშიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობნდენ. თანამედროვეობაში სწორედ ასეთ ოჯახად წარმოგვიდგება ტატიშვილების გვარი და მათი მრავალრიცხოვანი ოჯახი, მისი შესანიშნავი წარმომადგენლით – ბატონ გურამ ტატიშვილით.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიკოსმა, პროფესორმა გურამ ტატიშვილმა ღირსეულად განვლო უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება. იშვიათია ისეთი ვაჟკაცური, უაღრესად პროგრესული, განათლებული, მუდამ ახალგაზრდა და ახალგაზრდობის ხელშემწყობი და თანამდგომი ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ მის პროფესიონალიზმზე, უამრავ ზნეობრივ თვისებასა და ნამოღვაწარზე. წარმატებული ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი, ერთგული მეგობარი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. ეს მისი თვისებების ძალიან მოკლე და არასრული სიაა.

მისი ოჯახი ყველასთვის ცნობილია და მართლაც მისაბაძია იმიტომ, რომ მისი თითოეული წევრი გამორჩეულია, საზოგადოების სამსახურში იდგა და დგას და საზოგადოების უდუდესი პატივისცემით სარგებლობს.

აკადემიკოსი გურამ ტატიშვილი ყოველთვის ხელს უმართავდა ახალზრდა ქირურგებს. მე კარგად მახსოვს, თუ რა დიდი კონკურსი იყო სუბორდინატორებს შორის, რათა მოხვედრილიყვნენ კათედრაზე, რომელსაც ბატონი გურამი ხელმძღვანელობდა, ვინაიდან იქ ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა ისინი დაუფლებოდნენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ქირურგიას.

ბატონმა გურამმა მეც გამიწია დიდი დახმარება კლინიკური მასალის შეგროვებაში, როდესაც ვმუშაობდი სადოქტორო დისერტაციაზე. მის კლინიკაში გავაკეთე ერთ-ერთი პირველი ოპერაცია უნივერსალურ პერიტონიტიან ავადმყოფზე, რომელსაც ჩავაკერე ერგრეთ წოდებული „ელვა-შესაკრავი“ შემდგომში გეგმური რელაპაროტომიების წარმოების მიზნით. იმ დროისთვის ეს მეთოდი პერიტონიტის მკურნალობის ერთ-ერთ პროგრესულ მეთოდად ითვლებოდა.

პროფ. გურამ ტატიშვილი, კოლეგებთან ერთად

ბატონმა გურამმა შექმნა თავისი სკოლა. მისი მოწაფეები დღეს წამყვანი ქირურგების რანგში მოღვაწეობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ: აშშ, ისრაელში, რუსეთში და ა.შ. ყველა ქვეყნის ჩამოთვლა გამიჭირდება. ამასთან, ბატონ გურამს მათთან ჰქონდა საკმაოდ თბილი და ახლო მეგობრული ურთიერთობა.

მე ნამდვილად გამიმართლა, რომ ორი ათეული წლის მანძილზე მომიწია მასთან მუშაობა და ურთიერთობა. ბატონი გურამი პროფესიული უნარ-ჩვევების, მეცნიერული კვლევისა და ანალიზის, გამოცდილების გაზიარების, სწავლის გარდა, უხვად გვაძლევდა ავადმყოფისა და საერთოდ მოყვასის, მეგობრების, ოჯახის წევრების, ნათესვებისა და სამშობლოს სიყვარულის ურიცხვ მაგალითს.

ჩემი აზრით, ყველაზე კარგად დაახასითებდა ბატონ გურამ ტატიშვილს გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული; მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული“.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

პროფესორი ნოდარ ლომიძე

ბატონ გურამ ტატიშვილის ხსოვნისადმი

იბადებიან რჩეული ადამიანები, რომელნიც მეტეორივით შემოიჭრებიან ცხოვრების სარბიელზე და ღრმა კვალს ტოვებენ გარდაცვალების შემდეგ...

ბატონმა გურამ ტატიშვილმა შესანიშნავი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკოსი ქირურგის გზა განვლო. მისი ნიჭისა და უზადო ინტელექტის დასტურია უამრავი სამეცნიერო ნაშრომები, 5 მონოგრაფია და საავტორო უფლებით დაცული 12 გამოგონება. იგი გახლდათ 22 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

ბატონი გურამი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი, წლების განმავლობაში აქტიურ ქირურგიულ მოღვაწეობას ეწოდა.

მან აღზარდა ქირურგთა თაობები, რომლებიც წარმატებით იღწვიან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

საავტორო წიგნის - „ჟამი ფიქრის, მოგონებისა და განსჯის“ გამოცემით, რომლის პრეზენტაციაც თავის 80 წლის იუბილეს დაამთხვია, მან შესაშური, მადლიერებით აღსავსე პატივი მიაგო ჩვენი ქვეყნის ქირურგიის მამების ხსოვნას.

ბატონ გურამს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოვებული იყო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია „ღირსების ორდენი“, რითაც ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის 2002 წელს დაჯილდოვდა.

ბატონი გურამი ადამიანებთან ურთიერთობაში კორექტულობითა და განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა, რაც ჩემთან დამოკიდებულებაში არაერთხელ გამოუჩენია. იგი უაღრესად განსწავლული ქირურგი გახლდათ, რისთვისაც საქართველოს ქირურგთა ასოციაციამ მისი ღვაწლი აღნიშნა სამახსოვრო ოქროს მედლით 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

დასანანია, როცა ასეთი ამაგდარი პროფესიონალი ტოვებს ამ წუთისოფელს.

მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწო ისე, რომ უამრავი გულშემატკივარი დატოვო...

პროფესორი ბაადურ მოსიძე

* * *

ტატიშვილების ოჯახი სამედიცინო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. მათ შორის გამორჩეულია ბატონი გურამის სახელი. არ დავიწყებ იმ უამრავი რეგალიების ჩამოთვლას, რაც ჰქონდა ბატონ გურამს, ვიტყვი მხოლოდ ერთს – მართალია იგი მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ შეძლო გაეკეთებინა საოცრად დიდი საქმე – აღადგინა გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოება და გამოსცა უნიკალური ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“, რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონ იყო. ამით უკვდავყო როგორც თავისი, ასევე საქართველოს ქირურგიის სახელი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის მეგობრობა მაკავშირებდა ბატონ გურამთან და რარიგ დასანანია, რომ წარსულ დროში მიხდება მისი მოგონება და მის იმ დიდ ამაგზე საუბარი, რაც პირადად ჩემზე ჰქონდა გაწეული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ამაგი ახალგაზრდა თაობის მიმართ. იგი იყო დიდი ქომაგი, გვერდში მდგომი, დამხმარე და გზის გამკვალავი.

უძრაობის პერიოდში ბატონი გურამი იყო სამედიცინო ინსტიტუტის სუბორდინატორების და ინტერნატურის კათედრის გამგე. მახსენდება დილის კონფერენციაზე როგორი სიმკაცრით ითხოვდა პასუხს: მორიგეობის განმავლობაში როგორი დატვირთვით იმუშავა სტუდენტმა, გააკეთა თუ არა ოპერაცია, აქტიური მონაწილეობა მიიღო თუ არა სამედიცინო დოკუმენტაციის შევსებაში. მოხსენება აუცილებლად უნდა გაეკეთებინა სტუდენტს, ამიტომ სტუდენტობის დიდ უმრავლესობას ჩვენს კათედრაზე მოხვედრის სურვილი ჰქონდა. მან აღზარდა და დააკვალიანა უამრავი ახალგაზრდა, რომლებიც ამჟამად წარმატებით ეწევიან სამსახურს ქირურგიაში, როგორც ჩვენთან, ისე ევროპასა და ამერიკაში.

პროფ. გურამ ტატიშვილი კათედრის თანამშრომლებთან ერთად 1984 წ.

როგორც ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელმა, მან მიაგნო იმ დისერტაბელურ მარცვალს, რამაც განაპირობა ჩემი ნაშრომის ეფექტურობა.

როგორ შემიძლია დავივიწყო ჩემი დისერტაციის დაცვის დღე და ის ნერვული წუთები, რაც მაშინ განვიცადეთ. დღის 3 საათი ხდებოდა, საბჭოს წევრების ნაწილი მობრძანდნენ. სხდომას ესწრებოდნენ ქირურგიის ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ბატონი მიხეილ ჩაჩავა, ეგნატე ფიფია, ავლიპი ზურაბაშვილი. საბჭოს დანარჩენი წევრების ნაწილი კი არ ჩანს – სხდომას ჩაშლა ემუქრება. გავრცელდა ხმა, რომ ამ პერიოდში ინსტიტუტში მიმდინარეობს პარტიის კრება, უნდა გენახათ ბატონი გურამის მწვავე რეაქცია და კრიტიკული გამოსვლა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მისამართით. მაშინ პარტიული კომიტეტის კრიტიკა დიდ რისკთან და გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მის ხასიათში იყო სამართლიანობის დაცვა და ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. იგი ვერ იტანდა მლიქვნელ და ორპირ ადამიანებს. როგორც იტყვიან – თუ აღმართავდა, მოიქნევდა კიდეც.

ბატონმა გურამმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა მუხლჩაუხრელ შრომაში. მას ეკუთვნის მრავალი რეფერატი, წიგნი და სამეცნიერო ნაშრომი. იგი იყო მეცნიერი – კაცი, რომლის ამაგს არ დაივიწყებს მისი მეგობრები და სამედიცინო საზოგადოება.

ბევრი ტრაგიკული დღეები გადაიტანა ბატონმა გურამმა, რამაც მის ჯანმრთელობას მძიმე დაღი დაასვა. წავიდა მოულოდნელად, მაგრამ დარჩა შესანიშნავი ოჯახი ღირსეული შვილებით.

მე, როგორც მის მოწაფეს და გრიგოლ მუხაძის ქირურგიული საზოგადოების საპატიო წევრს, წინადადება შემომაქვს სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე პროფესორ გურამ ტატიშვილის სახელი მიენიჭოს ქ. თბილისის ყოფილ მე-8 საავადმყოფოს, სადაც ამჟამად იმყოფება სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული კათედრა.

დოცენტი გურამ ცინცაძე

* * *

აჭარის ექიმთა საზოგადოების სახელით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი წუხილი და თანაგრძნობა ძვირფასი კოლეგის, მეგობრის და მრავალი ჩვენთაგანის აღმზრდელის გურამ ტატიშვილის გარდაცვალების გამო.

იგი, როგორც მეცნიერი, უმაღლესი კლასის დასტაქარი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ამშვენებდა ტატიშვილთა სახელოვან დინასტიას და მისი ერთგული მემატიანეც იყო.

ამის დასტურია მისი ისტორიულ-მემუარული ჟანრის წიგნი „ჟამი ფიქრის, მოგონების და განსჯის,'' რომელიც შვიდიოდე წლის წინ გამოიცა. ამ ძვირფასი ნაშრომით მკაფიოდ ჩანს თუ რა დიდი სიყვარული, პატივისცემა და მეგობრობა აკავშირებდა ბატონ გურამს არამარტო ქართული მედიცინის ბუმბერაზ წარმომადგენლებთან, არამედ თავის მოწაფეებთან და ელიტარულ საზოგადოებასთან.

განსაკუთრებული იყო გურამ ტატიშვილის ზრუნვა აჭარის ქირურგების და მთლიანობაში ავტონომიური რესპუბლიკის მედიკოსების მიმართ. იგი ჩვენს დაძახილზე და ამის გარეშეც ნიადაგ ჩვენთან იყო და გვშველოდა უმძიმესი პროფესიული განსაცდელის შემსუბუქებაში.

გურამ ტატიშვილის აღზრდილები ყოველთვის იდგნენ სამედიცინო დახმარების წინა რიგებში. მისი დაუღალავი შრომით ბათუმში მრავალი სიახლე დაინერგა, მათ შორის ისეთიც, რომელიც პირველი იყო საქართველოში.

თუ კი ქვეყანაში დიდი სამედიცინო ფორუმი ტარდებოდა, გურამ ტატიშვილი ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, რომ არჩევანი აჭარაზე გაკეთებულიყო. ეს ჩვენთვის დიდი ჯილდო და პატივი იყო. აქ მას ჰყავდა მედიკოსთა მთელი პლეადა, თანაკურსელების, მოწაფეების, მეგობრების და თანამებრძოლების სახით, რომლებმაც მისი დახმარებით დიდი წვლილი შეიტანეს ქართული სამედიცინო აზროვნების, თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ისტორიაში.

თავის წიგნში, რომლითაც ავტორმა ერსა და ქვეყანას საკუთარი ღვაწლის ერთგვარი ანგარიში ჩააბარა და, რომელიც დიდ ანდერძად დაგვრჩა, ის განუზომელი სიყვარულით იგონებს ამ ქვეყნიდან წასულ თავის მასწავლებლებს, ქართული მედიცინის კორიფეებს, აგრეთვე უკლებლივ ყველა თანაკურსელსა და მეგობარს და მომავალ თაობებს კაცთმოყვარეობის, მეგობრობის, სამშობლოსთვის და მშობელი ერისთვის თავდადების მაგალითს აძლევს.

გურამ ტატიშვილი დააკლდა მთელს საქართველოს, ასეთი ადამიანები ცოტანი იბადებიან, მაგრამ მათი სასიკეთო საქმეები მარად ცოცხლობენ.

აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების სახელით,
პროფესორი რამაზ სურმანიძე
პროფესორი აკაკი ბერიძე

აუნაზღაურებელი დანაკარგი

ამ რამდენიმე ხნის წინ ქუთაისში მეხივით გავრცელდა ხმა: გურამ ტატიშვილი გარდაიცვალაო. ადამიანები ერთმანეთს არ უჯერებდნენ: ეს როგორ შეიძლებაო, სულ ახლახან ქუთაისში იყო, ქირურგიული საზოგადოების საქმეთა მოსაგვარებლად... სამწუხაროდ, ეჭვები მალე დადასტურდა. ეს დიდი დანაკარგი იყო მთლიანი საქართველოსთვის. მათ შორის იმერთა ქალაქისთვის, რომლის ცხოვრების ნაწილი ისიც იყო – საზოგადოება „ქუთაისელის" წევრის სახით, რაც მას გამორჩევით სიამოვნებდა და ამით ამაყობდა.

პროფესორი გურამ ტატიშვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამოვიდა. მანამდე მან წარმატებით (ოქროს მედლზე) დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა და იმდროინდელი კანონის თანახმად უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა (წარჩინებით დიპლომზე). იმავე 1954 წელს ჩაირიცხა კლინიკური ორდინატურის თანამდებობაზე პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე.

აქედან დაიწყო მედიცინაში მისი წარმატებული სვლა ქირურგიის ეკლიან გზაზე და მალე სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია, 1957 წელს 28 წლის ასაკში მან ჯერ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია.

იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ სერიოზული ქირურგიული პროფესიული სკოლა არსებობდა, რომლის რიგებს ამშვენებდნენ პროსესორები გ. მუხაძე, კ.ერისთავი, ე.ფიფია და სხვები, რომლებმაც მრავალი სახელოვანი ქირურგი აღზარდეს და რომელთა შორის ირიცხებოდა ჩვენი აწგარდაცვლილი მეგობარიც.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გურამ ტატიშვილს ფართო ასპარეზი გაეხსნა, უმაღლესი დონის ქირურგიული დაწესებულებების სამყაროში საქართველოსა თუ მის საზღვრებს მიღმა. პროფესორად გახდომის შემდეგ დაინიშნა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგედ, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, შეყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში გამომავალ „Вестник хирургии"-ს სარედაქციო საბჭოში, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" რედკოლეგიაში,

საბჭოთა კავშირის ქირურგიული საზოგადოების გამგეობაში, საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაუდებელი ქირურგიის საპრობლემო კომისიაში, ჟურნალ „Хирургии"-ს რედაქციაში, გახდა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, მიიღო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია, აირჩიეს პარენტერალური და ენტერალური კვების საერთაშორისო ასოციაციის წევრად, შეიყვანეს ჟურნალ- „Анналы хирургической гепатологии"-ს სარედაქციო საბჭოში, 2004 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად და მათ პარალელურად პროფ, გურამ ტატიშვილი ეწეოდა ფართო გამომგონებლურ კვლევით მუშაობას - იგი საავტორო უფლებით დადასტურებული 12 გამოგონების ავტორი გახლდათ.

აღსანიშნავია ბატონი გურამის მუშაობა ახალგაზრდა ექიმ-ქირურგთა აღზრდა-სრულყოფის სფეროში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით შესრულებილია და დაცულია 22 სადისერტაციო ნაშრომი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

გარდა ყოველივე აღნიშნულისა, პროფ. გ. ტატიშვილი გვევლინება ასევე 5 სამეცნიერო მონოგრაფიისა და 200 -ზე მეტი სტატიის ავტორად.

ეს დასახელებული სანაქებო საქმიანობა უდიდესი სამეცნიერო შრომისა და მოღვაწეობის შედეგია, მაგრამ მასთან ერთად გულწრფელად მიგვაჩნია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კიდევ უფრო ღირსშესანიშნავი საქმე იყო მისი უმაღლესი ადამინური და მოქალაქეობრივი მოღვაწეობა.

ვინც ერთხელ მაინც შესულა მასთან საქმიან კონტაქტში, მას არასოდეს დავიწყებია ბატონი გურამის გამორჩეული ადამიანური, მეგობრული და კეთილი სახე და დამოკიდებულება. ის მუდამ მზად იყო გვერდში ამოსდგომოდა გაჭირვებაში მოქცეულს და დახმარებოდა მას. ამხელა დამსახურების მქონე ადამიანი საგანგებოდ ჩამოდიოდა ხოლმე ქუთაისში, მისი თანამოსახელე საზოგადოების სხდომებზე დასასწრებად(!). ბ-ნ. გურამი იყო დიდი, ვეება ბუნების ადამიანი, რომელიც მეტწილ უთხოვნელად უწვდიდა მეგობრებს თავისი დახმარების ხელს. ეს მეც კი - ისტორიკოსს შემეხო ერთხელ. მომეცი შენი წიგნებიო (თუ ტრაბახში არ ჩაგვეთვლება, მათი რიცხვი 25 -ზე მეტია მსოფილოს უახლესი ისტორიის სფეროდან: ჩერჩილზე, დეგოლზე, ტეთჩერზე და ა.შ/.) და მე მათ დიდ მწვანე შუქს მივცემო. (სამწუხაროდ, კოლეგა ისტორიკოსთაგან ეს აქამდე არავინ იკისრა) მახსენდება, ამასთან დაკავშირებით, ერთი ისტორია. 1974 წ. მესამედ ვიმყოფებოდი ერთწლიან სამეცნიერო მივლინებაში, ინგლისში. მრავალი ცდის შემდეგ ძლივს მივაღწიე აუდიენციას ინგლისის და მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ პატრიარქთან - რიჩარდ ოსტინ ბატლერთან - იგივე ლორდ ბატლერთან ანუ RAB-თან მიღებული აბრევიატურით, რომელიც რამდენჯერმე განიხილებოდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. მანაც იგივე გვითხრა, რაც ბატონმა გურამმა, ასეთია დიდ ადამიანთა პორტრეტი, მათი დიდბუნოვნება.

ბატონმა გურამ ტატიშვილმა ამ უკანასკნელ ხანს ავტობიოგრაფიული ხასიათის უაღრესად საინტერესო წიგნი გამოსცა, რომლის წაკითხვა-გაცნობას ყველას ვურჩევდი.

დიდი, ნამდვილად დიდი მეცნიერული და ადამიანური ღირსებების მქონე მეგობარი წავიდა ჩვენგან ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ მისი ღირსეული სახე მუდმივად დარჩება ჩვენს გულთ.

მშვიდობით ჩვენო დუვიწყარო მეგობარო და დიდო კაცო, ასევე დიდო მეცნიერო. კურთხეულ იყოს შენთვის განკუთვნილი შენივე სამშობლოს მიწა.

პროფესორი ლევან სვანაძე

პროფესორ გურამ ტატიშვილის გახსენება

ბატონი გურამ ტატიშვილი ფენომენი იყო. ფენომენი, რომელიც უამრავი მდგენელის ისეთ ჯამს წარმოადგენდა, რომ თვისობრიობაში გადადიოდა.

დიდი ოჯახის შვილი იყო - გარეგნობით, ნიჭით, შემოქმედებითი ენერგიით გამორჩეული შვილი... შესანიშნავი შვილების მამა... ჩინებული ქირურგი, თავის მასწავლებლების ღვაწლის დამფასებელი, თვითონაც დიდი მასწავლებელი და ახალგაზრდებისათვის გზის გამკვლევი... გამორჩეული გარეგნობა ჰქონდა - თუ შეხვდებოდი, აღარ დაგავიწყდებოდა, მით უფრო, თუ მის თავისებურ ბარიტონსაც მოუსმენდი.

გულითადი ხელის ჩამორთმევა იცოდა. თვალებში ისე გიყურებდა, თითქოს საახლობლოდ გიწვევდა, მაგრამ დისტანციის დაცვის საჭიროებასაც გაგრძნობინებდა.

საქართველოში მეცნიერული ქირურგიის დამამკვიდრებელი თაობის ერთ-ერთი უკანასკნელი მემატიანე იყო. თავის თავში აერთიანებდა კლინიცისტს, მკვლევარს, პედაგოგს და მოღვაწეს. ლიდერი ხდებოდა ყველა საქმეში, რასაც შეეჭიდებოდა. უსიამო სიმართლის თქმა პირდაპირ შეეძლო, ამასთანავე, გასაოცარი გვერდით დადგომა და უანგარო დახმარება იცოდა. იმედს არასდროს გადაიწურავდა და არც შენ მოგცემდა ამის უფლებას: გადამდები შეუპოვრობა სჭირდა.

ცხოვრებაში გალაღებულიც ბევრჯერ ყოფილა და შეჭირვებულიც, განსაკუთერებით ასაკში შესულს დაატყდა თავს დიდი გულისტკივილები. მაინც მუდამ შემართული და ენერგიით აღსავსე იყო.

ჩემთვის პირადად არც უსწავლებია. არც მასთან მუშაობის საშუალება მომცემია. გავიცანი, როგორც ინსტიტუტში ჩემი ჯგუფის მეგობრის, სამწუხაროდ, ამ ცხოვრებიდან ძალიან ადრე წასული შესანიშნავი კაცის - გოგი ტატიშვილის მამა. მამა, ვისითაც გოგი ყოველთვის ამაყობდა. შემდგომში თვითონ დამიახლოვა და მეგობრობის უფლება მომცა. საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი, მამაჩემმა სახლში პატარა სუფრა გაშალა. ჩემმა მასწავლებელმა, დიდმა მეცნიერმა, პროფესორმა შალვა თოიძემ, თამადობა ბატონ გურამს სთხოვა. მაშინ დავრწმუნდი, ამ საქმეშიც შესანიშნავი იყო - საინტერესო ამბები არ ელეოდა, არც ღვინის დაგემოვნებას უგვიანებდა სუფრის წევრებს.

ასაკის მიუხედავად მაინც საოცრად მოულოდნელად წავიდა. არც ჯანმრთელობას უჩიოდა, არც მოღვაწეობის ახალი იდეებისა და ასპარეზის ნაკლებობას. 2015 წელს ქირურგიული საზოგადოების სხდომები აღადგინა. სხდომაზე მოხსენებით გამოსვლა მთხოვა, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. 2016 წელს გრიგოლ მუხაძეს აუსრულა ანდერძი: ქირურგიული ჟურნალი გამოსცა. პირველ ნომრში ჩემი კვლევის შედეგების გამოქვეყნება შემომთავაზა. გარდაცვალებამდე სამი დღის წინ დამირეკა, ქირურგიული საზოგადოების სხდომაზე დასწრების აუცილებლობა შემახსენა. მისი სამომავლო გეგმები ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა.

საოცრად დამწყდა გული.... ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

პროფესორი დიმა კორძაია

* * *

ეს მეგობრობა ძალიან უჩვეულოდ დაიწყო...

ახლად ინსტიტუტ დამთავრებულმა ლევან შიმშილაშვილმა თამამად შეაღო პროფესორ ტატიშვილის კაბინეტის კარი და სთხოვა: ბატონო გურამ, თქვენთან მინდა მუშაობაო!...

წარმოიდგინეთ 70-იანი წლების ბოლო, ყველგან და ყველაფერში პროტექციის აღლუმია, ეს ახალგაზრდა კი პირდაპირ პროფესორთან შედის პირადი თხოვნით. ბატონ გურამს ძალიან მოეწონა ასეთი გამბედავი ახალგაზრდა, გაიკითხა თავის მოწაფეებში, კარგი დახასიათება მიიღო და ლევან შიმშილაშვილის სურვილი დააკმაყოფილა!

ასე დაიწყო დიდი სიყვარულის ისტორია! ბატონმა გურამმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაიგო, რომ ლევანი ებრაელია. კახეთში ქორწილში იხუმრეს ებრაელებზე და ლევანს ეწყინა. ასე გაიგო მისი ებრაელობა. გურამს მოეწონა ნიჭიერი სხალგაზრდა, შეიყვარა და თავის ფეხით ჩავიდა რაჭაში, რათა ენახა ვისი გორისაა ასეთი ახალგაზრდა და მას მერე ბატონი გურამის და ლევანის მამის - ბატონი მიშა შიმშილაშვილის მეგობრობა გადაისახა რაღაცა მეტში - უძირო სიყვარულში, აი ისეთ სიყვარულში, როგორიც მხოლოდ ამ ბუმბერაზმა ადამიანებმა იცოდნენ.

ლევანი „იზრდებოდა“ ბატონ გურამთან ერთად და მათთან ერთად იზრდებოდა ბატონ გურამის კათედრა. ამასობაში ლევანის უმცროსი და-ძმაც წამოიზარდნენ, ყველანი სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხენ და ბატონი გურამი ისე ამაყობდა როდესაც შიმშილაშვილების წარმატება ესმოდა, როგორც გოგას, დათოს, მერაბის და ნინოს წარმატებით.

რომელი ერთი მოვიგონოთ, რაჭაში ერთად გატარებული ზაფხულები თუ თბილისური კოლორიტული საღამოები... ასე ერთად მოდიოდა ეს ორი ოჯახი ბედკრულ 90-იან წლებამდე - მამების მეგობრობა, დედების მეგობრობა და შვილების მეგობრობა...

90- იანი წლების დასაწყისში შიმშილაშვილები ისრაელში წამოვიდნენ და წარმატებით გააგრძელეს სამედიცინო კარიერა. ტატიშვილებთან კავშირი არ გაუწყვიტავთ - მუდამ კავშირში იყვნენ, ერთმანეთის გულისტკივილი იცოდნენ და სიხარულს ერთად ხარობდნენ. ერთმანეთთან სტუმრობდნენ, ისე ვეღარ, როგორც საქართველოში, მაგრამ ბატონი გურამი და ქალბატონი ლენა ჩვენსკენ ისრაელში, ტატიშვილების დინასტია ისრაელში, ჩვენ კიდევ შიმშილაშვილები - საქართველოში. სასტუმროში არც ერთ მხარეს არ გვიძებნია! თბილისში ჩვენი მისამართი ყაზბეგის ქუჩა 25-ა იყო...

პროფ. გურამ ტატიშვილი მიხეილ შიმშილაშვილთან ერთად

ჯერ მიშა შიმშილაშვილმა დაგვტოვა, 2012 წელს, ახლა კი... ახლა ბატონი გურამი... გოეთე წერდა „ადამიანი ადამიანობის ადამიანობით ადამიანობსო“

მშვიდობით ადამიანო! მშვიდობით კაცო! მშვიდობით მამა! მშვიდობით ბაბუა!

მშვიდობით პედაგოგო! მშვიდობით უფლის ხატო!

ბატონო გურამ, ისე წახვედი ამ სოფლიდან, წამით სიტყვის თქმაც კი ვერ მოგისწრია, ჩვენ კი, ჩვენ უსუსურებს გაცილებაც ვერ მოგვისწრია, მადლობის თქმაც კი ვერ მოგვისწრია!

ბოდიში ბატონო გურამ! ბოდიში და მადლობა უფალს და მადლობა თქვენ, რომ არსებობდით! მადლობა ამ ლამაზი და დაუვიწყარი მეგობრობისთვის, რომელიც ჩვენს ოჯახებს აკავშირებდა და რომელიც საშვილიშვილოდ დათესეთ ტატიშვილების გვარში! მადლობა გოგასთვის, მადლობა დათოსთვის, მერაბისთვის და ნინოსთვის, მადლობა ლიზიკოსთვის, ლადუკასთვის, ელენიკოსთვის, ნინოსთვის და... ყველასთვის! მადლობა წმინდა და სუფთა სალომესთვის!!! მადლობა!!!! ბატონო გურამ, თქვენ და მიშა შიმშილაშვილმა ისეთი ნერგი დარგეთ, რომლის ფესვებიც მყარად დგას მიწაში და ყლორტები კი სახეზეა და კიდევ უფრო გაიტოტება. ეს ხე კიდევ გაიზრდება! მიშა შიმშილაშვილის და გურამ ტატიშვილის გასვლა-გარდაცვალება არაფერს შეცვლის, ჩვენ თქვენს გზას გავაგრძელებთ და ყოველთვის გვეცოდინება ვისი გორისა ვართ! ილიას სიტყვებია: „თუ სახელის შოვნა გინდა დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას ნანერგითა შენითა მარგე!“.

ბოდიშს მოვუხდით ქ-ნ ლენას, დათოს, მერაბს, ნინოს, რომ ასეთ დროს არ ვართ თქვენს გვერდით, ჩვენს თვალზე ცრემლი არ შრება და სულიერად გვერდით გიდგევართ!

ვერ ვწერთ წერილს, ყოველი ბგერა არარაობად მიგვაჩნია ჩვენს გრძნობასთან, მაგრამ იცოდეთ: ეს ხე კიდევ უფრო გაიზრდება!

ღრმა მწუხარებით
შიმშილაშვილების ოჯახი ისრაელიდან
მირიამ, ლევან, ლია, რიმა, მიხაელ, ანა შიმშილაშვილები ოჯახებით

* * *

წილად მხვდა ბედნიერება, სუბორდინატურის კურსები გამევლო საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სუბორდინაციისა და ინტერნატურის კათედრაზე, რომელსაც პროფესორი გურამ ტატიშვილი ხელმძღვანელობდა. ბედნიერება უბრალოდ არ მიხსენებია, რადგან ბატონ გურამთან მოხვედრა იყო ყველა სტუდენტის ოცნება, ვისაც ქირურგობა სურდა. კათედრაზე დამხვდა საოცარი სიტუაცია, ბატონ გურამს შეკრებილი ყავდა არაჩვეულებრივი სპეციალისტები, ყველა მობილიზებული იყო ახალგაზრდების აღზრდისა და მედიცინაში დახელოვნებისათვის. თავი მაშინვე ექიმად მაგრძნობინეს. დილის კონფერენციიდან და ავადმყოფების შემოვლიდან დაწყებული ბატონ გურამს ახალგაზრდები წინა რიგში ვყავდით. გვასწრებდა და მონაწილეობას გვაღებინებდა მძიმე და რთული ავადმყოფების განხილვასა და ოპერაციულ ჩარევებში. მძიმე ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის განხილვა მართლაც ნამდვილი აკადემია იყო. ბატონი გურამი აზრს ყველას ეკითხებოდა, მართავდა მწვავე კამათს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი თავად იღებდა ისე, რომ ყველა ვხვდებოდით - ბატონი გურამის აზრი სწორი იყო.

ბატონი გურამ ტატიშვილი იყო მაგალითი ღირსეული მოქალაქის, სპეციალისტის, მშობლის, მეგობრის, არაჩვეულებრივი ორგანიზატორის. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. ბატონი გურამ ტატიშვილი იყო ჭეშმარიტი მეცნიერი, ჩვეულებრივი საუბრის დროს „დაიჭერდა“ ფრაზას, დაფიქრდებოდა და მყისვე დაალაგებდა კვლევის გეგმას, მნიშვნელობას. უამრავი დისერტანტი ყავდა. ახალგაზრდებს პრაქტიკული საქმიანობის შესწავლასთან ერთად გვთხოვდა სამეცნიერო საქმიანობას, გვრთავდა კვლევებში, ექსპერიმენტებში. მის მზრუნველობას ყოველთვის ვგრძნობდით, მორიგეობის შემდეგ თვალს გადაგვავლებდა და მაშინვე ხვდებოდა დაღლილები ვიყავით თუ არა, დავალებებსაც შესაბამისად გვაძლევდა. ბატონი გურამ ტატიშვილი იყო ყველას იმედი, ყველას მრჩეველი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. მან შეკრიბა და გაერთიანა ქირურგიული საზოგადოება, გამოსცა ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“, რაშიც დიდი შრომა და ძალისხმევა ჩააქსოვა, კვლავ გამოხატა მზრუნველობა ქირურგებსა და ქირურგიულ საზოგადოებაზე.

ბატონი გურამ ტატიშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია სრულიად საქართველოსთვის, სამედიცინო სამყაროსთვის. დავკარგეთ მშობელივით მზრუნველი, გულშემატკივარი, დიდი მეგობარი.

ბატონი გურამ ტატიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ისტორიის დიდი ნაწილია.

აკაკი ფირცხალაიშვილი

* * *

ძალიან ძნელია დაწერო ისეთ პიროვნებაზე წარსულში, როგორიც იყო პროფესორი გურამ ტატიშვილი. ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც ერთად ვმუშაობდით ჟურნალ „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ მე-3 ნომერზე, მე მომიწია დამეწერა გახსენების წერილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივესიტეტის ერთ-ერთი პროფესორის შესახებ, რა თქმა უნდა ბატონი გურამის კორექტივებით. რას ვიფიქრებდი, ასე მოკლე დროში თუ მომიწევდა მე-4 ნომერ ჟურნალში მის შესახებ გახსენების წერილის დაწერა.

მას შემდეგ, რაც 2014 წელს ბატონმა გურამმა აღადგინა საქართველოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება, ბევრჯერ ვიყავი მოწმე იმ კეთილი, ღირსეული და კეთილშობილი საქმეებისა, რაც მან გააკეთა.

ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა ჩემთვის პირადად და არა მარტო ჩემთვის. ის განსაკუთრებით ზრუნავდა და ეხმარებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების და ჟურნალის გამოცემის საქმიანობაში. მაგალითისთვის იმის მოყვანაც საკმარისია, რომ „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ მე-2 ნომერ ჟურნალში გამოქვეყნებულია სამედიცინო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტის ნაშრომი;

მინდა გავიხსენო მასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ბოლო მოგონება - მისი უანგარო სიკეთე: ამ ზაფხულს შვებულებაში ოჯახთან ერთად ზღვაზე წასასვლელად ვემზადებოდი. ბატონმა გურამმა შემომთავაზა „მე შენ ძალიან დიდ პატივს გცემ და შვილივით მიყვარხარ. რატომ უნდა დაიხარჯო და ბინაში ფული რატომ უნდა გადიხადო, როცა მე სახლი მაქვს გრიგოლეთშიო. ერთ სართულს შენს ოჯახს დაუთმობო“. მისი ეს სიტყვები ჩემთვის ძალიან ღირებული და შთამბეჭდავი იყო. რამდენი რამის გახსენება შეიძლება, მაგრამ ეს შემდგომში.

ჩემთვის ბ-ნი გურამი იყო ეტალონი პიროვნული ღირსების, კეთილშობილობის, პროფესიონალიზმის, მაღალი კულტურის, ინტელექტუალობის და ერთგულებისა მეცნიერებისა და ქირურგიისადმი.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

ბატონი გურამი მუდამ დარჩება ჩემს მეხსიერებაში, როგორც მასწავლებელი და მეგობარი, დამრიგებელი და მრჩეველი ჭკუისა, მისი რჩევები არ წაიშლება ჩემი გონებიდან.

მინდა დავამთავრო ჩემი მოგონება სიტყვებით პატრიარქის წიგნიდან „სულიერი მეგზური“: „დროის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებს; დრო ჩვენთვის ღვთისაგან მომადლებულ ძვირფას საგანძურს წარმოადგენს, რომელიც არა იმისათვის მოგვმადლა, რომ განვლიოთ, არამედ სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ძალების დაძაბვით, სხვისა და ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ“.

ბატონ გურამ ტატიშვილს დიახაც რომ ამაოდ არ განუვლია ცხოვრების გზა. ის სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ძალების დაძაბვით იღვწოდა უპირველესად საქართველოს მეცნირებისა და ქირურგიის განვითარებისთვის, ჩვენი და თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის.

„მსუბუქი იყოს ბატონო გურამ ქართული მიწა და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა იესო ქრისტემ. ამინ!

დიდი პატივისცემით თქვენდამი და თქვენი ოჯახისადმი.

ლაშა სილოგავა
სქართველოს გრ.მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო
საზოგადოების წევრი და რედკოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი

კარგი კაცის ნათელ ხსოვნას

ძალიან მიჭირს გურამ ტატიშვილზე წარსულ დროში ლაპარაკი - უზომოდ მატკინა გული მისმა ასე მოულოდნელად და, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოთ მათ, ვინც არ იცნობდა და მხოლოდ მისი ასაკის მიხედვით იმსჯელებს, უდროოდ წასვლამ ამ ქვეყნიდან. დიახ, უდროოდ! ვინაიდან განგებამ, ბუნებამ ისეთი ფიზიკური და გონებრივი ძალა ჩადო მასში, რომ მისი შემყურე ვერაფრით იფიქრებდი, თუ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ახლო მომავალში, ასე მალე. ამაზე არც გვიფიქრია. გვეგონა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ის კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩვენთან, იქნებოდა ისეთი, როგორიც იყო, გვიყვარდა და გვახსოვს...

რთულია გურამ ტატიშვილზე მოგონების დაწერა. ეს უფრო მისი კოლეგების, მეგობრების საქმეა, იმ ადამიანებისა, რომლებთანაც მან მრავალი წელი გაატარა ერთობლივ მუშაობაში. მხოლოდ მათ შეუძლიათ პროფესიულად ილაპარაკონ მის საქმიანობაზე, ხელეწიფებათ კვალიფიციურად შეაფასონ მისი მოღვაწეობა და განსაზღვრონ ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მას ქართული სამედიცინო მეცნიერების წინაშე - როგორც ქირურგს და თავისი დარგის წინსვლა-განვითარების საქმის შესანიშნავ ორგანიზატორს.

მე, ბუნებრივია, ვერ ვისაუბრებ მასზე, როგორც მედიკოსზე. ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას მის პიროვნულ, ადამიანურ თვისებებზე. ამასთან, გამოვყოფ მხოლოდ ორიოდე მათგანს, რომელიც ყურადღებას იქცევდა, პატივისცემას იმსახურებდა, რაც მომწონდა და, ცოტა არ იყოს, მაკვირვებდა კიდეც.

პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება ნათესავების, ახლობლების მიმართ, განსაკუთრე-

პროფ. გურამ ტატიშვილი ზურაბ ჟვანიასთან ერთად

ბით მაშინ, როცა ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, მაშინათვე მასთან გაჩნდებოდა. ზოგჯერ უხერხულადაც გრძნობდი კაცი თავს, რომ სრულიად უბრალო, ერთი ან ორი დღე შეუძლოდ ყოფნის დროსაც კი, თუ შეიტყობდა, აუცილებლად დაგადგებოდა თავზე. რომ ჰკითხავდი, რატომ შეწუხდი, განა რა მოხდა ასეთიო, ყოველთვის დასამახსოვრებელ, შესანიშნავ და ღირსეულ პასუხს გაგცემდა: „აბა, მე ნათესაობა სხვანაირად არ ვიცი“. და ოდნავი ეჭვიც კი არ დაგრჩებოდა მისი სიტყვების სიმართლეში.

ბებერ, მაგრად ფესვებგადგმულ მუხასავით იდგა ეს ადამიანი თავის ნათესავებს შორის, ზორბა ტანის, ბრგე, ღონიერი. ყველას ეხმარებოდა, ყველაზე ზრუნავდა, ყველას პატრონობდა და მფარველობდა. აზრად არ მოგივიდოდა კაცს სიტყვა „მოხუცი“ და, მითუმეტეს, „ბებერი“ გეხმარა მის მიმართ. ღმერთმა არ ქნას! ისეთი ძალა, ენერგია, ხალისი და შრომისმოყვარეობა ჰქონდა, რომ ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა მისი. თუ დასახმარებლად ვინმეს ჩარევა იყო საჭირო, თხოვნა არ ჭირდებოდა, მაშინათვე თავისით წავიდოდა (კინაღამ ვთქვი „გაიქცეოდა“, თუმცა ეს სიტყვა ამ შემთხვევაში ალბათ უფრო ზუსტად გამოხატავდა მის ქმედებას). რამდენჯერმე ვიყავი იმის მოწმე, თუ რა პატივისცემით ხვდებოდნენ ისინი, ვისთანაც მივიდოდა, და იწყებდნენ საუბარს იმაზე, თუ როგორ დაეხმარა მათ გურამ ტატიშვილი თავის დროზე, ხელი შეუწყო და გზაზე დააყენა...

ხშირად ვიყავით ერთად. არ გამოტოვებდა შვილიშვილების არცერთ „ზეიმს“, საბავშვო ბაღში იქნებოდა ეს თუ სკოლაში, მათი სურათების, ნახატების თუ ნამუშევრების გამოფენას. დაბადების დღეებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! ცალკე საჩუქარს გაუკეთებდა აუცილებლად – პირადად თავისგან. გოგონებისთვის თითქმის ყოველთვის ეს იყო ლამაზი, გემოვნებით შერჩეული და ზუსტად მათზე მორგებული კოხტა კაბები. რამდენჯერმე ვკითხე, როგორ ახერხებდა ამას. ბოლოს გაიცინა და გამანდო საიდუმლო: „მე რას ვახერხებ. ჩემს ქვემოთ მაღაზიაა. იქ გამყიდველ გოგონებს ვიცნობ. შევდივარ და ვეუბნები, ამა და ამ ასაკის ბავშვებისთის მინდა კაბები. დანარჩენს ისინი თვითონ აკეთებენ“.

შვილების და შვილიშვილების ბედი, მათი მომავალი განსაკუთრებით აწუხებდა, თითქოს გული რაღაც ცუდს უგძნობდა...

საგარეჯოში, მისი საყვარელი სახლის ეზოში, ფაცხაში, ხშირად ვისხედით ერთად და ვსაუბრობდით. „ბევრს ვფიქრობ მათზე – იტყოდა. – ღამე მეღვიძება და ეს აზრები მაწუხებს. ძალიან მინდა ყველაფერი კარგად იყოს, რომ წყნარად წავიდე ამ ქვეყნიდან“.

იმდენად გულახდილი იყო, როცა ამაზე ლაპარაკობდა, რომ თავდაპირველად ეს ცოტა უჩვეულოდ, მოულოდნელადაც მეჩვენებოდა. არ მეგონა, რომ მას შეეძლო ყოფილიყო ასეთი ღია, გულწრფელი და მიმნდობი. ბავშვივით...

გურამ ტატიშვილი თავისი კოლეგების, მედიკოსების, იმ ინტელექტუალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც, გარდა იმისა, რომ სრულყოფილად ფლობდნენ თავიანთ სპეციალობას, სხვა ნიჭითაც იყვნენ დაჯილდოებულნი. კერძოდ, მაკვირვებდა მისი მკაფიოდ გამოხატული ლიტერატურული ნიჭი. „რა გიკვირს? – იტყოდა, – სკოლაში ყველაზე მეტად ლიტერატურა მიყვარდა. მასწავლებელი მყავდა შესანიშნავი პიროვნება, თბილისში ცნობილი პედაგოგი. ხშირად მეტყოდა ხოლმე: „შენ წერა გეხერხება, აუცილებლად ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარე. დარწმუნებული ვარ, შენგან რაღაც კარგი გამოვა“. მე და ალბერტ თავხელიძე, მეცნიერებათა აკადემიის მომავალი პრეზიდენტი, ერთ კლასში ვსწავლობდით. ენასა და ლიტერატურაში ყველაზე კარგი მოწაფეები ჩვენ ვიყავით, მაგრამ მასწავლებელი რატომღაც მე უფრო მაქებდა. როდესაც გაიგო, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი, გამებუტა, დიდხანს არ მელაპარაკებოდა. მხოლოდ მაშინ შემირიგდა, როდესაც სრულიად შემთხვევით ჩვენს კლინიკაში მოხვდა, და მე, მაშინ დამწყებმა ქირურგმა, მისი ოჯახის წევრს ოპერაცია გავუკეთე“.

მომწონდა მისი დამოკიდებულება კოლეგების მიმართ. ყველაზე რაღაც უჩვეულო სითბოთი საუბრობდა. არ მახსოვს, ვინმეზე ცუდი ეთქვა, აუგად, უპატივცემულოდ მოეხსენიებინა. თავის მასწავლებლებს ხომ აღმერთებდა! განსაკუთრებით აკადემიკოს მიხეილ ჩაჩავას. დიდი მოკრძალებით და პატივისცემით საუბრობდა აკადემიკოს ეგნატე ფიფიაზე. მათ ხსენებაზე თვალში უცნაური სხივი ჩაუდგებოდა ხოლმე.

მიკვირდა და პატივისცემით აღვიქვამდი მის სიყვარულს წინაპრების მიმართ. იშვიათი გულმოდგინებით, რაღაც განსაკუთრებული რუდუნებით მუშაობდა მათი სახელების დადგენაზე – ძალიან უნდოდა თავისი გვარის, ტატიშვილების, გენეალოგია ჰქონოდა. მეჩვენებოდა, რომ ამგვარი სამუშაო ნაკლებად შეესაბამებოდა

მის ხასიათს, ტემპერამენტს, პროფესიას. თვითონ კი ამ საქმეს დიდ დროს უთმობდა – მოთმინებით, უჩვეულო მონდომებით და გულისყურით ეძიებდა ძველ საბუთებში და ბედნიერი იყო, როცა ახალ სახელს აღმოაჩენდა. ყოველ მათგანზე, შორეულ წინაპრებზეც კი, რომლებიც არასოდეს ენახა, რაღაც განსაკუთრებული, ნათესაური სითბოთი საუბრობდა.

შესანიშნავი მეოჯახე, მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა დავკარგეთ „ჩვენი ბაბუს“ (როგორც ვეძახდით) სახით, კოლეგებმა კი – უზადო პროფესიონალი, კეთილი მრჩეველი და ერთგული მეგობარი. ვერ წავიდა ისე, როგორც სურდა – თან გაიყოლია გულით დიდი ტკივილი...

ჩვენში კი თითქოს რაღაც შეიცვალა, გაწყდა. დიდხანს ვერ გავთავისუფლდებით ამ შეგრძნებისგან.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

ზურაბ ჟვანია

* * *

ძნელია მოიგონო და ილაპარაკო უკვე წარსულ დროში ადამიანზე, რომელიც შენთვის იყო ძმა და უახლოესი ადამიანი, ამავე დროს იგი იყო ცნობილი ექიმი – ქირურგი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, მრავალმხრივი პიროვნება, პედაგოგი, მეგობრისთვის დასაყრდენი და საიმედო ადამიანი – გურამ ტატიშვილი.

მე და გურამი ვიზრდებოდით ერთ სახლში, ერთ ოჯახად, რადგან გურამის მამა – გიორგი ტატიშვილი (მამაჩემის ძმა) გადაასახლეს 1937 წელს, დახვრიტეს და მამაჩემმა, ირაკლი ტატიშვილმა სამი ძმიშვილი – გურამი, მერაბი და მარინა გადმოიყვანა ჩვენს სახლში და მათი მოვლა და მზრუნველობა მთლიანად თავის თავზე აიღო.

ყველანი ერთად ვიზრდებოდით, სანამ ისინი საკუთარ ოჯახებს არ მოეკიდნენ. ფაქტიურად ჩვენ (მე, ნუგზარი, გურამი, მერაბი და მარინა) ხუთი და-ძმანი ვიყავით და ასე გრძელდება დღემდე.

დედაჩემი და მამაჩემი ხუთივეს ერთნაირად გვზრდიდნენ, ჩვენთვის ყველაფერი ერთნაირად იყო განაწილებული. ზოგჯერ თითქოს მეტი ყურადღება მათკენ იყო მიმართული, რომ არ ეგრძნოთ უმამობა.

ბავშვებში მე ყველაზე პატარა ვიყავი და ძალიან მანებივრებდნენ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო გურამის ყურადღება ჩემდამი.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ბებია ნინო ონიაშვილი (მამაჩემის დედა) ძალიან სათნო და კეთილშობილი ქალბატონი გახლდათ და გურამის ინიციატივით მე ნინო დამარქვეს (შინაურები ნუცას მეძახდნენ).

ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. გურამს განსაკუთრებით ვეამაყებოდი და ამას გამოხატავდა ჩემს მიმართ დიდი სითბოთი. როდესაც სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებზე მიდიოდა სხვადასხვა ქალაქებში, ჩემთვის განსაკუთრებული გემოვნებით შერჩეული საჩუქრები ჩამოჰქონდა. ეს მე ძალიან მართობდა და დღემდე არ მავიწყდება.

როდესაც წამოვიზარდე და სკოლას ვამთავრებდი, გურამმა იმ პერიოდში გადაწყვიტა ცოლის შერთვა. მაშინ იგი სამედიცინო ინსტიტუტში დეკანის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს ჩემი მეუღლე გედი გელბახიანი, რომელიც მაშინ მესამე კურსის სტუდენტი იყო, გურამთან მეგობრობდა, ამიტომ ჩვენს ოჯახში მოწვეული იყო მაყრის სტატუსით. შემდეგ მოხდა ჩემი და გედის დაახლოება და შეუღლება. ამაზე ბევრს აღარ გავაგრძელებ. აქვე აღვნიშნავ, რომ გურამი იყო ჩემი და გედის მეჯვარე. გედი ჩვენს ოჯახში, ტატიშვილებთან, საოცარი სითბოთი შემოვიდა. ეს ალბათ გარკვეულწილად ჩემი ძმის, ნუგზარის და გურამის დამსახურებაც იყო. ისინი ძალიან მეგობრობდნენ ამ სიტყვის სრული გაგებით.

მახსოვს ჩემს ოჯახში, გელბახიანებთან, ხშირად ახსენებდნენ გურამს, როგორც ერთგულ და საიმედო პიროვნებას. მაშინ გურამი იყო სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და პეტრე გელბახიანმა სთხოვა გურამს, ყურადღება მიექცია გედისთვის და ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში და გედი მართლაც აქტიურად იყო ჩაბმული სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში. ჩემს დედამთილს, ქ-ნ თამარს ძალიან უყვარდა გურამი და ხშირად ამბობდა: „იმიტომაც მიხაროდა ჩვენი დანათესავება, რომ ისეთი წარმოსადეგი და ღირსეული ადამიანი, როგორიც გურამია, ჩვენი ახლობელი გახდებოდაო“.

ისე მოხდა, რო მე-8 საავადმყოფოს გახსნისთანავე, გურამს და გედის ერთად მოუწიათ მუშაობის დაწყება. გედის თერაპიულ განყოფილებაში და გურამს ქირურგიულში. მათ ძალიან ბევრი საერთო ჰქონდათ მუშაობის პროცესში.

გავლილი წლების მანძილზე, თავიანთი ურთიერთობიდან გამომდინარე, გურამმა და გედიმ ნათესაობის და მეგობრობის ნამდვილი მაგალითი გვიჩვენეს.

გურამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემი შვილების მიმართ. მინდა გამოვყო მისი დამოკიდებულება ჩემი პეტრეს მიმართ. ის თვლიდა, რომ უსამართლოდ ჩამოაშორეს პეტრე კალათბურთის ნაკრებს და მერე თვითონვე დაადგინა, რომ ხალხით გადაჭედილი დარბაზი პეტრე გელბახიანის სახელის სკანდირებას რომ დაიწყებდა, სპორტის მესვეურებს ეშინოდათ, რა რეაქცია ექნებოდა კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობას და დიდი ბჭობის შემდეგ ის ნაკრებს ჩამოაშორეს.

პროფესორები გურამ ტატიშვილი,
გედი გელბახიანი, ნუციკო ტატიშვილი

მას ძალიან უხაროდა პეტრეს წარმატებები სამედიცინო კარიერაში, მაგრამ იგი თვლიდა, რომ პეტრესთვის უზენაესი იყო საქართველოს ინტერესები, სამართლიანობა და უსამართლობასთან ბრძოლის აუცილებლობა და კიდეც ამიტომ განათავსეს იგი საპყრობილეში.

ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ მან დააღწია თავი ციხეს და გამოსვლის შემდეგ ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვები - ჩვენი მომავალია“ და როდესაც იგი ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას შეუდგა და ფეხზე დააყენა, გულმა უმტყუნა და სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან.

როდესაც გედი შვიდწლიანი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა, ბატონი ავთო ჯორბენაძის და ბატონი რამაზ ხეცურიანის თანადგომით კვლავ მე-8 საავადმყოფოს თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა. გურამი გვერდიდან არ მოშორებია გედის.

აქვე მინდა დავუმატო, როდესაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, მე, ბუნებრივია, ცუდად ვგრძნობდი თავს. რამოდენიმე თვეში აღმომაჩნდა ინსულტის ნიშნები და სასწრაფოდ მომათავსეს მე-9 საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში ისე, რომ ჩვენი ახლობლებისთვის ჩემს ოჯახს არაფერი გაუგებინებია. მეორე დილით დაფეთებული გურამი და ლენა დამადგნენ თავზე საავადმყოფოში. არ ვიცი ვინ გააგებინათ და თან შემოყვათ პალატაში ნევროლოგიის კათედრის ხელმძღვანელი ქ-ნი მარინა ჯანელიძე, რომელმაც დაამშვიდა გურამი, რომ საგანგაშო არაფერი იყო და მალე გამწერდნენ სახლში.

ასეთი რამდენი მომენტის გახსენება შეიძლება, მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ.

როგორ დამავიწყდება, რა ენთუზიაზმით ელოდებოდა 2015 წლის N1 და N11 ჟურნალ „ავერსის“ გამოსვლას თავისი გამზრდელი ბიძის ირაკლი ტატიშვილის გახსენების და ჩემი მეუღლის გედი გელბახიანის მოგონების შესახებ სტატიებს. ეს გურამის ბუნება იყო ასეთი თბილი, ყურადღებიანი და დაუზარელი.

როდესაც დადგა ჩემთვის უმძიმესი, თითქმის გაუსაძლისი პერიოდი, დავკარგე ჩემი ერთადერთი ვაჟკაცი - პეტრე, რომლის დაკარგვაც ვერ გადაიტანა მამამისმა - გედიმ და ხუთ წელიწადში ისიც მივაბარე მიწას, გურამი არ მომცილებია გვერდიდან და როგორც შეეძლო მამაგრებდა თავისი არსებობით, თუმცა, თვითონაც ეს მძიმე ტვირთი თავის თავზე გადაიტანა - გოგას დაკარგვით.

დაბოლოს, რა შემიძლია რომ ვთქვა, ღმერთმა აცხონოს მისი სული და სასუფეველი დაუმკვიდროს სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

ნუციკო ტატიშვილი

* * *

საყოველთაოდ ცნობილი ქირურგი და პროფესორი, აკადემიკოსი გურამ ტატიშვილი გახლდათ ჩემი უსაყვარლესი ბიძა და ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანი. ბატონი გურამის დიდი ადამიანობის, წარმატებული ცხოვრების და საქმიანობის შესახებ ბევრია ცნობილი, თუმცა მინდა ამ მოკლე მოგონების წერილში ხაზი გავუსვა მის ზოგიერთ გამორჩეულ პიროვნულ თვისებებს.

ბატონ გურამს ძალიან უყვარდა ბავშვები. როცა მე და ჩემი და მაკა პატარები ვიყავით, ნამდვილი ზეიმი იყო ხოლმე გურამის ჩვენთან სახლში სტუმრობა. ის ყოველთვის ბევრ დროს გვითმობდა, გვეთამაშებოდა, გვანებივრებდა საჩუქრებით. დაახლოებით 5-6 წლის ვიქნებოდი და როგორც ჩემი ასაკის ბიჭების უმრავლესობა, ვგიჟდებოდი მანქანებზე. ერთხელაც გურამი რომ გვესტუმრა, ჩემი საყვარელი მანქანის მოდელით (ლამაზი ფორდი) ვთამაშობდი. ეს რომ დაინახა, გურამმა მითხრა, ხვალ სიურპრიზს მოგიწყობ და ასეთი ნამდვილი მანქანით გაგასეირნებო. არ დავიჯერე, ტყუილი მეგონა (სად იყო მაშინ თბილისში ფორდები, მხოლოდ ძველი ვოლგები და პაბედები დადიოდა), თუმცა გულის სიღრმეში მაინც ეჭვი მეპარებოდა ნეტავ მართალს ხომ არ ამბობს-თქო, მთელი ღამე არ მეძინა. და ჰოი სასწაული - მეორე დღეს ბატონმა გურამმა მართლაც ნამდვილი ფორდ-მუსტანგით (ეხლაც მასხოვს ნარინჯისფერი, ულამაზესი ორკარიანი კუპე იყო, როგორც შემდგომ გავარკვიე მთელ ქალაქში გადარეკა და ვიღაც ახლობელს გამოართვა ეს მანქანა) გამომიარა, გამასეირნა, მთელი თბილისი მომატარა, ძალიან ამაყი და ბედნიერი ვიყავი, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ბიძა მყავდა. ასეთი სიურპრიზების ჯადოქარი იყო ბატონი გურამი, მისი ყურადღება ეხებოდა არა

პროფესორები გურამ და ნუგზარ ტატიშვილები

მარტო ტატიშვილებს, არამედ მათ რძლებს, სიძეებს, განურჩევლად ყველა ახლობელს. არასოდეს დაავიწყდებოდა ვინმეს დაბადების დღე, იუბილე ან წარმატებული ნაბიჯის აღნიშვნა. ხშირად თვითონ თაოსნობდა ხოლმე ასეთ დღეებში ნათესაობის შეკრებებს, იყო თამადა, ამხიარულებდა ყველას, მისი ხელგაშლილობა და თანადგომა ყველა ფარგლებს სცილდებოდა.

ბატონი გურამი და მამაჩემი (ასევე ცნობილი ექიმი, აკადემიკოსი ნუგზარ ტატიშვილი) ბიძაშვილები იყვნენ, თუმცა, ერთ ოჯახში გაიზარდნენ. მამას ძმა არ ყავდა და გურამს მიიჩნევდა ძმად. ყოველთვის ვგრძნობდი მამაჩემის განსაკუთრებულ სიყვარულს გურამის მიმართ. მამას და გურამს გარდა ძმობისა, ერთმანეთთან აკავშირდებდა მჭიდრო საქმიანობა სამედიცინო სფეროში. მახსოვს, რომ მამა ხშირად დადიოდა გურამთან სახლში სხვადასხვა პრობლემაზე რჩევის მისაღებად და ასევე ხდებოდა პირიქით. ვფიქრობ, გურამის და ნუგზარის ასეთმა ურთიერთობამ დიდად შეუწყო ხელი ამ ორი არაჩვეულებრივი ადამიანის წარმატებულ კარიერას. სხვათაშორის, მამაჩემმა ბატონი გურამის მეშვეობით გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე - დედაჩემი ქეთი ანჯაფარიძე (ბატონ გურამს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქეთის მამასთან, ცნობილ ექიმ ლევან ანჯაფარიძესთან).

ჩვენ ოჯახს არასდროს აკლდა გურამის ყურადღება, თუმცა, 2004 წელს მამაჩემის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, გაათმაგებულად ვიგრძენით ბატონი გურამის მზრუნველობა. უკანასკნელ წლებში ბატონი გურამი განსაკუთრებით მეგობრობდა ჩემ შვილთან ნუგზარ ტატიშვილთან, რომელიც გურამს მამაჩემს აგონებდა.

ბატონი გურამი მოწოდებით გახლდათ პედაგოგი და ახალგაზრდა თაობის დიდი ქომაგი. ყველა ჩემი კურსელისთვის, ვინც ქირურგობას აპირებდა, საოცნებო იყო გურამის კათედრაზე მოხვედრა, რადგან იქ ახალგაზრდა ქირურგებისთვის დაოსტატების საუკეთესო პირობები იყო შექმნილი. იმდროინდელი ცნობილი ქირურგებიდან, ვფიქრობ ბატონი გურამი იყო ერთადერთი, ვინც უშუალოდ აკეთებინებდა ოპერაციებს ახალგაზრდა ექიმებს და ყველანაირად ხელს უწყობდა მათ წინსვლას. სწორედ ამიტომაც არცერთ ქირურგს არ გაუზრდია საქართველოსთვის იმდენი სპეციალისტი, რამდენიც ბატონმა გურამმა გაზარდა.

ბატონი გურამი ყოველთვის მისდევდა ცხოვრების ჯანსაღ წესს, სისტემატურად ვარჯიშობდა და ცურავდა. მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ხშირად ვხვდებოდი ბატონ გურამს ვაკის საცურაო აუზში, სადაც 86-87 წლის კაცი ცურავდა და შედიოდა საუნაში. საუნა გურამისთვის იყო დიდი სიყვარული და რიტუალი. ვერავინ ვერ ძლებდა საუნაში გურამივით დიდხანს. ერთხელ, როცა საუნაში ერთად ვიყავით მე, გურამი და უცნობ ახალგაზრდათა ჯგუფი, ახალგაზრდებმა გაოცება ვერ დამალეს და კითხეს გურამს, თუ რა იყო მისი ასეთი ჯანმრთელობის საიდუმლოება. ბატონი გურამის პასუხი იყო მოკლე და კონკრეტული - „ძალიან მიყვარს საუნა და მთელი ცხოვრების მანძლზე სისტემატურად ვვარჯიშობ“. სწორედ ამ ლაკონურ პასუხშია ალბათ ბატონი გურამის წარმატებული ცხოვრების საიდუმლო. ბატონი გურამი იყო წარმატებული ყველაფერში, რადგან რასაც აკეთებდა, აკეთებდა დიდი სიყვარულით და პროფესიონალიზმით, ბოლომდე იხარჯებოდა ყველა წვრილმანშიც კი.

ბატონმა გურამმა დატოვა არაჩვეულებრივი შვილები (სამწუხაროდ, უსაყვარლესი გოგა ტატიშვილი ნაადრევად გარდაიცვალა) - დათო, მერაბ და ნინო ტატიშვილები. მათთან მაკავშირებს ნამდვილი ბიძაშვილობა, მეგობრობა და დიდი სიყვარული. მათთან ურთიერთობის დროს ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ბატონი გურამი არც არსად არ წასულა, რადგან ნამდვილი სიყვარული და მეგობრობა არ ქრება.

ირაკლი ტატიშვილი

* * *

ჩემს მეხსიერებაში გურამ ტატიშვილი ბავშვობიდანვე აღიბეჭდა. მაგონდება, თუ რა გულითადი მეგობრობა აკავშირებდა მას ჩემს მშობლებთან, ბებიასთან და ბაბუასთან... მოგვიანებით ბატონი გურამი ჩემი მეგობარიც გახდა – ნამდვილი მეგობარი, გულისხმიერი, მოსიყვარულე და ყურადღებიანი. ჩვენი ოჯახების ურთიერთობა ერთი დიდი ეპოპეა იყო სიყვარულის და თანადგომისა... ერთი გვქონდა ჭირიც და ლხინიც, სიხარულიც და ტკივილიც.

ნათესაობაში (ან სანათესაოს სამეგობროში) თუ ვინმე ავად გახდებოდა, რა თქმა უნდა, გურამ ტატიშვილი იყო მისი გადამრჩენი, ის მაშინვე მასთან გაჩნდებოდა – დასახმარებლად გამზადებული; ღიმილითა და იმედიანი სიტყვებით გაამხნევებდა ავადმყოფს და ყველა ზომას მიიღებდა მის გამოსაჯანმრთელებლად. ასეთი შეხვედრები, ბუნებრივია, სუფრითა და სადღეგრძელოებით მთავრდებოდა; გვიყვარდა ერთად ყოფ-

ნა, ხუმრობა, ქეიფი.

სანამ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდებოდი, გურამ ტატიშვილთან ვმუშაობდი მე-8 საავადმყოფოში სანიტრად. არასდროს დამავიწყდება ის პერიოდი. ძალიან მიხაროდა სამსახურში მისვლა. იქ ყოველდღე ბატონ გურამს ვნახულობდი. მას ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა: ყველა გარს ეხვია, უამრავ შეკითხვას უსვამდნენ კოლეგებიც, სტუდენტებიცა და პაციენტებიც, მაგრამ ის მაინც მოიცლიდა ხოლმე ჩემთვის, გულში ჩამიკრავდა და აუცილებლად მკითხავდა, მომწონდა თუ არა ავადმყოფებთან ურთიერთობა, კმაყოფილი ვიყავი თუ არა ჩემი საქმიანობით, მიჩნდებოდა თუ არა კითხვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მეც გულწრფელად ვუზიარებდი ჩემს შთაბეჭდილებებს.

სტუდენტი რომ გავხდი, კიდევ უფრო გაღრმავდა ჩვენი ურთიერთობა. ბატონი გურამი უკვე მესაიდუმლეც გახდა ჩემი და მრჩეველიც. ჩვენ ერთად ვმსჯელობდით ბევრ საინტერესო საკითხზე. გურამ ტატიშვილის თვალსაზრისს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ჩამაფიქრებდა ხოლმე მისი წინადადებები, რჩევები, კონსულტაციები.

მიუხედავად გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა, ბატონი გურამი მაინც გამონახავდა ხოლმე დროს და ესწრებოდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბის (ე. წ. КВН-ის) თამაშებს; რა თქმა უნდა, გულშემატკივრობდა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვიყავი. ბატონი გურამი მეცხრე ცაზე იყო ჩვენი წარმატების გამო. თამაშის შემდეგ კი რჩევებს გვაძლევდა და გვამხნევებდა, კარგი ბიჭები ხართო... სტუდენტებს გამორჩეულად უყვარდათ გურამ ტატიშვილი.

მახსოვს, რა ინტერესით წაიკითხა ჩემი სადისერტაციო ნაშრომი; მომიწონა და წარმატებები მისურვა... გულწრფელად უხაროდა ჩემი წინსვლა (და არამარტო ჩემი, ზოგადად – ყველა ახალგაზრდისა).

ტელესერიალის – „შუა ქალაქში“ – ყოველი ახალი სერიის გასვლის შემდეგ პირველი ზარი გურამ ტატიშვილისა იყო: გულიანად იცინოდა, შთაბეჭდილებებს მიზიარებდა და ზოგჯერ ხუმრობებსაც კი მთავაზობდა – ყველაფრის ნიჭი ჰქონდა მას...

ვიზუალურადაც გამორჩეული იყო ბატონი გურამი. მახსოვს, პირველად რომ შემოვიდა ლექციაზე, სტუდენტებმა ასე შეაფასეს იგი: მისი შემობრძანება პოსეიდონის შემობიჯებას ჰგავდაო... და მეც, რა თქმა უნდა, ძალიან მიხაროდა და მეამაყებოდა, რომ ბავშვობიდანვე ვიცნობდი მას და ის ჩემი სისხლი და ხორცი იყო, ჩემი მეგობარი, ჩემი გულშემატკივარი.

გურამ ტატიშვილის 80 წლის იუბილეზე თამადა ვიყავი. ბუნებრივია, ამ იუბილეს ბევრი საინტერესო ადამიანი ესწრებოდა. ყველა ესიყვარულებოდა და ეფერებოდა ბატონ გურამს, მე კი მეამაყებოდა ამ ლამაზ სუფრას რომ ვუძღვებოდი; ბევრი ვიხუმრეთ, ვიცინეთ. ბატონი გურამი ჯანმრთელობით თავს კარგად გრძნობდა და მე ეს ყველაზე მეტად მახარებდა, უკვდავი მეგონა, უძლეველი...

უღალატო მეგობარი დავკარგე!

ოთარ ტატიშვილი

* * *

ყველასთვის ცნობილია გურამ ტატიშვილის და დავით საყვარელიძის მეგობრობა. ორივე დახვეწილი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული. ერთხელ, ზაფხულის ცხელ დილას, მეგობრები იმერეთისკენ, სოფელ ჯგილათში გაემგზავრნენ შვილების მოსანახულებლად (ჯგილათი საყვარელიძეების წარმოშობის და თავშეყრის ადგილია). პატარა ტატიშვილები და საყვარელიძეები არდადეგებს იქ ატარებდნენ. მამებმა შვილების მოსანახულებლად საბარგულით დიდი ტორტი გაიყოლეს. დავითს ჩვეულებრივი სიმშვიდით, ნელა მიჰყავდა ავტომობილი. შუადღისკენ, მზემ რომ დააჭირა, გურამმა შეუძახა:

გურამ ტატიშვილი
დავით საყვარელიძესთან ერთად

– არიქა დათო, ცხელა, გაზს მოუმატე, თორემ აყროლდა ტორტი...

დავითმა ღიმილით უპასუხა: – ჩვენს აყროლებას, ტორტის აყროლება ჯობიაო...

გურამ ტატიშვილმა ხრამს გადახედა რიკოთის უღელტეხილზე და ორივეს სიცილი წასკდა.

ასე მხიარულად ჩავიდნენ მამები შვილებთან ტორტით.

გურამ ტატიშვილს უყვარდა ბავშვებთან დროს გატარება. თითქმის ყველა შაბათ-კვირას ჩასვამდა მანქანაში გოგი და დათო ტატიშვილებს, გოგი და არჩილ საყვარელიძეებს და მიყავდა სასეირნოდ. ერთხელ, ფუნიკულიორზე გართობის შემდეგ, ბავშვები სკამზე ჩამოსხდნენ დასასვენებლად. უცბად, პატარა აჩიკოს რამდენიმე მამაკაცი მივარდა და წაყვანა დაუპირეს. გურამი შეშფოთდა და კითხა, რას ჩადიოდნენ. კაცებმა

რუსულად მიუგეს, ეს ჩვენი ოლეგია და სახლში მიგვყავსო.

გურამ ტატიშვილმა ძლივს გამოსტაცა შეშინებული აჩიკო უცხოებს და სახლში გამოაქანა ბავშვები.

წლების შემდეგ, როცა არჩილ საყვარელიძე და გურამ ტატიშვილი ერთმანეთს ხვდებოდნენ, ბატონი გურამი ხითხითით ახსენებდა არჩილს ინციდენტს.

- კინაღამ მომტაცეს შენი თავი, ძლივს დაგიხსენი და ხალხს ვაჩუქე დიდი ნევროპათოლოგიო.

აჩიკო საყვარელიძე

* * *

1986-2009 წლებში, ბატონ გურამ ტატიშვილთან ერთად ვმუშაობდი ქ. თბილისის მერვე საავადმყოფოში. 23 წლის განმავლობაში შესაშური და სამაგალითო იყო საავადმყოფოს ადმინისტრაციის და ქირურგიული კათედრის თანამშრომლობა.

ბატონი გურამი, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა პრაქტიკულ-ქირურგიულ და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

სიმბოლურია, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკა ფუნქციონირებს შენობაში, რომლის დაპროექტებასა და აშენებაშიც ბატონ გურამს ლომის წილი მიუძღვის. მერვე კლინიკის ტერიტორიაზე ქირურგიული კორპუსის მშენებლობის იდეა და შემდგომ მისი დროული და ხარისხიანი ფუნქციონირება ბატონი გურამის დამსახურებაა.

ბატონ გურამთან, გარდა ოფიციალური თანამშრომლობისა მაკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა. საავადმყოფოსთვის რთული, საჭირბოროტო საკითხების განხილვისას ყოველთვის ვპოულობდით ურთიერთმისაღებ, კომპრომისულ გადაწყვეტილებებს.

2009 წელს, მას შემდეგ რაც ჩამომაშორეს მთავარი ექიმის საქმიანობას, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო გახდა. ბატონმა გურამმა მინახულა და გადმომცა მისი ახლად გამოცემული წიგნი „უამი ფიქრის, მოგონების და განსჯის“.

წიგნს დღესაც ამშვენებს ბატონი გურამის წარწერა: „სანთელ -საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“.

ამ სიტყვებს გულის ტკივილით ვიხსენებ და ვიმეორებ, ბატონო გურამ !

შოთა პეტრიაშვილი

* * *

ბატონი გურამ ტატიშვილი გავიცანი ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას და მაშინვე უდიდესი სიმპათიის, პატივისცემის და მოწიწების გრძნობა დამეუფლა, ამასთან, მისგან საოცარი უშუალობა და სილაღე შევიგრძენი, რამაც ჩვენი შემდგომი მრავალწლიანი ურთიერთობა აქცია უფროს-უმცროსი მეგობრების, თანამოაზრეების ძლიერ კავშირად.

რეზო, გურამი და ნინო

თურმე რა პატარაა ეს ქვეყანა...

უამრავი უხილავი, მაგრამ ძალიან მტკიცე დამაკავშირებელი ძაფი აღმოჩნდა ჩვენს შორის:

- რევაზ ვეფხვაძე და კლარა გელაშვილი. ბატონ გურამს დედა, ქალბატონი ელისაბედი, ეკითხებოდა თურმე, ჩემს რეზიკოს შენი ჯგუფელი - კლარა მოყავს ცოლად და ხომ კარგი გოგოაო? სტუდენტობიდან დაწყებული ეს ძვირფასი ურთიერთობა, თანადგომა და დიდი სიყვარული გურამს, რეზოს და კლარას თითქმის მთელი საუკუნე გაჰყვათ და იმ 70 წლის წინათ ვერც წარმოიდგენდნენ რომ საერთო შვილიშვილები - ჩემი და ნინოს შვილები - ელისაბედი (ლიზა) და ვლადიმერი (ლადო) ეყოლებოდათ.

- ქრისტეფორე (კუკური) ჯორბენაძე და მარიამ კაჭახიძე, პლეხანოვზე, ძველ თბილისურ (ზოგი „იტალიურს“ რომ უწოდებს) ეზოში, ბატონი გურამის უახლოესი მეგობრის, დავით საყვარელიძის, კარის მეზობლები იყვნენ და პრაქტიკულად ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. მათ ბატონი გურამი ძალიან ხშირად სტუმრობდა. გულდასა-

წყვეტია, რომ კუკური და მარიამი ვერ მოესწრნენ მათი და გურამის შთამომავლობის გაერთიანებას.

მე და ნინომ დაქორწინება რომ გადავწყვიტეთ, ბატონი გურამისთვის მეგობრებს უკითხავთ:

– სასიძო ნასვამი თუ გინახავს როგორიაო?

– კმაყოფილი ვარ! სადაც შევხვდი, ყველგან თამადა იყო და ის უფრო მაინტერესებს, ფხიზელი რას იზავსო – უპასუხია ბატონ გურამს და ამით დაუხურავს თემა.

დიდი სითბოთი და სიყვარულით, ხშირად თვალცრემლიანიც იხსენებდა თავისი დიდი და ძალზე საინტერესო ცხოვრების მანძილზე შეძენილი უამრავი მეგობრის, კოლეგის თუ უბრალოდ ჩვეულებრივი ადამიანის ისტორიებს და ამ მოგონებებს ლეიტმოტივად მხოლოდ პოზიტივი თანსდევდა. მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ყვებოდა სხვათა წარმატებებზე და არც ახსენებდა, თუ პირადად მას, ხშირად საკუთარი ბედნიერებისა და კეთილდღეობის ფასად, რამხელა წვლილი მიუძღოდა თითოეული მათგანის მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიღწეული წარმატებასა და წინსვლაში.

ერთ რამედ ღირდა მისგან ამ მოგონებების მოსმენა – ამბებისა, რომლებიც უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილების, ადამიანობის დაუწერელი კანონების, ქართული ვაჟკაცობის, უანგარო სიკეთის, თავდადებული მეგობრობის, წინაპართა პატივისცემის, ოჯახის სიყვარულის დიდი სკოლა იყო.

განსაკუთრებული მეუღლე, მამა და ყველაზე საყვარელი „ბაბუ“, რომლის სითბო და სიყვარული, თითოეულ ჩვენთაგანს, ყველაზე მეტად კი ალბათ შვილიშვილებს დააკლდა, თუმცა, სამუდამო სასუფეველში მისი ამქვეყნიური ყველაზე დიდი ტკივილი – გოგა და სალომე შეუმსუბუქებენ იმ უსაზღვრო მონატრებას, რომელიც აქ დატოვა.

რევაზ ჯორბენაძე

* * *

1992 წელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. მალევე გავიცანი ჩვენი ჯგუფელის და მეგობრის მამა – გურამ ტატიშვილი. იგი იყო პროფესორი, ქირურგიის კათედრის გამგე, საქართველოს მთავარი ქირურგი, აკადემიკოსი და კიდევ სხვა მრავალი რეგალიის მფლობელი. მაგრამ მისი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ პირველივე დღიდან იყო ძალიან უშუალო, თავისუფალი, თანასწორი, მამა-შვილურიც და მეგობრულიც. გვესაუბრებოდა როგორც თანატოლებს და ყურადღებით გვისმენდა, პატივს სცემდა ჩვენს აზრს და ჩვენც ვერასოდეს ვგრძნობდით ასაკობრივ სხვაობას. ამიტომაც, პირველად მხოლოდ გარდაცვალების დღეს ვიკითხე მისი საპასპორტო ასაკი.

ბატონი გურამი არასდროს გვისვამდა კითხვებს, მაგრამ ყოველთვის იცოდა რას ვაკეთებდით, როგორ ვსწავლობდით, რითი ვერთობოდით, თუმცა ამას როგორ იგებდა, ჩემთვის დღემდე უცნობია. რატომღაც ბოლომდე გვენდობოდა და არასდროს იმჩნევდა, რომ ჩვენი ახლგაზრდული, მშფოთვარე და აქტიური ცხოვრების რეჟიმი 90-იან წლებში მისთვის ბევრი ნერვიულობის მიზეზი იყო. ჩვენც ხშირად ვაძლევდით ნერვიულობის საბაბს, მაგრამ არასდროს უთქვამს არც ერთი საყვედური და შენიშვნა. ჩვენი „დარცხვენილი“ სახეები მისთვის საკმარისი „ბოდიში“ იყო, რომ საყედურის ნაცვლად რაიმე თბილი და დამამშვიდებელ-გამამხნევებელი სიტყვები ეთქვა. მეორე დღიდან კი ისევ ისე აგრძელებდა ჩვენთვის ყველანაირ ხელშეწყობას, რომ იმ არეულ დროს სრულფასოვანი და დაუვიწყარი სტუდენტური წლები გვქონოდა.

უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ამ პერიოდში უამრავი რამ მოუყოლია ბატონ გურამს ბევრ თემაზე, მათ შორის საკუთარ ცხოვრებაზე, რომელიც იმდენად რთული, მრავალფეროვანი, წარმატებებით თუ სირთულეებით აღსავსე იყო, რომ ალბათ მრავალი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოების დაწერა შეიძლება. ჩვენი ურთიერთობის ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველთვის გაოცებული ვიყავი მისი სიძლიერით, თავდაჯერებულობით, გაუტეხლობით, სიცოცხლის სიყვარულით, ადმიანების მიმართ უდიდესი თანაგრძნობის და თანადგომის უნარით, დაუშრეტელი ენერგიით.

მისი სიცოცხლის ბოლომდე ვუყურებდი ბატონ გურამს და ვსწავლობდი ცხოვრებას, მისი ყოველი სიტყვა თუ რჩევა გვამხნევებდა და გვაძლევდა საოცარ ძალას, ვიღებდით მისგან უდიდეს ენერგიას ისეთ დროსაც კი, როცა წესით ჩვენგან უნდა მიეღო თანაგრძნობა.

ჩემთვის მართლაც დიდი პრივილეგია იყო მასთან ურთიერთობა, და რატომღაც მეგონა, რომ ბატონი გურამი სულ ესეთი უნდა ყოფილიყო – ჯანმრთელი, ძლიერი, ყველას მიმართ მზრუნველი და ყურადღებიანი. არასდროს ვიცოდი მისი ასაკი და მართლა მეგონა, რომ უკვდავი იყო.

ეხლაც ვიხსენებ ხოლმე ბატონ გურამს და კიდევ ვსწავლობ. ალბათ იმიტომ, რომ ესეთი ძლიერი პიროვნებები ერთეულები არიან, და ალბათ მართლა უკვდავები.

რევაზ ფხალაძე

* * *

ჯერ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, სულ რაღაც 17 წლის, როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ჯგუფში უმრავლესობას ჯერ კიდევ დაუღვინებელი ბიჭები წარმოვადგენდით. სტუდენტობისას ყოველთვის დიდია შანსი ახალგაზრდა სწორ გზას ასცდეს, საკუთარი მომავლის საძირკველი მოშალოს და მოარღვიოს. ამის საფრთხე კიდევ უფრო დიდი იყო 90-იანი წლების რთულ და შფოთით სავსე პერიოდში. სწორედ მაშინ გვჭირდებოდა უფროსების განსაკუთრებული ყურადღება და გვერდში დგომა. ახლა ვხვდები, როგორ გაგვიმართლა მე და ჩემს მეგობრებს, როდესაც ჯგუფში ბატონი გურამ ტატიშვილის ვაჟთან-მერაბთან ერთად აღმოვჩნდით. აქედან დაიწყო ბატონ გურამთან და მის დიდებულ ოჯახთან ჩემი ურთიერთობა. ის იყო კაცი, რომელიც აოცებდა ახლობლებს ზრუნვითა და ყურადღებით, ოჯახის წევრებს - განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით, განსაცდელში მყოფს - გვერდში დგომითა და ნუგეშით, ახალგაზრდას - შორსმჭვრეტელი რჩევებით. მადლობა ღმერთს, რომ ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე ჩვენზე მზრუნველად გურამ ტატიშვილი მოგვივლინა. მას უთქმელად ესმოდა ჩვენი და ყოველგვარი სირთულის გადალახვაში ჩვენს გვერდით იდგა. ახალგაზრდობის მშფოთვარე და მომეტებული აქტიურობის წლებში მშობლებისთვის ჩვენს გამო ნერვიულობის მიზეზებს ბოლო არ უჩანდა. კაცებად ჩვენს ჩამოყალიბებაში მას მშობლებზე არანაკლები წვლილი მიუძღვის. მისგან ვსწავლობდით პირველ რიგში ადამიანობას, მეგობრობას, სამშობლოსა და ოჯახის პატივისცემასა და სიყვარულს, და შემდეგ პროფესიონალიზმს. ბატონი გურამის გარეშე ძალიან დამაკლდება ის სითბო და სინათლე, რომელსაც თავისი კაშკაშა ცხოვრებთ უხვად ასხივებდა გარშემომყოფთათვის.

ბადრი შარიქაძე

უფროსი მეგობრის ხსოვნას

რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს ასეა - ამ ქვეყნიდან ადამიანის წასვლა, ასაკის მიუხედავად, უდროოდ წასვლაა.

მეტისმეტად ძნელია ადამიანთან სამუდამოდ გამოთხოვება, მითუმეტეს ადამიანთან, რომელიც შენთვის ძალიან ახლობელია, რომელთანაც გაკავშირებს უამრავი ტკბილი მოგონება და რომლის არსებობა იმედით გავსებდა და იცოდი, რომ ნებისმიერ დროს, ლხინში თუ ჭირში, მზად იყო გვერდში ამოგდგომოდა. ასეთი იყო ბატონი გურამი არა მარტო ჩემთვის, ასეთი იყო ბატონი გურამი თავისი ოჯახისთვის, თავისი სამეგობროსთვის, თავისი კოლეგებისა და ახლობლების დიდი არმიისთვის.

მე ბატონი გურამი თავის უმცროს მეგობრად მიმიჩნევდა. ჩემთვის ეს უდიდესი პატივი გახლდათ და მე ამით ვამაყობ დღესაც, როდესაც ის უკვე აღარ არის.

ჩვენი მეგობრობა საკმაოდ დიდი ხნის წინ, გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ჩემი აწგარდაცვლილი უფროსი ძმის - გია აბზიანიძის მეშვეობით. გია და ბატონი გურამი, შეიძლება ითქვას, განუყრელი მეგობრები იყვნენ, რომელთაც, გარდა თავისი სპეციალობისა, ალალი, ცხოვრებისეული, ნაღდი ადამიანური ურთიერთობა აკავშირებდათ. გია ბატონ გურამს თავის უფროს მეგობრად და მასწავლებლდ მიიჩნევდა.

სწორედ გიასა და ბატონი გურამის მეშვეობით, აბსოლუტურად სპონტანურად, წინასწარი დაგეგმვის გარეშე, რამდენიმე კაცს, სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ბიჭებს, შეგვექმნა პატარა, მყუდრო სამყარო, თბილი - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც. ამ სამყაროს, გაგიკვირდებათ და საუნა ერქვა. წლების განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ, კვირაში ორჯერ ვიკრიბებოდით „ლაგუნა ვერეს“ მყუდრო, არც თუ დიდად კომფორტულ საუნაში. კომფორტს ჩვენ თვითონ ვიქმნიდით ჩვენი ურთირთობით, რომლის მთავარი სულისჩამდგმელი ბატონი გურამი იყო. ნეტა იმ დროს...! მოუთმენლად ველოდით ოთხშაბათს და პარასკევს. ერთმანეთის ნახვა გვიხაროდა, იმიტომ, რომ გარდა ამ ჩვენი პატარა კლუბისა, ყველა ჩვენთაგანს ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვქონდა, რომელსაც იმ სითბოში ერთმანეთს ვუზიარებდით, ზოგჯერ იუმორით, ზოგჯერ სერიოზულად, კათხა ლუდით და ზოგჯერ უფრო მაგარი სასმელითაც. უზომოდ ვხარობდით ბატონ გურამთან, ამ საინტერესო კაცთან ურთიერთობით. ჩვენი კლუბის ბიჭებმა, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული სპეციალობის, ასაკის და ალბათ ხასიათისაც ვიყავით, გურამის წყალობით, საოცრად სასიამოვნო ატმოსფერო შევქმენით, რომელსაც ბევრი შემოხაროდა.

კლუბის ძირითად ბირთვს გაი აბზიანიძე, ბატონი გურამი და მისი ბიჭები გოგა, დათო და მერაბი წარმოადგენდნენ, ხშირად, პატარა გურამჩიკა და ბატონ გურამის უფროსი ძმა, მერაბიც შემოგვიერთდებოდნენ ხოლმე, მუდმივი წევრები იყვნენ კახა ტატიშვილი და მერაბ კილაძე, ასეთი იყო ექიმთა კოჰორტა. შემდეგ მოვდიოდით თითქოს უდარდელი, მხიარული ბიჭები: მერაბ ქუთათელაძე, ზურა ბახტაძე, ავთო სიხარულიძე, გელა ოთარაშვილი, კოკა ჯორჯიკია, იური წივწივაძე.

„მაგრამ დიდხანს ეს სოფელი, გაახარებს ვისმეს განა?“. სრულიად მოულოდნელად, მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი... მოულოდნელად დაგვეღუპა ჩვენი უსაყვარლესი, როხროხა გოგა!

ეს იყო პირველი, განმგმირავი ლახვარი ბატონი გურამის გულში, რომელმაც წელში მოხარა, მაგრამ ვერ გატეხა მისი სული.

გოგას მერე ჩაკვდა ჩვენი მყუდრო სავანე. როგორ ვიფიქრებდით „ლაგუნაზე“ მისვლას. იგრძნო რა ჩვენი განწყობა, ისევ ბატონმა გურამმა გადალახა თავისი პირადი დარდი და ორი კვირის თავზე, სათითაოდ ყველას ჩამოგვირეკა და გვაიძულა, ისევ გოგას ხათრით შევკრებილიყავით ჩვეულებისამებრ. ბატონი გურამის სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო და შევიკრიბეთ. მერეც ვიკრიბებოდით, მაგრამ გოგას შემდეგ ძველი განწყობა ვერ აღდგა. ცოტა ხანში მეორე მძიმე დარტყმა მივიღეთ - სრულიად მოულოდნელად, პარასკევის შეხვედრის შემდეგ, კვირას, გამთენიისას გარდაგვეცვალა გია, ჩემი უსაყვარლესი, კეთილშობილი ძმა და ბატონი გურამის განუყრელი უმცროსი მეგობარი. მამაკაცებს შორის ცრემლით მოტირალი მხოლოდ ბატონი გურამი ვნახე.

შემდეგი, და როგორც აღმოჩნდა, გამანადგურებელი დარტყმა, ცხოვრებამ ბატონ გურამს სულ ახლახან მიაყენა - ტრაგიკულად დაიღუპა უმშვენიერესი, ულამაზესი და უჭკვიანესი შვილიშვილი, პატარა სალომე. ამდენ დარტყმას ბატონი გურამის გულმაც ვერ გაუძლო. ძალიან ცდილობდა არ შეემჩნია, არავისთვის არ მოეხვია თავზე თავისი დარდი, რომელსაც მთლიანად გულში იკლავდა და გულსაც, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, რაღაც საზღვარი გააჩნია.

აღესრულა მშვიდად, საკუთარ სახლში. როგორც სჩვეოდა, არავინ არ შეუწუხებია.

ძნელად დამავიწყდება დაკრძალვის დღე. გარინდებული, დამწუხრებული საზოგადოება, სამარისებური სიჩუმის ფონზე, ღირსეული ადამიანების გამოსათხოვარი, მართალი სიტყვები. ვუყურებდი ბატონი გურამის ცხედარს და ვფიქრობდი მის საფიქრალს, ის ბედნიერი იყო, ბედნიერი იყო იმით, რომ მიდიოდა მათთან, ვინც ყველაზე მეტად ენატრებოდა, ამდენი წლის განშორების შემდეგ მიდიოდა გოგასთან, მიდიოდა პატარა ანგელოზ სალომესთან ეხლა უკვე სამუდამოდ ერთად ყოფნისთვის.

იქვე ახლადგათხრილი საფლავი, რომელსაც საოცარი მონდომებით ათბობდა მზე შემოდგომისა. მზე, თითქოს უკანასკნელ პატივს მიაგებდა ბუმბერაზ მამულიშვილს და უთბობდა იმ მიწას, რომელიც სამუდამოდ ჩაიხუტებდა მას, უთბობდა ქართულ მიწას, რომელიც ასე უყვარდა და რომელსაც ასე უანგაროდ ემსახურა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ვიღაცამ გულდაწყვეტით ჩაიდუდუნა: „ ...ეჰ, ჩაბარდა ისტორიას!“

დავით აბზიანიძე
საქართველოს დამსახურებული მეღვინე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

გავლილი გზა

დაიბადა 1929 წლის 18 სექტემბერს.

1948 წელს დაამთავრა თბილისის N8 ვაჟთა სკოლა ოქროს მედალზე.

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი წარჩინებით.

1954 წლის სექტემბერში დაინიშნა კლინიკური ორდინატორის თანამდებობაზე პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე.

1957 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1957 წლის სექტემბერში დაინიშნა ასისტენტის თანამდებობაზე სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე.

1958 წლლის მაისში დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ.

1958 წლის ოქტომბერში დაინიშნა სტომატოლოგიის და სანჰიგიენის ფაკულტეტების დეკანის თანამდებობაზე.

1958 წლის ნოემბერში დაინიშნა პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

1960 წლის მაისში დაინიშნა თბილისის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

1961 წლის თებერვალში დაინიშნა შეთავსებით თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტად საათობრივი ანაზღაურებით გადაუდებლი ქირურგიის კათედრაზე.

1961 წლის თებერვალში არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1963 წლის მაისში გადაყვანილია სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტატის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

1968 წლის ოქტომბერში მოსკოვის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი

1970 წლის თებერვალში დაინიშნა თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანოთა კონსერვაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1970 წლის აპრილში კონკურსით არჩეულია სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორად.

1973 წელს არჩეულია საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ.

1973 წელს გადაეცა მოსკოვის სამეცნიერო საზოგადოების საიუბილეო საპატიო მედალი.

1974 წლის სექტემბერში კონკურსით არჩეულია სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგედ.

1978 წლიდან ქირურგიულ დისციპლინებში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

1978 წელს გადაეცა გრ.მუხაძის სახელობის სამახსოვრო მედალი და სიგელი.

1979 წელს შეყვანილია ჟურნალ „Вестник Хирургии“ -ის სარედაქციო საბჭოში.

1980 წლის ოქტომბერში დაინიშნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგედ.

1981 წელს ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

1982 წლის ოქტომბერში არჩეულია საბჭოთა კავშირის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრად.

1982 წელს დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

1983 წელს საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაუდებელი ქირურგიის საპრობლემო კომისიის წევრი.

1983 წელს საბჭოთა კავშირის პროქტოლოგების სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი.

1984 წლის სექტემბერში დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სუბროდინატორთა ქირურგიის კათედრის გამგედ.

1984 წლის ივნისში მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1988 წელს საბჭოთა კავშირის გამომგონებლის სამკერდე საპატიო ნიშანი.

1989 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

1991 წელს დაინიშნა ქირურგიულ დისციპლინებში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარედ.

1992 წელს შეყვანილია ჟურნალ „Хирургия"-ის სარედაქციო საბჭოში.

1994 წელს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და ქირურგიულ მეცნიერებათა განყოფილების თავჯდომარე.

1996 წელს არჩეულია ინტერნაციონალური გასტროენტეროლოგთა კლუბის წევრად და ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილების ხილმძღვანელად

1996 წელს არჩეულია ქირურგ-ჰეპატოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად.

1996 წელს არჩეულია პარენტერალური და ენტერალური კვების საერთაშორისო ასოციაციის წევრად.

1996 წელს რუსეთის პირველი კონგრესის „პარენტერალური და ენტერალური კვება გასტროენტეროლოგიაში" საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის საბჭოს წევრი.

1996 წლიდან არის დ. ტატიშვილის კლინიკის დამფუძნებელი.

1997 წელს ჟურნალ „Анналы хирургической гепатологии" სარედაქციო საბჭოს წევრი.

1997 წლიდან არის სამედიცინო ცენტრი „იუნონას" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

1998 წელს დანიშნულია ქალაქის N4 კლინიკური საავადმყოფოს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ.

1998 წელს „პარენტერალური და ენტერალური კვება გასტროენტეროლოგიაში" რუსეთის მე-2 საერთასორისო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

2000 წელს არჩეულია საქართველოს ქირურგიული ასოციაციის გამგეობის წევრად.

2000 წელს არჩეულია საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

2002 წელს დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

2002 წელს არჩეულია საზოგადოება „ქუთაისელის" საპატიო წევრად.

2002 წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა N1 კათედრის პროფესორად.

2006 წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

2012 წელს დაჯილდოებულია საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენით.

2013 წელს დაჯილდოვდა ამაგდარი საბურთალოელის წოდებით.

2014 წელს მიენიჭა პ.შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემიის საპატიო პროფესორის წოდება.

2014 წელს არჩეულ იქნა საქართველოს აკად. გრ. მუხაძის სახ. ქირუგთა სამეცნიერო საზოგადოებს თავმჯდომარედ.

2016 წელს არჩეულია საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის საპატიო პროფესორად.

2016 წლიდან არის სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალის „საქართველოს ქირურგიის მაცნეს" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

მის მიერ შესრულებულია და გამოქვეყნებულია 214 სამეცნიერო შრომა და 5 მონოგრაფია.

არის საავტორო უფლებით დადასტურებული 12 გამოგონების ავტორი.

მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცულია 22 სადისერტაციო ნაშრომი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.